



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

# სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის

დისკრიმინაციის აკრძალვასთან  
დაკავშირებული საერთაშორისო და  
ეროვნული სტანდარტები

თბილისი  
2021

**ავტორი:** ბესარიონ ბოხაშვილი

*სახელმძღვანელოს მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ს მთავრობის მთავრობის შეხედულებებს.*

## სარჩევი

შესავალი.....	4
რა არის დისკრიმინაცია?.....	7
როგორი შეიძლება იყოს დისკრიმინაცია?.....	8
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები თანასწორობის უფლების ეფექტიან განხორციელებასთან დაკავშირებით.....	9
გაეროს საზედამხედველო ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები.....	35
განსხვავებული მოპყრობა.....	46
შედარების ობიექტი .....	47
დასაბუთებულობა.....	47
დაცული საფუძვლები .....	49
რასა.....	50
კანის ფერი, სქესი, ეთნიკურობა და ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება .....	51
ეროვნული წარმოშობა.....	51
სქესი .....	53
ენა.....	56
რელიგია .....	58
პოლიტიკური ან სხვა მრწამსი .....	60
სხვა სტატუსი.....	62
სოციალური სტატუსი, წარმოშობისა და დაბადების ადგილი და საკუთრება.....	63
ასაკი.....	64
შეზღუდული შესაძლებლობები .....	65
სექსუალური ორიენტაცია .....	66
საქართველოს საერთო სასამართლოების მიდგომები თანასწორობის საკითხებსა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით.....	73
საერთო სასამართლოების პრაქტიკა.....	75
დისკრიმინაცია შრომითი დავების კონტექსტში.....	79
შრომითი დავების კონტექსტში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული კონცეფციის არასწორი გამოყენება .....	94
სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაცია.....	96
დისკრიმინაცია ასაკის გამო.....	99
შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე პირის დისკრიმინაცია.....	100
გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია .....	104
რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია .....	111
დასკვნა.....	116

## შესავალი

თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა წარმოადგენს სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელოვან წინაპირობას. „კანონის წინაშე თანასწორობა – ეს არ არის მხოლოდ უფლება, ეს არის იდეა, კონცეფცია, პრინციპი, რომელსაც ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატიული ღირებულებები“<sup>1</sup>. ამიტომაც თანასწორობის იდეაზე დაყრდნობით იქმნებოდა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, სახელმწიფოთა კონსტიტუციები, სწორედ თანასწორობის იდეის განსახორციელებლად სჭირდებათ ადამიანებს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო. შესაბამისად, „კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“<sup>2</sup>.

თანასწორობის პრინციპის ეფექტიანი უზრუნველყოფა გადამწყვეტია როგორც თავისუფლების არსის, ისე თავად თანასწორობის იდეის შესანარჩუნებლად. „ადამიანის უფლებები ერთნაირად არის თითოეული ადამიანის კუთვნილება, ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ ერთნაირი ხელმისაწვდომობა ფართო გაგებით თავისუფლებაზე – უფლებებით სარგებლობაზე, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თავისუფლების სრულყოფილად შეგრძნება“<sup>3</sup>. ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს, მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად:

### მუხლი 11. თანასწორობის უფლება

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით;
2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

<sup>1</sup> საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ;

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად;

4. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად, მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელთა ხელშემკვრელი მხარეც არის საქართველო, ცალსახად კრძალავს დისკრიმინაციას.

### **უნივერსალურ დონეზე:**

**რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად:**

- კონვენციის მიზნებისათვის რასობრივი დისკრიმინაცია ნიშნავს ნებისმიერი ხასიათის განსხვავებას, გარიყვას, შეზღუდვას ან უპირატესობას, რომელიც ეფუძნება რასას, კანის ფერს, წარმომავლობას, ეროვნულ ან ეთნიკურ კუთვნილებას და რომელსაც გააჩნია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში ადამიანის უფლებების ან ფუნდამენტური თავისუფლებების უგულებელყოფის, თანაბარი აღიარების ხელის შეშლის, სარგებლობის ან განხორციელების ეფექტი.

### **პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ**

- **მუხლი 2**

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებებით, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებათა მიხედვით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
- **მუხლი 26**

თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს. ამ მხრივ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა

უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტურ დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციისაგან.

## ევროპის საბჭო

### ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

#### მუხლი 14

##### დისკრიმინაციის აკრძალვა

- კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის გარეშე ისეთ საფუძველზე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონება, დაბადება თუ სხვა სტატუსი.

#### მე-12 ოქმი

##### დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა

- კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის გარეშე ნებისმიერ ისეთ საფუძველზე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონება, დაბადება ან სხვა სტატუსი.

## რა არის დისკრიმინაცია?

დისკრიმინაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც კანონით დაცულ საფუძველზე (ეს შეიძლება იყოს: რასა, კანის ფერი, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობა, სქესი, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობები ან სხვ.) მეტ-ნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისადმი განსხვავებული მოპყრობა ან აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისადმი ერთნაირად მოპყრობა, რასაც არ გააჩნია ობიექტური, ჯეროვანი დასაბუთება და ლახავს/ხელს უშლის საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროში ადამიანის უფლებების ან ფუნდამენტური თავისუფლებების თანასწორ და ეფექტიან განხორციელებას, ან დაუსაბუთებელ უპირატესობას ანიჭებს ადამიანს სხვა პირებისაგან განსხვავებით, ან გააჩნია თანაბარი აღიარების ხელის შეშლის, სარგებლობის ან განხორციელების ეფექტი.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის, იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს დისკრიმინაციად:

1. ადგილი უნდა ჰქონდეს განსხვავებულ მოპყრობას პირებს შორის;
2. პირები უნდა იყვნენ მეტ-ნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში;
3. განსხვავებული მოპყრობა უნდა ეფუძნებოდეს კანონით დაცულ რომელიმე საფუძველს (სქესი, რასა, ეთნოსი, კანის ფერი, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობები და სხვ.);
4. განსხვავებულ მოპყრობას არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამართლება.

ან

აშკარად განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ:

- ა) ხორციელდება თანაბარი მოპყრობა;
- ბ) არ ხდება კანონით დაცული რომელიმე საფუძველიდან/სიკეთიდან (სქესი, რასა, ეთნოსი, კანის ფერი, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობები და სხვ.) გამომდინარე საჭიროებების გათვალისწინება;
- გ) თანაბარ მოპყრობას არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამართლება.

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. ხსენებული კანონი მიზნად ისახავს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფას, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის,

სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

### როგორი შეიძლება იყოს დისკრიმინაცია?

დისკრიმინაცია შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი.

**პირდაპირი** დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, კანონით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

**ირიბი** დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს ასევე **შევიწროება**, რომელიც განიმარტება, როგორც „ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას“<sup>4</sup>.

აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, შევიწროების დროს არ არის აუცილებელი შედარების ობიექტის არსებობა.

<sup>4</sup> <https://matsne.gov.ge/document/view/2339687?publication=3>



## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები თანასწორობის უფლების ეფექტიან განხორციელებასთან დაკავშირებით

კანონის წინაშე თანასწორობის უფლების ძირითადი არსი და მიზანი არის ანალოგიურ, მსგავს გარემოებებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოეპყროს ერთნაირად, „არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით“.<sup>5</sup> „კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ადამიანის ყველა იმ უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებასა და დაცვას, რომელიც იმყოფება თანაბარ პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება“.<sup>6</sup> ამავე დროს, სასამართლოს განმარტებით, კანონის წინაშე თანასწორობის უფლების ძირითადი არსის საფუძველი არის ადამიანების შესაძლებლობების და არა ფაქტობრივი თანასწორობის, გათანაბრების უზრუნველყოფა. თანასწორობის პრინციპი გულისხმობს თვითრეალიზაციისა და განვითარების თანაბარ შანსს: „მე-14 მუხლის<sup>7</sup> არსის გაგებისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისგან. ამ პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას. თანაბარი შანსები იქნება თუ არა თანაბრად გამოყენებული, დამოკიდებულია კონკრეტული პირების უნარებზე. უნარების სახელმწიფოს ძალისხმევით გათანაბრების მცდელობა კი, უმეტესწილად, თავად იწვევს დისკრიმინაციას“.<sup>8</sup> „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით“.<sup>9</sup>

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება N2/1-392 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*; 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2; 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/477 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 68; 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5.

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება N2/7/219.

<sup>7</sup> 2018 წლამდე საქართველოს კონსტიტუციის არსებული რედაქცია, თანასწორობის უფლებასა და დისკრიმინაციის აკრძალვას განიხილავდა მე-14 მუხლში. 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდგომ ხსენებული უფლება დაცულია კონსტიტუციის მე-11 მუხლით.

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2.

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის N2/1/473 გადაწყვეტილება, II, 2.

„საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიზანს წარმოადგენს არა პირთა აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა, არამედ არსებითად თანასწორი პირებისადმი თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა“.<sup>10</sup>

სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციას არ ნიშნავს. ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისად მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, შესაძლოა, დიფერენცირებული მოპყრობა დასაშვები, სასურველი, საჭირო, აუცილებელი და გარდაუვალიც იყოს. დიფერენციაცია უფრო წესია, ვიდრე გამონაკლისი. ეს ხშირად აუცდენელია. შესაბამისად, დიფერენცირება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროსთვის უცხო არ არის, „თუმცა თითოეული მათგანი არ უნდა იყოს დაუსაბუთებელი“.<sup>11</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებას, დადგენას საფუძვლად დაუდო შემდეგი ძირითადი მიდგომა: „განსხვავებული საკანონმდებლო რეგულირება, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში არ ჩაითვლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევად. კანონმდებელს უფლება აქვს, კანონით განსაზღვროს განსხვავებული პირობები, მაგრამ ეს განსხვავება უნდა იყოს დასაბუთებული, გონივრული და მიზანშეწონილი. ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დიფერენცირებულობის თანაბარი დონე ერთსა და იმავე პირობებში მყოფი სუბიექტებისათვის“.<sup>12</sup> „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას“.<sup>13</sup>

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, II, 8.

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 3.

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება N2/7/219 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თორღია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 3; 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ნებისმიერი უთანასწორო მოპყრობა არ წარმოადგენს დისკრიმინაციას, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ატარებს თვითნებურ, თვითმიზნურ ხასიათს, რომლის მიზეზებიც აუხსნელია. ამასთან, დისკრიმინაციას ადგილი არ აქვს, თუ არათანაბარი მიდგომა არის უნებლიე, ექვემდებარება ახსნას, რაციონალიზაციას, გამართლებას.

დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შემოწმებისთვის საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს კონკრეტულ ინსტრუმენტებს (ტესტებს), რაზეც ყურადღება გამახვილებულია სპეციალურ თავში.

## უფლების ფარგლები

ზოგადად, კანონის წინაშე თანასწორობის უფლების ფარგლები, უფლების არსიდან გამომდინარე, არ არის მკაცრად რეგლამენტირებული და, ამ თვალსაზრისით, დამოკიდებულია ახალ გამოწვევებზე. „თუკი თავდაპირველად სიხშირისა და პრობლემატურობის თვალსაზრისით ლიდერობდა რასის, სქესის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით დისკრიმინაციის შემთხვევები და სახელმწიფოთა უმრავლესობის კონსტიტუციებშიც ძირითადად იმ ნიშნებით დისკრიმინაციის აკრძალვის დეკლარირება ხდებოდა, რომლებზე დაყრდნობითაც ადამიანებისადმი განსხვავებული მოპყრობა ყველაზე ხშირი იყო, დროთა განმავლობაში უფლების ბუნებიდან, დანიშნულებიდან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ მხოლოდ კონკრეტული ნიშნების ჩამონათვალით უფლების შემოფარგვლა მისივე (უფლების) არსის საწინააღმდეგო იქნებოდა, რადგან კანონის წინაშე თანასწორობის მიზანი არის თითოეული ადამიანის დაცვა ნებისმიერი დაუსაბუთებელი განსხვავებისაგან. კონსტიტუციებში ნიშნების ჩამოთვლა, რომელთა მიხედვითაც იკრძალებოდა დისკრიმინაცია, ატარებდა მხოლოდ მაგალითის დატვირთვას, რადგან თანასწორობის იდეა, პრინციპი, ზოგადად, მოითხოვს არსებითად თანასწორობისადმი თანაბარ მოპყრობას და არა მხოლოდ კონკრეტულ სფეროში ან მხოლოდ კონკრეტული ნიშნით უმცირესობისადმი ასეთ მოპყრობას. ამიტომ კანონის წინაშე თანასწორობის უფლების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციური დებულებების ფართო და ადეკვატური განმარტება სასამართლოს პრაქტიკის საგანი გახდა“<sup>14</sup>.

წლების განმავლობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის განმარტებისას მკაცრად შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამ მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების საფუძველზე დიფერენცირებული მოპყრობის შეფასების შესაძლებლობით, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ხდებოდა

---

*პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 6; 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 7.

<sup>14</sup> ქ. ერემაძე, „კანონის წინაშე თანასწორობა, როგორც თავისუფლების გარანტია“, თბილისი, 2015, გვ. 31.

სარჩელების არსებითად განსახილველად არმიღების მიზეზი (საფუძველი)<sup>15</sup>. სასამართლომ აღნიშნული საკითხისადმი მსგავსი მიდგომა დააფიქსირა არაერთ აქტში. მაგალითად, ერთ-ერთ განჩინებაში ვკითხულობთ: „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც აკრძალულია ადამიანის დისკრიმინაცია. მოსარჩელებმა და მათმა წარმომადგენლებმა ვერ დაასაბუთეს სადავო ნორმების მიმართება კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაუშვებელი დისკრიმინაციის რომელიმე სახესთან. უფრო მეტიც, განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელეთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსარჩელებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის ნიშნებიდან არც ერთი არ შეეხებათ“<sup>16</sup>. „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ ... უფლება დარღვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის დებულებაში მოცემული ჩამონათვალიდან რაიმე ნიშნის მიხედვით“<sup>17</sup>.

მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომ პრინციპულად შეცვალა ასეთი მიდგომა კანონის წინაშე თანასწორობის უფლების განმარტებისადმი და უარი თქვა სასამართლოში დამკვიდრებულ ზემოაღნიშნულ გამოცდილებაზე, ვინაიდან აშკარა იყო, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში დასახელებული ნიშნების ამომწურავ ჩამონათვალად მიჩნევის პრაქტიკის ერთგულების შემთხვევაში, კონსტიტუციის ამ ნორმის შინაარსი არსებითად დასცილდებოდა თანასწორობის პრინციპის არსსა და იდეას.

საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლამდე არსებულ რედაქციაში, მე-14 მუხლით დაცული სფეროს სრულყოფილი განმარტებისთვის, საკონსტიტუციო სასამართლო კანონის წინაშე თანასწორობის უფლების არსიდან გამოვიდა და დაუშვებლად მიიჩნია მისი გათანაბრება ნორმის სიტყვასიტყვით შინაარსთან. სასამართლო არ შეიბოჭა ნორმის გრამატიკული განმარტებით და მისი დიაპაზონი გაიაზრა კანონის წინაშე თანასწორობის იდეის მნიშვნელობის გათვალისწინებით. „...ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა ... მხოლოდ ვიწრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურსამართლებრივ სივრცეში“<sup>18</sup>. „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციები და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო

<sup>15</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 მარტის განჩინება N2/8/157 საქმეზე *მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

<sup>16</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის განჩინება N1/5/362-363,367 საქმეზე *დავით მირცხულავა, გიორგი კუპრეიშვილი და შალვა და ვლადიმერ დოლიძეები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის განჩინება N2/10/383.

<sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება N2/1-392 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2.

დოკუმენტები, იძლევა გარკვეული ნიშნების ჩამონათვალს, რომელიც მიემართება კანონმდებელს და უთითებს, თუ რომელ საფუძველებს არ უნდა უკავშირდებოდეს არათანაბარი მოპყრობა. ჩამონათვალში მითითებული ნიშნები მომდინარეობს ადამიანის იდენტობის გამომხატველი ფაქტორებიდან, ემყარება მათი ღირსების პატივისცემას და გააჩნია თავისი ისტორიული წანამძღვრები. ხსენებული ნიშნების საფუძველზე დიფერენცირება წარმოადგენს დისკრიმინაციის მომეტებული რისკის მატარებელ შემთხვევებს და კანონმდებლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. აღნიშნული განპირობებულია ადამიანთა სოციალურ სტატუსში რაიმე ფორმის იერარქიულობის დაუშვებლობით. ჩამონათვალის არსებობა ამ ნიშნებთან დაკავშირებული ადამიანთა დიფერენცირების შემთხვევების უპირატეს შეზღუდვაზე მიუთითებს. თუმცა ეს არ გამორიცხავს ადამიანთა არაგონივრული დიფერენცირების სხვა შემთხვევების არსებობას და მათი კონსტიტუციით აკრძალვის საჭიროებას. კონსტიტუცია კრძალავს კანონის წინაშე არსებითად თანასწორთა უთანასწოროდ (ან პირიქით) გონივრული და ობიექტური დასაბუთების გარეშე მოპყრობის ნებისმიერ შემთხვევას<sup>19</sup>. სასამართლომ ასევე აღნიშნა: „ისტორიულად კონსტიტუციებში ხდებოდა იმ ნიშნების ჩამოთვლა, რომელთა მიხედვით, ადამიანთა ჯგუფებს აერთიანებდა მათთვის დამახასიათებელი პირადი, ფიზიკური თვისებები, კულტურული ნიშნები ან სოციალური კუთვნილება. ამ ნიშნების კონსტიტუციებში ჩამოთვლა ხდებოდა ზუსტად მათ საფუძველზე ადამიანების დისკრიმინაციის დიდი გამოცდილების არსებობის და, ამასთან, ასეთი მოპყრობის გაგრძელების შიშის გამო (საპასუხოდ). ... თუმცა, ამავე დროს, დიფერენცირებული მიდგომა შესაძლოა მოხდეს არა მხოლოდ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით და არა მხოლოდ, თუნდაც ამ ნიშნებზე დაყრდნობით, კონკრეტული კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის პროცესში. დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს – არსებითად თანასწორებს მოეპყროს თანასწორად და პირიქით. აქედან გამომდინარე, თანასწორობის ძირითად არსთან კონფლიქტში მყოფი ნებისმიერი ნორმა უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი“<sup>20</sup>. „კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების ამომწურავად მიჩნევა თავისთავად გამოიწვევს სასამართლოს მიერ იმის დადასტურებას, რომ ნებისმიერი სხვა ნიშნით დიფერენციაციის შემთხვევები არ არის დისკრიმინაციული, რადგან არ არის დაცული კონსტიტუციით. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა არ იქნებოდა სწორი, რადგან თითოეული მათგანის კონსტიტუციის მე-14 მუხლში მოუხსენიებლობა დიფერენციაციის დაუსაბუთებლობას ვერ გამორიცხავს“<sup>21</sup>.

<sup>19</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება N2/1/473 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

<sup>20</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 4.

<sup>21</sup> იქვე, II, 4.

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფართოდ განმარტებას საფუძვლად დაუდო თავად უფლების ძირითადი არსი და, ზოგადად, თანასწორობის იდეის მნიშვნელობა, რადგან კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ არის მხოლოდ კონკრეტული უმცირესობების წარმომადგენელთა ან მხოლოდ ამა თუ იმ ნიშნით იდენტიფიცირებად პირთა უფლება, არამედ ეს არის თითოეული ადამიანის უფლება, თანაბრად დაიცვას კანონმა. „თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში“<sup>22</sup>.

ზემოაღნიშნულ მიდგომაზე დაყრდნობით, სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება არაერთი საქმე, რომლებშიც მან შეაფასა კონსტიტუციის მე-14 მუხლში არდასახელებული ნიშნებით დიფერენცირების კონსტიტუციურობა. მაგალითად, საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩარევად მიიჩნია ადამიანების დიფერენცირება „დასაქმების ადგილის“ ნიშნით.<sup>23</sup> საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ* სასამართლომ მიუთითა, რომ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაში ჩარევა დაკავშირებული იყო „სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების დროსთან“.<sup>24</sup> საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა, რომ პირთა დიფერენციაცია ხდებოდა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროზე დამოკიდებულებით. საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ* სასამართლომ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დიფერენციაციის გამომწვევი ნორმების კონსტიტუციურობა შეაფასა და დაადგინა კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევა<sup>25</sup>; საქმეზე *საქართველოს*

---

<sup>22</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 4; 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 4; 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5.

<sup>23</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება N2/1-392 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2.

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება N2/1/473 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 11.

<sup>25</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა*

მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ დიფერენცირების ნიშნად სასამართლომ მიიჩნია „სამოსამართლო საქმიანობა“<sup>26</sup> და ამ შემთხვევაშიც დაადგინა ნორმის დისკრიმინაციულობა; საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას ასაკობრივი ცენზის საფუძველზე<sup>27</sup> და სხვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ფართოდ განმარტა კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლები და საქმისადმი ფორმალური მიდგომის თავიდან ასაცილებლად აღნიშნა, რომ მოსარჩელე არ უნდა იყოს მკაცრად შეზღუდული დიფერენციაციის ნიშნის ზუსტად დასახელებით. სასამართლოს განმარტებით, თუ ნიშნის არასწორად დასახელება თავისთავად პრობლემის არსს არსებითად არ ცვლის, სასამართლოს არ უჩენს იმის განცდას, ეჭვს, რომ თანასწორი პირების მიმართ დადგენილი დიფერენციაცია არსობრივად განსხვავდება მოსარჩელის პრობლემისაგან (კავშირი არ აქვს მასთან), მაშინ ის საქმეს მიიღებს არსებითად განსახილველად. თუმცა ასეთი საგნობრივი კავშირის არარსებობის შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა მიჩნეულ იქნება როგორც დაუსაბუთებელი. მხოლოდ მე-14 მუხლზე მითითება, საკუთარი პრობლემის არსებითად სწორად იდენტიფიცირების გარეშე, ვერ იქნება საკმარისი სასამართლოში სასარჩელო მოთხოვნაზე მსჯელობისთვის, რადგან სასამართლო არ არის ვალდებული, თავად დაუსაბუთოს მოსარჩელეს, რაში მდგომარეობს მისი პრობლემა. მეორე მხრივ, სასამართლო არც ისეთი ფორმალური მიდგომით უნდა შემოიფარგლოს, რომ ნიშნის არასწორად დასახელება გახდეს სარჩელის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი. მთავარია, მოსარჩელე თვალსაჩინოს ხდიდეს მისდამი დიფერენცირებულ მოპყრობას და არსებითად სწორად ასაბუთებდეს საკუთარ პრობლემას.

მაგალითად, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა დიფერენცირებულ მიდგომას პოლიტიკური და ქონებრივი ნიშნებით, როგორც ამაზე მოსარჩელე მიუთითებდა. თუმცა სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ, ერთი მხრივ, მოსარჩელე შეეხოჭა ვალდებულებით, დაეკონკრეტებინა დიფერენციაციის ზუსტი ნიშანი და არც თავად მიაჩნია დიფერენციაციის კონკრეტულ საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე მსჯელობისთვის სრულიად საკმარისი იყო, ადგილი ჰქონდა არსებითად თანასწორი პირების მიმართ

---

ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ.

<sup>26</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება N3/1/659 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>27</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება N°2/2/863 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.



არათანაბარ მოპყრობას. სასამართლომ დიფერენციაციის ნიშნის დადგენის გარეშე, დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით, შესაბამის ტესტზე დაყრდნობით, შეამოწმა სადავო ნორმის დისკრიმინაციულობა. საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა „საცხოვრებელი ადგილის“ მიხედვით დიფერენციაციას (როგორც ამას მოსარჩელე ამტკიცებდა), თუმცა, იმის გამო, რომ ნორმა იწვევდა არსებითად თანასწორი პირების მიმართ არათანაბარ მოპყრობას, სადავო ნორმა შეაფასა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით და დაადგინა მისი დისკრიმინაციულობა.

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არა მხოლოდ მოსარჩელის მიერ ნიშნის არასწორად დასახელება არ მიიჩნია დაბრკოლებად სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისას, არამედ არაორაზროვნად მიუთითა, რომ დიფერენციაციის ნიშანი და, შესაბამისად, მასზე მითითება არ არის გადამწყვეტი, აუცილებელი წინაპირობა დისკრიმინაციის სამტკიცებლად. დაუსაბუთებელი განსხვავებული მოპყრობის ფაქტი უკვე წარმოადგენს დისკრიმინაციას, თუნდაც ის არც ერთი ნიშნისადმი პირის მიკუთვნებით არ იყოს განპირობებული.

### **დისკრიმინაციულობის შემოწმების ტესტები**

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ვინაიდან დიფერენცირებული მოპყრობის ყველა შემთხვევა ერთნაირი სიმძიმის არ არის, თითოეული მათგანის ერთნაირი სტანდარტითა და იდენტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასების შემთხვევაში, სასამართლომ, თანასწორობის უფლების დაცვის მოტივით, შესაძლოა, მას მიზანი შეუცვალოს, გაზარდოს რისკი დიფერენცირებული მოპყრობის პრაქტიკულად ყველა შემთხვევის არაკონსტიტუციურად მიჩნევისა და იმაზე მეტად შეზღუდოს კანონმდებელი, ვიდრე ამას კონსტიტუციის მე-11 მუხლი (საქართველოს კონსტიტუციის ადრე მოქმედი რედაქციით მე-14 მუხლი) მოითხოვს. სასამართლოს განმარტებით: „კანონის წინაშე თანასწორობის უფლების ბუნებიდან გამომდინარე, მასში ჩარევისას სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები განსხვავებულია, ... შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობის გონივრულობის შეფასების მასშტაბიც განსხვავებულია. ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება გულისხმობდეს ლეგიტიმური საჯარო მიზნების არსებობის დასაბუთების აუცილებლობას (როგორებიცაა: სახელმწიფო უშიშროება, საზოგადოებრივი წესრიგი, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციითვე დასახელებული კონკრეტული საჯარო ინტერესები). სხვა შემთხვევებში, ხელშესახები უნდა იყოს შეზღუდვის საჭიროება თუ აუცილებლობა. ზოგჯერ შესაძლოა, საკმარისი იყოს დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, მათ შორის, მაგალითად, კონკრეტული გარემოებების რეალურად თავიდან აცილების შეუძლებლობის მიზეზით გამოწვეული დიფერენციაცია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დისკრიმინაციაზე საუბარი არ შეიძლება, თუ არათანასწორი მიდგომა ექვემდებარება გონივრულ ახსნას, გამართლებას, რაციონალიზაციას. ... ზოგადად,



ისტორიულად ცვლადია შეფასებები და შეფასებების ინსტრუმენტები იმისა, რა არის „ბუნებრივი“, „გონივრული“ და „აუცილებელი“ ამ სფეროში. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, თანასწორობის პრინციპი კანონმდებელს შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას არჩევანის თავისუფლებას უტოვებს იქამდე, სანამ ხელმისაწვდომია დიფერენცირებული მოპყრობის ობიექტური დასაბუთება“.<sup>28</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასებისთვის დაადგინა განსხვავებული ტესტები. კერძოდ, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით ნორმის კონსტიტუციურობას სასამართლო აფასებს: 1) „მკაცრი შეფასების“ ტესტით ან 2) „რაციონალური დიფერენციაციის“ ტესტით. განსხვავებულია მათი გამოყენების წინაპირობები, საფუძვლები.

სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი დიფერენციაცია ზედმიწევნით შემოწმებას და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. თუმცა დიფერენციაციის დისკრიმინაციულობის შეფასება განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა მოხდეს, როდესაც განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება ისეთ ნიშნებს, რომლებზე დაყრდნობითაც დისკრიმინაცია ისტორიულად ხშირი და ძალზე გავრცელებული იყო და რომელთა ჩამოთვლაც კონსტიტუციებში ხდებოდა ზუსტად ასეთი მოპყრობის გამოორების შიშით და ამის საწინააღმდეგოდ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნიშნებს, პირობითად, „კლასიკური ნიშნები“ უწოდა და მათზე დაყრდნობით დიფერენციაციის დისკრიმინაციულობის შემოწმებისთვის „მკაცრი შეფასების“ ტესტი შემოიღო, როდესაც აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებული მოპყრობის გამართლებისთვის დაუძლეველი ინტერესის არსებობის დემონსტრირება და ამ მიზნის მისაღწევად შერჩეული რეგულაციით უფლებაში ჩარევის თანაზომიერების მტკიცება.

დისკრიმინაციის „კლასიკური ნიშანი“ პირობითია. საკონსტიტუციო სასამართლომ ასეთი სახელწოდება გამოიყენა იმ მიზეზით, რომ ყურადღება გაემახვილებინა, ზოგადად, პირთა მოწყვლად ჯგუფებზე, ნიშნებზე, რომელთა მიხედვით ადამიანთა ჯგუფებს აერთიანებდა მათთვის დამახასიათებელი პირადი, ფიზიკური თვისებები, კულტურული ნიშნები ან სოციალური კუთვნილება და რომლებზე დაყრდნობითაც დისკრიმინაცია ძალიან ხშირი და გავრცელებული იყო. სასამართლომ თავდაპირველად ე.წ. „კლასიკური“ ნიშანი ფორმალურად კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილ ნიშნებს დაუკავშირა, თუმცა კრიტერიუმი იყო არა თავისთავად კონსტიტუციაში მათი სახელდების ფაქტი, არამედ პირთა მოწყვლადობა, რაც, როგორც წესი, ხდებოდა ხოლმე საფუძველი, მთავარი მიზეზი დისკრიმინაციის ნიშნების კონსტიტუციაში ჩაწერისა. ამიტომ, მოგვიანებით, ერთ-ერთ საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ნიშანი კონსტიტუციაში დასახელებული არ იყო, რადგან ის აერთიანებდა „მოწყვლად

---

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II. 5.

ჯგუფს“, სასამართლომ შეფასების „მკაცრი ტესტი“ გამოიყენა. კერძოდ, 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სექსუალური ორიენტაცია არ წარმოადგენს კონსტიტუციაში დასახელებულ დიფერენცირების ნიშანს. თუმცა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პირთა მოწყვლადობის ხარისხის გათვალისწინების აუცილებლობაზე. სასამართლოს განმარტების თანახმად: „...დისკრიმინაციული მოპყრობის საფრთხე პირთა კონკრეტულ ჯგუფებთან მიმართებით იცვლება საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ, რაც შეფასების მიღმა არ უნდა დარჩეს. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, მიემართება მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის, სექსუალურ უმცირესობებს, რაზეც მიუთითებს არაერთი საერთაშორისო აქტი თუ რეკომენდაცია. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2011 წლის 14 ივლისის N17/19 რეზოლუცია „ადამიანის უფლებების, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ“, ევროპის საბჭოს ოცამდე რეკომენდაცია სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ამგვარი სენსიტიური სფეროს მოწესრიგებისას სამართალშემოქმედი ვალდებულია, გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული პირთა უფლებების დარღვევის საფრთხე“.<sup>29</sup>

„მკაცრი შეფასების“ ტესტის გამოყენების საჭიროებას საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს ასევე დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით. სასამართლომ აღნიშნა, რომ დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებული იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან, რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუმცა გადამწყვეტი იქნება, არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში მოექცევიან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან.

თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია, სასამართლო იყენებს „მკაცრი შეფასების“ ტესტს, ხოლო ინტენსივობის დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში – „რაციონალური დიფერენციაციის“ ტესტს (რაციონალური საფუძვლით შემოწმების ტესტი).

„რაციონალური დიფერენციაციის“ ტესტის მიხედვით ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას: ა) საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდაუვალობა ან საჭიროება; ბ) რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის.

სასამართლომ „რაციონალური დიფერენციაციის“ ტესტი შემოიღო სწორედ იმიტომ, რომ გაუმართლებელი იქნებოდა ყოველთვის „მკაცრი შეფასების“ ტესტის

---

<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 29.

გამოყენება, რადგან ამას შეეძლო, სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესის არარსებობის გამო, დიფერენციაციის უმეტესი შემთხვევების დისკრიმინაციულ დიფერენციაციად მიჩნევის აუცილებლობა წარმოეშვა, რაც თანასწორობის უფლების არსის საწინააღმდეგო იქნებოდა.

რამდენიმე მაგალითი სასამართლოს პრაქტიკიდან:

**კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება „მკაცრი შეფასების ტესტის“ მიხედვით, ე.წ. „კლასიკური ნიშნით“ დიფერენციაციის გამო**

საქმეზე საქართველოს მოქალაქეები: ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რიგი ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ სასამართლოს მიერ პირის ქმედუუნაროდ აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, მეურვის და მზრუნველის უფლებამოვალეობებსა და ქმედუუნაროდ აღიარებულ პირთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კერძოდ, სადავო ნორმების თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მეურვე სამეურვეო პირს განსაკუთრებული წარმომადგენლობის გარეშე წარმოადგენდა მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. ამასთანავე, ამ პირის სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დებდა ყველა აუცილებელ გარიგებას<sup>30</sup>.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმების საფუძველზე, გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირებს სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა სრულად ეკრძალებოდათ. მათი მტკიცებით, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირებს, მართალია, არ შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება გარკვეულ საკითხთან მიმართებით, მაგრამ ისინი სრულად არ კარგავდნენ უნარს, სათანადოდ აღექვათ და ნათლად გამოეხატათ თავიანთი ნება კონკრეტულ სამოქალაქო ურთიერთობებთან მიმართებით. კონსტიტუციურ სარჩელებში მითითებული იყო, რომ სადავო ნორმები განსაზღვრავდა დიფერენცირებულ მოპყრობას ქმედუუნაროდ და ქმედუუნარიან პირებს შორის, რომლებიც შეიძლებოდა არსებითად თანასწორნი ყოფილიყვნენ გარკვეული ხასიათის გარიგებებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს და სხვა სრულწლოვან პირებს, რომელთაც არ ჰქონდათ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები, თანაბრად ჰქონდათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოფითი, წვრილმანი სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებების დადების მოთხოვნილება. ამიტომ იმ სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებების დადების ნაწილში, რომელთა შინაარსის აღქმა, გაცნობიერება ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს შეეძლოთ, ისინი სხვა სრულწლოვან, ქმედუუნარიან პირებთან მიმართებით არსებითად თანასწორი სუბიექტები იყვნენ. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმებით ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს და სხვა სრულწლოვან პირებს, რომელთაც მიმართავ არ

<sup>30</sup> სადავო ნორმების საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია.

არსებობდა ქმედუუნაროდ აღიარების საფუძველი, ხდებოდა დიფერენცირებული მოპყრობა, რადგან ქმედუუნარო პირებს, ქმედუუნარიანებისგან განსხვავებით, არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეეძინათ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, დამოუკიდებლად ჩართულიყვნენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში, მიეღოთ გადაწყვეტილება საკუთარი მკურნალობის შესახებ და ა.შ.

სასამართლომ სადავო ნორმების დისკრიმინაციულობა შეაფასა „მკაცრი შეფასების“ ტესტის გამოყენებით, რადგან ადგილი ჰქონდა არსებითად თანასწორი პირების (ქმედუუნარო და ქმედუუნარიანი პირების) დიფერენცირებას „კლასიკური ნიშნით“ – მათი სოციალური კუთვნილების გამო.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თითოეული სადავო ნორმა არსებითად ცვლიდა პირის სამართლებრივ სტატუსს და იწვევდა მძიმე სამართლებრივ და პრაქტიკულ შედეგებს.

სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, „ქმედუუნარიანობა არ არის აბსოლუტური კატეგორია და პირის ქმედუუნაროდ ცნობა, თავისთავად, არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მოთხოვნებს, ვინაიდან, პირველ რიგში, მიმართულია ამ პირების კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვისკენ, მაგრამ, იმავდროულად, კოგნიტური უნარების შეზღუდვა, მათ შორის, სერიოზულიც კი, არ შეიძლება წარმოადგენდეს პირის ქმედუუნარიანობის სრულად შეზღუდვის თვითკმარ მიზეზს. ქმედუუნარიანობის აბსოლუტური და ბლანკეტური ჩამორთმევა უფლებებში მაღალი ინტენსივობით ჩარევას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს პირის ავტონომიურობის დაკარგვას ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში. პირი სრულად კარგავს დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქმედების უფლებას. მეტიც, ქმედუუნარიანობის ჩამორთმევა ხდება განუსაზღვრელი ვადით. შესაბამისად, პირის უფლებებში ასეთი ინტენსივობის ჩარევა განპირობებული უნდა იყოს უაღრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობით და უნდა წარმოადგენდეს ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდველ საშუალებას“.<sup>31</sup>

მიუხედავად ლეგიტიმური მიზნების არსებობისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ მიზნების მისაღწევად ბლანკეტური შეზღუდვის დაწესება იწვევდა ქმედუუნარო პირების რიგ უფლებებში იმაზე უფრო ინტენსიურ ჩარევას, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელი იყო. მიზეზი, რომელიც ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს დიფერენცირებულ მდგომარეობაში აყენებდა ქმედუუნარიან სრულწლოვან პირებთან მიმართებით, იყო მათი შეზღუდული უნარები. თუმცა პირებს, სხვა შეზღუდული უნარების გამო, ასევე ეზღუდებოდათ შეუზღუდავი უნარების რეალიზაციის შესაძლებლობა რიგ სამართლებრივ ურთიერთობებში. ამგვარი დიფერენციაციის გამართლება კი, შეფასების მკაცრი ტესტიდან გამომდინარე, დაშვებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ჭკუასუსტობისა“ და

---

<sup>31</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები: ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 13.

„სულით ავადმყოფობის“ პათოლოგიების მქონე პირის შეუზღუდავი უნარების იდენტიფიკაცია და შეზღუდვის მათზე მორგება სახელმწიფოსთვის შეუსრულებელი ამოცანა იქნებოდა.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღნიშნული კატეგორიის პირები უნდა განიხილებოდნენ როგორც უფლებათა სუბიექტები და არა როგორც მხოლოდ პაციენტები. ამიტომ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონკრეტული ხერხების განსაზღვრის პროცესში კანონმდებელმა უნდა შეიმუშაოს ის ოპტიმალური მექანიზმი, რომელიც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, პირის ქმედუუნაროდ აღიარების პროცესში გაითვალისწინოს მისი ნებელობითი და ინტელექტუალური უნარის მოშლის/დაზიანების ხარისხი სოციალური ცხოვრების კონკრეტულ სფეროებში და, შესაბამისად, მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პირის უფლებების და თავისუფლებების დაცვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სივოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტიტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ<sup>32</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა იწვევდა დიფერენციაციას რელიგიის ნიშნით. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „სადავო რეგულირება მიემართება გადასახადის გადამხდელს – კომპანიებს, რომლებიც რელიგიურ გაერთიანებას უწევენ მომსახურებას. მიუხედავად ამისა, მომსახურების გამწვევი რაიმე გადასახადის გადახდისგან არ თავისუფლდება და, როგორც ზემოთ აღინიშნა, საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირს წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქო, რომელიც მოქმედებს როგორც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია. ამავე დროს, დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული მომსახურება –

---

<sup>32</sup> გასაჩივრებული იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვების „საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით. სადავო ნორმის თანახმად, საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა ჩათვლის უფლების გარეშე თავისუფლდებოდა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადახდისგან.

ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა წარმოადგენს რელიგიურ საქმიანობას, რომელიც მიმართულია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელებისკენ, სამლოცველო ნაგებობის აშენებით მსახურებისთვის საჭირო პირობების შექმნის გზით. ყოველივე მიუთითებს, რომ სადავო ნორმით დადგენილი არსებითად თანასწორი პირების დიფერენცირების ნიშანს წარმოადგენს რელიგია<sup>33</sup>.

შედეგად, ვინაიდან დიფერენცირების ნიშანი იყო კლასიკური, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ გამოიყენებდა მკაცრი შეფასების ტესტს: „კერძოდ, არსებითად თანასწორ პირებს შორის დადგენილი განსხვავებული მოწესრიგების მართლზომიერება შეფასდება თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით. უფრო კონკრეტულად, დიფერენცირების მართლზომიერებისთვის უნდა დადგინდეს, რომ იგი ემსახურება ღირებულ ლეგიტიმურ მიზნებს და წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ვარგის (გამოსადეგ), აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას“<sup>34</sup>.

სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზნებად საქართველოს პარლამენტმა დაასახელა ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობის მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვა, მოვლა-პატრონობა, კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე ტაძრების აღდგენა და რესტავრაცია-კონსერვაცია, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლითა და ამავე მუხლის საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ნორმატიული ჩარჩოს რეალიზაცია, კერძოდ, სახელმწიფოს მიერ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება ქვეყანაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით დადგენილ დიფერენციაციას არ გააჩნდა ლოგიკური კავშირი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესთან. ამ ლეგიტიმური მიზნის მიღწევა სრულად იყო შესაძლებელი არსებითად თანასწორ პირებს შორის დიფერენცირების გარეშე. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „სადავო ნორმით დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე არის

---

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/671 საქმეზე *სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“*, *აიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“*, *სსიპ „ქრისტეს ეკლესია“*, *სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“*, *აიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“*, *სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“*, *აიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“*, *სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 20.

<sup>34</sup> იქვე, 22.

გათავისუფლებული საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით განხორციელებული ტაძრების ან ეკლესიების რესტავრაცია. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ნაგებობებს. ბუნებრივია, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თვალსაზრისით, სახელმწიფო უფლებამოსილია, დაადგინოს ძეგლთა დაცვის მინიმალური პირობები, მათ შორის, რესტავრაციის სტანდარტები. მიუხედავად ამისა, განსახილველი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოა, რომელი რელიგიური ორგანიზაციის დაკვეთით შესრულდება სამუშაო, თუ დაცული იქნება შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნები. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მოპასუხე მხარეს რაიმე არგუმენტი არ წარმოუდგენია. კერძოდ, მოპასუხეს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ არის გამორიცხული, რომ სხვა რელიგიური ორგანიზაციების მხრიდან შეკვეთილი მომსახურება (ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა) ასევე შეიძლება ემსახუროდეს იმავე ლეგიტიმურ მიზანს – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და შენარჩუნებას. ... სადავო რეგულირება მიმართულია არა კონკრეტულად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლებისაკენ, არამედ იმ მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლებისაკენ, რომელიც საპატრიარქოს დაკვეთით ხორციელდება. ამდენად, სადავო ნორმის რეგულირების ქვეშ შესაძლოა მოექცეს როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, ასევე ამგვარი სტატუსის არმქონე სხვა ტაძრებთან და ეკლესიებთან დაკავშირებული მომსახურება. ამავე დროს, სადავო ნორმის საფუძველზე დღგ-ისგან არ თავისუფლდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებით სხვა პირის (საპატრიარქოს გარდა) დაკვეთით განხორციელებული მომსახურებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმით დადგენილ დიფერენციაციას არ გააჩნია ლოგიკური კავშირი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესთან. ამ ლეგიტიმური მიზნის მიღწევა სრულად არის შესაძლებელი არსებითად თანასწორ პირებს შორის დიფერენცირების გარეშე<sup>35</sup>.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ისტორიაში ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარების მიზანს არ წარმოადგენს მართლმადიდებლობის, როგორც რელიგიური რწმენის, უპირატესობის წარმოჩენა სხვა რელიგიებთან შედარებით. ეკლესიისთვის გარკვეული უფლების მინიჭება არ გულისხმობს იმავე უფლებით სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ სარგებლობის ხელშეშლას. „ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება დაკავშირებულია მის ისტორიულ ღვაწლთან და არ ემსახურება

---

<sup>35</sup> იქვე, 26-27.

მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიისთვის პრივილეგირებული სამართლებრივი მდგომარეობის შექმნას აწმყოში. გაწეული ისტორიული ღვაწლი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც პრივილეგიის ლეგიტიმურობის წყარო. დიფერენცირება და ეკლესიისთვის სამართლებრივად უპირატესი მდგომარეობის შექმნა არ არის და არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის მიზანი. ამასთან, სასამართლო არ გამორიცხავს დიფერენცირების მართლზომიერებას ზოგიერთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხელშეწყობის ესა თუ ის ღონისძიება ობიექტურად და რაციონალურად იქნება დაკავშირებული ეკლესიის ღვაწლთან და კონკრეტულ ისტორიულ გარემოებებთან<sup>36</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, ვინაიდან სადავო ნორმით გათვალისწინებულ დიფერენცირებას არ გააჩნდა რაციონალური კავშირი მოპასუხე მხარის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზნებთან, ის ვერ პასუხობდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნებს.

### **კანონის დისკრიმინაციულობის შემოწმება „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ მიხედვით**

საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნისა და ინსტანციების მიხედვით განსხვავებულად განსაზღვრავდა სახელმწიფო ბაჟის ოდენობას ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, კერძოდ, კანონმდებელი იურიდიული პირებისთვის აწესებდა უფრო მაღალ სახელმწიფო ბაჟს.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ თანასწორობის უფლება ირღვეოდა კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსისადმი კუთვნილების ნიშნით. შესაბამისად, დიფერენცირების ნიშნის გამო, მკაცრი ტესტის გამოყენების საფუძველი არ არსებობდა. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა სადავო ნორმით არსებითად თანასწორ პირებს შორის შექმნილი დიფერენცირების ინტენსივობა. სასამართლოს განმარტებით: „სადავო ნორმები ადგენს ბარიერს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებაზე. თუმცა მათ კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სრულად არ წაურთმევია უფლება, თავიანთ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად სასამართლოსთვის მიემართათ და ესარგებლათ კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით. მართალია, აღნიშნული ნორმები კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის ითვალისწინებენ უფრო მაღალ სახელმწიფო ბაჟს, მაგრამ სადავო ნორმებით დადგენილი არ არის განუზომლად დიდი ხარჯები და როგორც თავად მოსარჩელემ განმარტა, მისთვის პრობლემას

<sup>36</sup> იქვე, 34-35.



წარმოადგენს დიფერენცირების ფაქტი და არა ბაჟის საფასურის ოდენობა თავისთავად. ამავე დროს, სადავო ნორმების საფუძველზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (სხვაობა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გადასახდელ ბაჟებს შორის) წარმოადგენს სასამართლოს ხარჯების და ზოგადად სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისათვის საჭირო რესურსის მცირე კომპონენტს, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მთლიან სასამართლო ხარჯებთან შედარებით უმნიშვნელოც კი იყოს. შესაბამისად, განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ სადავო ნორმები არსებითად თანასწორ პირებს მნიშვნელოვნად არ აცილებს სამართლიანი სასამართლოს თანაბარი ხელმისაწვდომობისაგან, დიფერენცირების ინტენსივობა არ აღწევს იმ ხარისხს, რომ უთანასწორობა შეფასდეს „მკაცრი ტესტის“ გამოყენებით, შესაბამისად სასამართლო დიფერენცირების კონსტიტუციურობას შეაფასებს „რაციონალური დიფერენცირების ტესტით“<sup>37</sup>.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ სადავო ნორმების საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება სასამართლოს მიერ გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად და უსაფუძვლო სარჩელებით სასამართლოს გადატვირთვის პრევენციისათვის იყო დადგენილი. სასამართლოს განმარტებით: „სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება განსახილველი საქმის ტიპიდან გამომდინარე და იგი არ არის დამოკიდებული საქმის სირთულეზე ან/და სასამართლოს მიერ გაწეული მომსახურების მოცულობაზე. ამკარაა, რომ კანონმდებლის მიერ დაწესებული სახელმწიფო ბაჟი არ არის სასამართლოს მიერ გაწეული მომსახურების ეკვივალენტური და სასამართლოს მიერ ამა თუ იმ საქმეზე გაწეული შრომის მოცულობა საერთოდ არ აისახება გადასახდელი ბაჟის ოდენობაზე. ზოგადად, სასამართლოსათვის მიმართვის, სასამართლოს მომსახურებით სარგებლობის უფლება თითოეული ადამიანის კონსტიტუციური გარანტიაა და კანონით დაწესებული ბაჟი არ არის დაკავშირებული ამ სერვისის ღირებულების ანაზღაურებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქართველოს პარლამენტის პოზიციას, რომლის თანახმადაც, სამართალწარმოების სახელმწიფო ბაჟის დაწესება სასამართლოს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნით ხდება“<sup>38</sup>.

თუმცა სასამართლომ სრულად გაიზიარა მოპასუხე მხარის არგუმენტი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ბაჟის დაწესება ამცირებს დაუსაბუთებელი, უმიზნო სარჩელების წარდგენის ალბათობას. სასამართლოს პოზიციის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის დაწესება ხელს უწყობს მხარეების მიერ სარჩელის მხოლოდ რეალური საჭიროების პირობებში წარდგენას, მაშინ, როდესაც მხარე მიიჩნევს, რომ მეორე მხარის მიმართ მას რეალური სამართლებრივი მოთხოვნა გააჩნია. ბაჟის

<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/623 საქმეზე შპს „სადა ზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 12.

<sup>38</sup> იქვე, 14.

დაწესებით სახელმწიფო ახალისებს სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეებს, იდავონ მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება რეალურად სჭირდებათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო დავებზე სასამართლოს განხილვისას სახელმწიფო ბაჟის დაწესება მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სასამართლო მოქმედებების უმრავლესობაზე ფიზიკური და იურიდიული პირები ერთი და იმავე მოცულობის სახელმწიფო ბაჟს იხდიან, რაც, სავარაუდოდ, მიანიშნებს, რომ კანონმდებელი, დაუსაბუთებელი სარჩელებისა თუ განცხადებებისაგან პრევენციის მიზნით, სახელმწიფო ბაჟის დაწესებას, ბაჟის მოცულობას თანაბრად ეფექტურ მექანიზმად მიიჩნევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებით. ამავე დროს, სადავო ნორმებით განსაზღვრულ დავებში, მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების, საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ან ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვისას კანონმდებელი მათთვის ბაჟის განსხვავებულ ოდენობას ადგენს. „მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია არანაირი არგუმენტი, რომელიც შეეხებოდა, გაამართლებდა ხსენებული ტიპის დავების სხვა დავებისგან განსხვავებულად მოწესრიგების წინაპირობებს. მხარეს საერთოდ არ მიუთითებია, თუ რატომ ეფუძნება სადავო ნორმებით გათვალისწინებული შემთხვევების სხვა შემთხვევისგან გამიჯვნა გონივრულ საფუძვლებს. მოპასუხე ვერ ასაბუთებს, თუ რატომ არის სწორედ სადავო ნორმებით დადგენილი მოთხოვნის ტიპები განსაკუთრებული რისკის შემცველი, და, იმ შემთხვევაშიც, თუკი ეს ასეა, რატომ მოიაზრება, რომ სწორედ იურიდიული პირები წარადგენენ უფრო მეტ უსაფუძვლო განცხადებას, ვიდრე ფიზიკური პირები. ... მოპასუხემ ასევე ვერ დაასაბუთა, თუ რატომ მიიჩნევს, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ერთნაირი ბაჟის ოდენობის დაწესება ნაკლებად ეფექტური იქნება იურიდიული პირების მიერ დაუსაბუთებელი სარჩელების წარდგენის პრევენციისთვის. ზოგადად, გონივრულია არგუმენტი, რომლის თანახმადაც, რაც უფრო მეტი ფინანსური რესურსი აქვს ამა თუ იმ პირს, მის მიმართ სახელმწიფო ბაჟს შეიძლება ნაკლებად ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი დაუსაბუთებელი სარჩელის წარდგენაზე. თუმცა აშკარაა, რომ პირის ფინანსური შესაძლებლობა არ არის დაკავშირებული მის სტატუსთან (ფიზიკურ ან იურიდიულ), ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფიზიკური პირი შეიძლება გაცილებით მეტ ფინანსურ რესურსს ფლობდეს იურიდიულ პირთან შედარებით ან/და პირიქით. ამავე დროს, ფიზიკურმა პირმა იმავე წარმატებით შეიძლება წარადგინოს თვითმიზნური, დაუსაბუთებელი სარჩელები, როგორც იურიდიულმა პირმა, და არც ამ თვალსაზრისით არსებობს ამ ორი პირის დიფერენცირების ხელშესახები საფუძველი.

...იმისათვის, რომ სადავო ნორმამ რაციონალური დიფერენციაციის ტესტის მოთხოვნები დააკმაყოფილოს, აუცილებელია სადავო ნორმით დადგენილი

დიფერენცირება მიზნის მიღწევის რაციონალურ საშუალებას წარმოადგენდეს. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადად, სადავო ნორმით გათვალისწინებულ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის დაწესება, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, თუმცა მოპასუხემ ვერ დაასაბუთა სადავო ნორმებით დაწესებული დიფერენცირებული მიდგომის საჭიროება. არ არსებობს ლოგიკური, რაციონალური ახსნა სადავო ნორმებით დადგენილ სახელმწიფო სერვისებზე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განსხვავებული სახელმწიფო ბაჟის დაწესების საჭიროებასთან დაკავშირებით“.<sup>39</sup>

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო, რადგან ვერ დადგინდა რეალური და რაციონალური კავშირი სადავო ნორმის მიზანსა და შერჩეულ საშუალებას შორის.

საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*<sup>40</sup> სასამართლომ ასევე გამოიყენა „რაციონალური დიფერენციაციის“ ტესტი.

მოცემულ შემთხვევაშიც დიფერენციაციის ნიშანი არ წარმოადგენდა მე-14 მუხლით აკრძალულ ნიშანს, ამასთან სასამართლომ დაადგინა, რომ დიფერენციაციის ინტენსივობა არ იყო მაღალი. სადავო ნორმა წარმოადგენდა დამატებით ტვირთს, რომელიც ეკისრებოდა მოსამართლეთა მხოლოდ ერთ ჯგუფს, თუმცა ეს რეგულაცია არსებითად არ ამორებდა მოსამართლეთა ამ ჯგუფს მეორე ჯგუფისგან მოსამართლის თანამდებობის დაკავების თანაბარი შესაძლებლობების უგულვებელყოფით, რადგან სადავო ნორმის მიხედვით, მათ 3 წლიანი განსაზღვრული ვადის პირობებში უფლება ჰქონდათ, დაეკავებინათ მოსამართლის თანამდებობა. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა მკვეთრად არ ამორებდა პირებს კონკრეტული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების თანაბარი შესაძლებლობებისგან.

კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა: „...განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმა ადგენს დიფერენცირებას, რადგან თანაბრად ეპყრობა ორ არსებითად უთანასწორო პირთა ჯგუფს, მაშინ როდესაც არ არსებობს პირთა ერთი ჯგუფის მიმართ მოსამართლის საქმიანობის დამატებითი შემოწმება/შეფასების საჭიროება. მოცემულ საქმეზე მოპასუხეს არ წარმოუდგენია სათანადო არგუმენტაცია, რომლითაც დაასაბუთებდა, რა რაციონალური ახსნა აქვს

---

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/623 საქმეზე *მპს „სადაზღვევო კომპანია უნიონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 17-19.

<sup>40</sup> *გასაჩივრებული იყო* „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტი, რომლის თანახმად, „სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება 3 წლის ვადით. ამ ვადის გასვლამდე არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 1 თვისა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ მუხლის 4<sup>4</sup> პუნქტით გათვალისწინებული შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაამწესოს თუ არა აღნიშნული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ“.

3 წლიანი ვადით თანამდებობაზე განმწესების სახით დამატებითი ტვირთის დაწესებას ისეთი მოსამართლეობის კანდიდატების მიმართ, რომელთა ამ ფორმით შეფასების ობიექტური საჭიროება არ არსებობს. ამგვარად, არ არის წარმოდგენილი სადავო ნორმით გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომის რაიმე რაციონალური საჭიროების დასაბუთება. ... ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა არ აკმაყოფილებს რაციონალური დიფერენციაციის ტესტს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულ თანასწორობის უფლებას“.<sup>41</sup>

### **კანონის დისკრიმინაციულობის შემოწმების სტადიები/კრიტერიუმები**

საკითხის მომეტებული სენსიტიურობა განსაკუთრებით ზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს პასუხისმგებლობას, ყოველ ჯერზე ზედმიწევნით სიფრთხილით და სისრულით შეამოწმოს დიფერენციაციის გამომწვევი ნორმების კონსტიტუციურობა. შედეგის თვალსაზრისით, მძიმეა როგორც დისკრიმინაციის არსებული ფაქტის უგულებელყოფა, ისე სახელმწიფოს მიმართ „ბრალდების წაყენება“, რომ მან დისკრიმინაციული კანონი მიიღო. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს სჭირდება საკმარისად მკაფიო, გასაგები და ხელშესახები საფუძვლები, ინსტრუმენტები ნორმის ამ თვალსაზრისით შეფასების ყველა ეტაპზე. საკონსტიტუციო სასამართლომ თანდათანობით, საკუთარი პრაქტიკით, დაადგინა, ერთი მხრივ, კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ მოსარჩელეებმა მათ მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის მტკიცებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, მოთხოვნები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფომ, რათა მის მიერ მიღებული რეგულაცია კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპის შესაბამისი იყოს.

### **როგორ ადგენს საკონსტიტუციო სასამართლო, აქვს თუ არა ადგილი დიფერენციაციას?**

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებში მსჯელობის შესაძლებლობისთვის საკონსტიტუციო სასამართლო, პირველ რიგში, არკვევს, პირები (პირთა ჯგუფები) წარმოადგენენ თუ არა არსებითად თანასწორებს. ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს პირები შედარებად კატეგორიებს უნდა წარმოადგენდნენ; ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში. ერთი და იგივე პირები გარკვეულ ურთიერთობასთან, ვითარებასთან მიმართებით შეიძლება განხილულ იქნენ არსებითად თანასწორად, ხოლო სხვა გარემოებებთან მიმართებით – არა. ამასთან, აშკარა უნდა იყოს არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა (ან არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა)<sup>42</sup>. უპირველესად, ამ საკითხების დადგენის გარეშე

<sup>41</sup> იქვე, 64-65.

<sup>42</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2.

შეუძლებელია ნორმის დისკრიმინაციულობის შეფასება, რადგან თუ ნორმა არ იწვევს პირთა დიფერენციაციას, მისი დისკრიმინაციულობის შეფასება საფუძველს მოკლებულია.

საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც ადგენდა სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის ზოგად ვალდებულებას, მათ შორის, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირების მიმართაც.

მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმა, გარდა იმისა, რომ არღვევდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირების რწმენის თავისუფლებას, ასევე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, კერძოდ: ა) პირებს, რომლებიც არსებითად უთანასწორობი არიან (რეზერვისტები, რომელთაც აქვთ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა და რეზერვისტები, რომელთაც არ აქვთ ასეთი წინააღმდეგობა), თანაბარ ტვირთს აკისრებდა – მათ ერთნაირად ევალდებოდათ სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდა; ბ) არსებითად თანასწორი პირების მიმართ (კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე წვევამდებლებისა და კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე რეზერვისტების მიმართ) ადგენდა განსხვავებულ მოპყრობას. კერძოდ, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე წვევამდებლებს ჰქონდათ ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოთხოვნის და, შესაბამისად, სამხედრო სამსახურისაგან გათავისუფლების უფლება, როდესაც ასეთი წინააღმდეგობის მქონე რეზერვისტებს ეს შესაძლებლობა არ გააჩნდათ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ უკვე მოხდილი ჰქონდათ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური).

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება, რომ სადავო ნორმა იწვევდა არსებითად თანასწორი პირების მიმართ არათანაბარ მოპყრობას. სასამართლოს აზრით, ნორმა ადგენდა დიფერენციაციას, მაგრამ მხოლოდ არსებითად არათანასწორი პირებისადმი თანაბარი მოპყრობით. სასამართლომ ზუსტად ამ დიფერენციაციის დისკრიმინაციულობა შეაფასა და დაადგინა კონსტიტუციის მე-14 მუხლის დარღვევა.

სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად: „სადავო ნორმა ადგენს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ვალდებულებას, გაიარონ სამხედრო სარეზერვო სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ რეგულაცია მიმართულია ყველა მოქალაქისადმი, ის არ ეხება ზოგადად სამხედრო ვალდებულებას ან სამხედრო სავალდებულო სამსახურს. მისი რეგულაციის უშუალო სფერო არის მხოლოდ სამხედრო სარეზერვო სამსახურის ვალდებულების დადგენა. შესაბამისად, ეს ნორმა საერთოდ არ ეხება წვევამდებლებს და მათ რეზერვვალდებული პირების თანაბრად ან მათგან განსხვავებულად არ უდგენს პრივილეგიებს ან აკრძალვებს. მაშასადამე, სადავო ნორმა არ ეხება ყველას, ვინც ზოგადად სამხედრო ვალდებულება უნდა მოიხადოს მისი ყველა ფორმით (სამხედრო სავალდებულო სამსახურის თუ სამხედრო სარეზერვო სამსახურის ფორმით), არამედ მისი ინტერესი ვრცელდება

მხოლოდ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ზოგადი ვალდებულების დადგენაზე. ბუნებრივია, ის, რომ სადავო ნორმა არ ვრცელდება წვევამდელებზე, ეს თავისთავად ვერ აბათილებს იმ რეალობას, რომ ზოგადად კანონმდებელი ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოთხოვნის მიმართ განსხვავებულ შესაძლებლობებს ადგენს წვევამდელებისა და რეზერვისტებისთვის... კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, რომ რეზერვში გასაწვევ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს, წვევამდელებისაგან განსხვავებით, არ აქვთ ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოთხოვნის უფლება (ამ დროს სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევისგან თავისუფლდებიან მხოლოდ ის პირები, ვინც უკვე მოიხადა არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური). მაგრამ სადავო ნორმის, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართების სწორად დადგენისათვის, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადავო ნორმა არ ეხება წვევამდელებს, ის მხოლოდ რეზერვისტებს ეხება. ...ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სადავო ნორმა იწვევს არსებითად თანასწორობა მიმართ არათანაბარ მოპყრობას – ანუ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე წვევამდელებისა და კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე რეზერვისტების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას, რადგან წვევამდელები არ წარმოადგენენ სადავო ნორმის რეგულირების სუბიექტებს.

სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმა შეეხებოდა რეზერვში გასაწვევ პირებს. თუმცა სარეზერვო სავალდებულო სამსახურის მიმართ ნაწილს აქვს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, მეორე ნაწილს – არა. შესაბამისად, ეს პირები უნდა იქნენ განხილულნი არსებითად უთანასწორობად მათი რწმენის მიხედვით. ...სადავო ნორმა, სიტყვასიტყვით, ადგენს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ვალდებულებას. ვინაიდან რეზერვისტები შეიძლება იყვნენ განსხვავებული რწმენის მქონე პირები, მათ შორის, იმ რწმენის მატარებლებიც, რომელიც უკრძალავს მათ ძალადობას, სიცოცხლის მოსპობას, ნეიტრალური შინაარსის კანონი მათთვის ერთნაირი ვალდებულების დადგენით ფაქტობრივად მათ განსხვავებულ, უთანასწორო რეჟიმს უდგენს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორად მოპყრობა“.<sup>43</sup>

საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ დებულება, რომლის თანახმადაც, საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიისთვის უნდა წარედგინა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ ცესკოს მიერ მითითებულ

<sup>43</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/477 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 70-74.

ანგარიშზე 5000-ლარიანი დეპოზიტის განთავსების დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტი. დეპოზიტზე შეტანილი თანხა კანდიდატს სრულად უბრუნდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამის არჩევნებში მონაწილეთა ხმების 10 პროცენტს მაინც მიიღებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს თანხა გადაირიცხებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმა იწვევდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისა და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატების, როგორც არსებითად თანასწორი პირების, მიმართ არათანაბარ მოპყრობას. მოპასუხის (საქართველოს პარლამენტის) აზრით, პოლიტიკური პარტია, საარჩევნო ბლოკი და საინიციატივო ჯგუფი, მათი ბუნებიდან და სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, განხილულ უნდა იქნენ როგორც არსებითად არათანასწორი პირები. მოპასუხის მტკიცებით, საინიციატივო ჯგუფი თავისი არსით სრულიად განსხვავდება პოლიტიკური პარტიისაგან. პოლიტიკური პარტია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და საერთო მსოფლმხედველობით ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილ მოქალაქეთა ნებაყოფლობით დამოუკიდებელ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც იქმნება განსაზღვრული მიზნებით, რომ მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. პარტიას აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობა განისაზღვრება პარტიის წესდებით, ჩამოყალიბებისა და იურიდიული ქმედუნარიანობის შეძენისათვის მას სჭირდება სამართლებრივი წესი რეგისტრაციისთვის, განსაზღვრული კრიტერიუმების და ბარიერების გადალახვა. პარტიის საქმიანობა, მისი ფინანსები და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის საკითხი სამართლებრივად განსაზღვრულია და კონტროლდება სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ. საარჩევნო ბლოკიც პოლიტიკური პარტიების გაერთიანების შედეგად იქმნება. მისი ჩამოყალიბებისათვის მსგავსი კრიტერიუმებია დადგენილი, როგორც პოლიტიკური პარტიების მიმართ. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პოლიტიკურ პარტიას თუ საარჩევნო ბლოკს მთელი რიგი პროცედურების გავლა უწევს. სახელმწიფოს მათ მიმართ კანონმდებლობით განსაზღვრული საკმაოდ ბევრი მოთხოვნა აქვს, მაგალითად, სარეგისტრაციო პროცედურები, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, ხმების ოდენობა და ა. შ. რაც შეეხება საინიციატივო ჯგუფს, კანონმდებელი მის მიმართ არ აწესებს რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნებს, გარდა რეგისტრაციისათვის საჭირო რამდენიმე პირის ხელმოწერისა და 5000-ლარიანი გირაოს გადახდის ვალდებულებისა. შედეგად, მოპასუხის აზრით, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისა და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატების არსებითად თანასწორად განხილვის შეუძლებლობას განაპირობებს სხვაობა მათ წარმდგენ სუბიექტებში. კერძოდ, ერთი მხრივ, არის პოლიტიკური პარტია, რომლის მიმართ კანონით წარდგენილი სარეგისტრაციო თუ სხვა მოთხოვნები განაპირობებს მის მეტ სიმყარეს და სერიოზულობას, ხოლო, მეორე მხრივ – საინიციატივო ჯგუფი, რომელიც სპონტანურად იქმნება კონკრეტული მიზნისთვის. შესაბამისად,

განსხვავებული მოპყრობა სახელმწიფოს მხრიდან „სრულიად ადეკვატურია, იქიდან გამომდინარე, რომ სუბიექტები არსებითად განსხვავებულნი არიან ერთმანეთისაგან“.<sup>44</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის ეს პოზიცია შემდეგ გარემოებათა გამო: „მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩევნებში მონაწილეობისას პასიური საარჩევნო უფლების მქონე სუბიექტები არსებითად თანასწორები არიან საარჩევნო პროცესის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, მათ პოლიტიკური პარტია წარადგენს თუ საინიციატივო ჯგუფი, რადგან ისინი ერთი და იგივე პრინციპზე დაყრდნობით, ერთი სისტემის ფარგლებში, ერთი და იგივე მიზნის მისაღწევად იღებენ არჩევნებში მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარმდგენი სუბიექტები განსხვავებულები არიან – პოლიტიკური პარტია, ბლოკი და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი თვისებრივად განსხვავებული წარმონაქმნებია როგორც ორგანიზაციული ფორმით, ისე საქმიანობის შინაარსით, მიზნებით, ფუნქციონირების ხანგრძლივობითა და დღის წესრიგით, ეს გავლენას ვერ მოახდენს მათ მიერ წარდგენილი კანდიდატების არსებითად თანასწორად განხილვის აუცილებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში, როგორც პარტია (ან ბლოკი), ისე საინიციატივო ჯგუფი წარმოადგენენ მხოლოდ შესაძლებლობას, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ფარგლებში, პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობისათვის და ამ გზით არჩევნებში მონაწილეობისათვის. ამიტომ, ცხადია, დეპუტატობის ამ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი სასტარტო პირობები და სამართლებრივი ბერკეტები, შესაძლებლობები ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესში წარმატების მიღწევისთვის. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით, არსებითად თანაბარი შესაძლებლობების გარანტირება აუცილებელია მთლიანად საარჩევნო პროცესში, შესაბამისად, კონსტიტუციური გარანტიები ამოქმედებას იწყებს არა უშუალოდ პასიური საარჩევნო უფლების მქონე სუბიექტების საარჩევნო კონკურენციის ეტაპიდან, არამედ თავად პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობაზე საქართველოს მოქალაქეთა თანაბარი წვდომის გარანტირების ეტაპიდან. თუ ეს არ იქნება უზრუნველყოფილი, გარკვეული ჯგუფები, მოქალაქეები საერთოდ ვერ შეძლებენ საკუთარი პასიური საარჩევნო უფლების გამოყენებას“<sup>45</sup>. მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლომ პოლიტიკური პარტიის, ბლოკის და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარული სისტემით ასარჩევი პარლამენტის წევრობის კანდიდატები არსებითად თანასწორ პირებად მიიჩნია, რომელთა მიმართ სადავო ნორმა ადგენდა განსხვავებულ მოპყრობას.

საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს

<sup>44</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 10.

<sup>45</sup> იქვე, II, 11.



*მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“; სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 6<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.*

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 6<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ქონება უსასყიდლოდ საკუთრებაში შეიძლება გადაეცეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს – დევნილებს, აგრეთვე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას“.

მოსარჩელე მხარის აზრით, სადავო ნორმა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას აძლევდა სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღების შესაძლებლობას, თუმცა ამავე უფლებით ვერ სარგებლობდნენ სხვა რელიგიური ორგანიზაციები.

საკონსტიტუციო სასამართლოს, უპირველესად, უნდა შეეფასებინა, სადავო ნორმით დადგენილი იყო თუ არა დიფერენცირებული მოპყრობა შესაძარებელი სუბიექტების მიმართ და იმყოფებოდნენ თუ არა ეს სუბიექტები ერთგვაროვან, მსგავს ვითარებაში (წარმოადგენდნენ თუ არა არსებითად თანასწორ სუბიექტებს). სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების თანახმად, საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს. შეთანხმების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, – სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“. წარმოდგენილი ნორმები ცხადყოფს, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს რელიგიურ

საქმიანობას და სადავო ნორმის საფუძველზე მას აქვს უფლება, სახელმწიფოსგან საკუთრებაში უსასყიდლოდ მიიღოს ქონება“.<sup>46</sup>

მოსარჩელები იყვნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციული ფორმით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციები. სასამართლოს მითითებით: „ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული რელიგიური გაერთიანებები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სახელმწიფოში რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მათ ეძლევათ სამართლებრივ ურთიერთობებში მორწმუნეთა ჯგუფის სახელით შესვლისა და შესაბამისი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამგვარი გაერთიანებების უმთავრესი მიზანი რელიგიური საქმიანობის განხორციელებაა. ხოლო ამ საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ საკუთრებაში არსებული უძრავი თუ მოძრავი ქონება. მაგალითად, საკუთრების უფლების სარგებლობით რელიგიური ორგანიზაციები უზრუნველყოფენ აღმსარებლობისთვის აუცილებელ პირობებს შესაბამისი რელიგიის მიმდევრებისთვის. აქედან გამომდინარე, ყველა რელიგიურ ორგანიზაციას თანაბრად აქვს სახელმწიფოსგან ქონების უსასყიდლოდ მიღებისა და მათი რელიგიური მიზნებისთვის გამოყენების ინტერესი. შესაბამისად, შესაძარბელი ჯგუფები არსებითად თანასწორ პირებს წარმოადგენენ. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმით სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში მიღების უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ საქართველოს ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას, აშკარაა, რომ სადავო ნორმა დიფერენცირებულად ეპყრობა არსებითად თანასწორ პირებს“<sup>47</sup>.

---

<sup>46</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება №1/1/811 საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“; სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“; სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“; სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9.

<sup>47</sup> იქვე, 10.

## გაეროს საზედამხედველო ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები

უნივერსალურ დონეზე დისკრიმინაციის აკრძალვა უზრუნველყოფილია გაეროს ფარგლებში მიღებული შემდეგი მნიშვნელოვანი აქტებით:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948 წ. (მე-2 მუხლი);
2. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (1965 წ.);
3. გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წ. (მე-2, 26-ე, მუხლები);
4. გაეროს პაქტი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ 1966 წ. (მე-2 მუხლი);
5. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1979 წ.

ევროპის საბჭოს დონეზე დისკრიმინაცია აკრძალულია:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით;
2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმით;
3. ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენციით.

**პირდაპირი დისკრიმინაცია** – პირდაპირი დისკრიმინაციის კონცეფცია ეწინააღმდეგება ფორმალური თანასწორობის იდეას და წარმოადგენს თანაბარ პირობებში მყოფი პირების არათანასწორ მოპყრობას აკრძალულ ნიადაგზე. როდესაც ორ ადამიანს ან ადამიანების ორ ჯგუფს ერთსა და იმავე სიტუაციაში განსხვავებულად ეპყრობიან (რესტორანში ან მაღაზიაში შესვლის აკრძალვა, დაბალი პენსია ან ხელფასი, სიტყვიერი შეურაცხყოფა და ძალადობა; კონკრეტული პროფესიის აკრძალვა ადამიანისათვის; მემკვიდრეობის უფლების აკრძალვა; უარი განათლებაზე; დეპორტაცია, რელიგიური სიმბოლოების ტარების შეზღუდვა).

პირდაპირი დისკრიმინაცია წარმოიშობა, როდესაც გარკვეული კატეგორიის პირების მიმართ ადგილი აქვს განსხვავებულ მოპყრობას და განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება, ან იმიტომ, ეს არ ემსახურება კანონიერ მიზანს, ან იმიტომ, რომ არ არსებობს გონივრული პროპორციულობა საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.

მაგალითად, საქმეში *Luczak v. Poland* ფრანგმა ფერმერმა, რომელიც ცხოვრობდა და ფერმერულ საქმიანობას ეწეოდა პოლონეთში, იჩივლა, რომ მას უარი ეთქვა პოლონურ ფერმერთა დასახმარებლად შექმნილ სოციალურ პროგრამაში ჩართვაზე, ვინაიდან მასში ჩართვის უფლება არ ჰქონდათ არაპოლონელებს. სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებელი იყო პოლონელ ფერმერებთან შედარებად მდგომარეობაში, ვინაიდან იგი იყო მუდმივი რეზიდენტი და ისევე იხდიდა გადასახადებს, როგორც პოლონელები, შესაბამისად, მას თავისი წვლილი

შექონდა სოციალური დაცვის პროგრამის შექმნაში. (ECtHR, Luczak v. Poland (No. 77782/01), 27 November 2007)

თუმცა ზემოხსენებული არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები კრძალავს ყველა სახის განსხვავებულ მოპყრობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსხვავებულ მოპყრობას თან უნდა სდევდეს „ობიექტური და გონივრული გამართლება“. იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად ჩაითვალოს, პირველ რიგში, იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევის ინტერესებს და დაცული უნდა იყოს გონივრული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის, ანუ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და შესაფერისი. ასეთი აუცილებლობის დროს შესაძლებელია გამართლებული იქნეს დისკრიმინაცია თვით აკრძალულ ნიადაგზეც კი (ეროვნული კუთვნილების, რასის ან სქესის ნიადაგზე). მაგალითად, დამსაქმებელს, რომელმაც გახსნა მექსიკური რესტორანი, შეუძლია შეფშხარეულის ვაკანსიის დაკავების მსურველების წრე შეზღუდოს მხოლოდ ეთნიკური მექსიკელებით, ხოლო ფილმის პროდიუსერმა მოითხოვოს შავი კანის ფერის მსახიობის მონაწილეობა ნელსონ მანდელას ცხოვრებასთან დაკავშირებული ფილმის გადაღებაში.

#### **ირიბი, არაპირდაპირი დისკრიმინაცია**

პირველი იდენტიფიცირებადი მოთხოვნა არის აშკარად ნეიტრალური წესი, კრიტერიუმი ან პრაქტიკა.

არაპირდაპირი დისკრიმინაცია ხდება მაშინ, როდესაც გარკვეული პრაქტიკა, მოქმედი ნორმა, მოთხოვნა ან პირობა, ერთი შეხედვით, ნეიტრალური ჩანს. თითქოს სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს ერთნაირად, თანასწორად ეპყრობიან, თუმცა ამგვარი მოპყრობის შედეგი ან გავლენა ნეგატიურად აისახება კონკრეტულ ჯგუფზე.

ირიბი ანუ არაპირდაპირი დისკრიმინაციის დროს აკრძალული საფუძვლით არ ხდება შეზღუდვა ან განსხვავება (მაგალითად, სქესის, რელიგიის, ორიენტაციის). თუმცა აკრძალვა ან შეზღუდვა ეხება ისეთ ნიშანს, რომელიც ექსკლუზიურად დამახასიათებელია კონკრეტული სქესის, რელიგიის თუ ორიენტაციის (ან სხვა ნიშნის) ადამიანისათვის (მაგალითად, შენობაში შესვლა დასაშვებია ყველასათვის, მაგრამ შენობაში არ შეიძლება შესვლა კაბით (რაც უწინარესად სქესზე მიუთითებს და ა.შ.)

ევროსაბჭოს მსგავსად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ #18 კომენტარში<sup>48</sup> არ არის განმარტებული არაპირდაპირი

<sup>48</sup> <https://www.refworld.org/docid/453883fa8.html>

დისკრიმინაციის ცნება, პაქტი ითვალისწინებს არა მხოლოდ პირდაპირ, არამედ არაპირდაპირ დისკრიმინაციასაც. არაპირდაპირ დისკრიმინაციად ითვლება ისეთი სიტუაცია, როდესაც კანონის თითქოსდა ნეიტრალური დებულება სხვებთან შედარებით არაპროპორციულად უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა კატეგორიაზე, ანუ ახდენს არაპირდაპირ დისკრიმინაციას („*რუსპერტ ალტჰამერი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ*“ #998/2001)<sup>49</sup>. საქმეში „*სიმუნევი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*“<sup>50</sup> კომიტეტმა განაცხადა, რომ კანონმდებლობის მიზანი არ არის მარტო იმის რეგულირება, დადგინდეს, მოხდა თუ არა 26-ე მუხლის დარღვევა. კანონმდებლობის განზრახვის მიუხედავად, კანონმა „შეიძლება იმოქმედოს 26-ე მუხლის საწინააღმდეგოდ, თუკი მისი მოქმედების შედეგები დისკრიმინაციულია“. (პუნქტი 11.7)

არაპირდაპირ დისკრიმინაცია ვლინდება სამი სხვადასხვა ფორმით:

- ა. როდესაც მოპყრობა ხდება განსხვავების გარეშე, წესი არის ამკარად ნეიტრალური, რაც კონკრეტული კატეგორიის პირებს აყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში და, ამავე დროს, იგი არ არის ობიექტურად და გონივრულად დასაბუთებული;
- ბ. როდესაც ხდება ზოგადი ღონისძიების გამოყენება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კონკრეტული კატეგორიის პირების არაპროპორციულად მაღალ რიცხვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ღონისძიების შედეგად ასეთი განსხვავებული გავლენა არის ობიექტურად და გონივრულად დასაბუთებული;
- გ. როდესაც ზოგადი ღონისძიების ავტორმა, ობიექტური და გონივრული დასაბუთების გარეშე, ვერ შეძლო მოპყრობოდა განსხვავებულად სპეციფიკურ პირს ან კატეგორიას (ჯგუფს) ზოგადი წესიდან გამონაკლისის გამოყენების გზით.

ევროპული სასამართლო იყენებს შემდეგ ფორმულირებას: ანალოგიურ ან შედარებით მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მოპყრობაში განსხვავება, რომელიც ეფუძნება იდენტიფიცირებად მახასიათებელს (ECtHR, *Carson and Others v. UK* [GC] (No. 42184/05), 16 March 2010; para. 61. Similarly, ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic* [GC] (No. 57325/00), 13 November 2007, para. 175; ECtHR, *Burden v. UK* [GC] (No. 13378/05), 29 April 2008, para. 60).

მაგალითად, *D.H. and Others v. the Czech Republic* საქმეში მთელი რიგი ტესტები იქნა გამოყენებული, რათა დადგენილიყო მოსწავლეების გონებრივი შესაძლებლობები და თავსებადობა იმის განსასაზღვრად, ვინ უნდა გადასულიყო საშუალო განათლების სკოლებიდან სპეციალურ სკოლებში. სპეციალური სკოლები შექმნილი იყო იმ პირებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა ტიპის სირთულეები სწავლისას. იგივე ტესტი იქნა გამოყენებული ყველა მოსწავლის მიმართ, რომელთა სპეციალურ სკოლაში გადაყვანაც განიხილებოდა. პრობლემური იყო ის, რომ ტესტი საშუალო

<sup>49</sup>

[https://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CCPR%2F78%2FD%2F998%2F2001&Lang=en](https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CCPR%2F78%2FD%2F998%2F2001&Lang=en)

<sup>50</sup> <https://juris.ohchr.org/Search/Details/536>

ჩეხი მოსახლეობის მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა, რის გამოც, დიდი ალბათობით, ბოშა ბავშვები, რომელთა განათლების მდგომარეობაც არ იყო დამაკმაყოფილებელი, ცუდად შეასრულებდნენ ტესტს. შედეგად, დაახლოებით 50%-90% ბოშა ბავშვებისა გამოეთიშა ჩვეულებრივ სტანდარტულ განათლების სისტემას და გადაიყვანეს სპეციალურ სკოლებში. სასამართლომ დაადგინა, რომ სახეზე იყო არაპირდაპირი დისკრიმინაცია (ECtHR, D.H. and Others v. the Czech Republic [GC] (No. 57325/00), 13 November 2007, para. 79).

### **შევიწროება და დისკრიმინირება (harassment and instruction to discriminate)**

საქმეში *Bączkowski and Others v. Poland*<sup>51</sup> ვარშავის მერმა გააკეთა ჰომოფობიური საჯარო განცხადება. მან განაცხადა, რომ იგი უარს ეტყოდა მსვლელობის ნებართვის გაცემაზე საორგანიზაციო ჯგუფს, რომელიც მიზნად ისახავდა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის გარშემო ცნობიერების ამაღლებას. როდესაც ადმინისტრაციულ ორგანომდე მივიდა აღნიშნული საკითხი, მათ მართლაც უარი განაცხადეს ნებართვის გაცემაზე, თუმცა უარის საფუძველად მიუთითეს დაპირისპირების თავიდან აცილება დემონსტრაციის მონაწილეებს შორის. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების დარღვევას მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. მან განაცხადა, რომ მერის განცხადებას შესაძლოა ჰქონოდა გავლენა შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებაზე (ECtHR, *Bączkowski and Others v. Poland* (No. 1543/06), 3 May 2007).

მსგავსი საქმეა ასევე *Alekseyev v. Russia*<sup>52</sup>, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რუსეთის მიმართ მე-11 მუხლის დარღვევა. კერძოდ, საქმე ეხებოდა რუსეთის მერიის მიერ ლგბტ პირების შეკრებისა და დემონსტრაციის აკრძალვას. რუსეთის ხელისუფლების არგუმენტი იყო თავად ლგბტ პირთა უსაფრთხოების დაცვა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის პრევენცია. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განაცხადა: „...კონვენციის მე-11 მუხლი იცავს ისეთი დემონსტრაციის თავისუფლებასაც, რომლითაც შესაძლოა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნონ ან გაღიზიანდნენ საპირისპირო შეხედულების მქონე ადამიანები. ამის მიუხედავად, ამგვარი დემონსტრაციის მონაწილეებს არ უნდა ჰქონდეთ იმის შიში, რომ საკუთარი ოპონენტების მხრიდან დაექვემდებარებიან ფიზიკურ ძალადობას“.

ზოგადი წესის თანახმად, როდესაც კონტრდემონსტრანტების მხრიდან არსებობს სერიოზული ძალადობის საფრთხე, სასამართლო ფართო დისკრეციას ანიჭებს სახელმწიფოს, შეარჩიოს შეკრების ხელის შეშლისაგან დაცვის საშუალება. ამის მიუხედავად, მხოლოდ ძალადობის რისკის არსებობა არასაკმარისია დაგეგმილი

51

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Bączkowski%20and%20Others%20v.%20Poland"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-80464"\]}\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

52

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Alekseyev%20v.%20Russia"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-101257"\]}\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

ლონისძიების გასაუქმებლად. ხელისუფლებას ევალეზა, დაადგინოს შეკრების ჩაშლის კონკრეტული რისკები, დაადგინოს, რა რესურსები გააჩნია სახელმწიფოს ძალადობრივი შეტაკების საფრთხის ნეიტრალიზებისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში წინასწარ არ მოხდა იმ რისკების შეფასება, რომლებსაც კონტრდემონსტრანტები უქმნიდნენ ლგბტ პირების შეკრებას.

აღნიშნულ საქმეში სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს სურდა, ეჩვენებინა, რომ „მის მიერ გატარებული ღონისძიებები იყო აუცილებელი კონკრეტულ სიტუაციაში“. ამ გარემოების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის მიმართ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრების და მანიფესტაციის უფლების) დარღვევა მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციასთან) ერთობლიობაში.

**ადამიანის ევროპული სასამართლო განსაკუთრებული ყურადღებით და მკაცრად ეკიდება ისეთ საქმეებს, რომლებიც ეხება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არაეფექტურ გამოძიებას ან მათი მხრიდან დისკრიმინაციას.**

როდესაც საქმე ეხება დისკრიმინაციას, სახელმწიფოს აქვს განსაკუთრებული ვალდებულება გამოიძიოს მსგავსი საქმეები, იყოს აქტიური და ეფექტური. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული მოიცავს ვალდებულებას, ჩატარდეს გამოძიება სავარაუდო დარღვევის რასისტული მოტივების გარშემო, ხოლო რადგან სახელმწიფომ ვერ შეძლო ამის განხორციელება, აღნიშნული შეფასდა დისკრიმინაციად (ECtHR, *Nachova and Others v. Bulgaria* [GC] (Nos. 43577/98 and 43579/98), 6 July 2005; ECtHR, *Turan Cakir v. Belgium* (No. 44256/06), 10 March 2009; similarly, ECtHR, *Šečić v. Croatia* (No. 40116/02), 31 May 2007).

მაგალითად, საქმეში *Turan Cakir v. Belgium* განმცხადებელი ჩიოდა მისი დაკავების დროს პოლიციის სისასტიკეზე, რამაც გამოიწვია მძიმე და აშკარა დაზიანებები, დაზიანებებს თან ახლდა მუქარა და რასისტული ხასიათის შეურაცხყოფა. სასამართლომ დაადგინა, რომ ძალადობამ გამოიწვია მე-3 მუხლის დარღვევა. კერძოდ, ადგილი ჰქონდა პირის მიმართ დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას. ასევე დადგინდა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო, ეფექტურად გამოეძიებინა მომჩივნის საჩივარი არასათანადო მოპყრობის შესახებ, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულების დარღვევა ამავე მუხლთან მიმართებაში. ფაქტის გამოუძიებლობამ ასევე გამოიწვია მესამე მუხლის დარღვევა დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებასთან ერთად, ვინაიდან სახელმწიფო არა მხოლოდ ვალდებული იყო გამოეძიებინა არასათანადო მოპყრობის ბრალდება, არამედ უნდა შეესწავლა ბრალდება იმის თაობაზე, რომ არასათანადო მოპყრობა განხორციელდა დისკრიმინაციული, კერძოდ, რასიზმის მოტივით.

საქმეში *Nachova and Others v. Bulgaria* ეხებოდა ორ ბოშა მამაკაცს, რომლებიც სასიკვდილო ჭრილობით გარდაიცვალნენ სამხედრო პოლიციისაგან გაქცევის მცდელობის დროს. ინციდენტისას ოფიცერმა, რომელმაც მოკლა მსხვერპლი,



დაიყვირა, „თქვე დაწყველილო ციგნებო“. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ადგილი ჰქონდა სიცოცხლის უფლების დარღვევას (მუხლი 2) არა მხოლოდ არსებითად, არამედ პროცედურულადაც, მკვლელობის ფაქტებზე გამოძიების არასათანადოდ ჩატარების გამო. დადგინდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან სახელმწიფოს ჰქონდა ვალდებულება, გამოეძიებინა და შეესწავლა სპეციფიკური დისკრიმინაციული მოტივი, რომელიც საქმეში ფიგურირებდა.

სახელმწიფოს ვალდებულება, ჩაერიოს დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის მიზნით და გამოიძიოს მსგავსი ფაქტები, ასევე ხაზგასმულ იქნა კერძო პირებთან მიმართებაშიც. საქმეში *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia* იელოვას მოწმეთა ჯგუფს თავს დაესხა ულტრა მართლმადიდებლური ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას ჰქონდა შეტყობინება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, არ აღკვეთილა ძალადობა. მოგვიანებით აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება შეწყდა იმ მოტივით, რომ შეუძლებელი იყო დამნაშავე პირთა ვინაობის დადგენა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის მარცხი, ჩარეულიყო და დაეცვა მსხვერპლი რასობრივად მოტივირებული ძალადობისაგან და შემდგომში ჩაეტარებინა ადეკვატური გამოძიება, წარმოადგენდა მე-3 მუხლის (არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) და მე-9 მუხლის დარღვევას (უფლება რელიგიის თავისუფლება) მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან იგი სწორედ რელიგიურ ნიადაგზე განხორციელდა.

***საქმეში გიულაი ჩეტინი თურქეთის წინააღმდეგ – 44084/10 (Gulay Cetin v. Turkey),*** 2013 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება, რომელშიც დადგინდა მე-3 მუხლის (დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა) დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, იმ გაუმართლებლად განსხვავებული მოპყრობის გამო რომელიც არსებობდა მძიმე სენით დაავადებულ დროებით დაკავებულ და გასამართლებულ პატიმრებს შორის.

კერძოდ, მომჩივანს დაუსვეს დიაგნოზი, კუჭის სიმსივნის ბოლო სტადია. მისი ყველა განაცხადი პირობით გათავისუფლებასთან დაკავშირებით უარყოფილ იქნა, რადგან მათი გამოყენება შეიძლებოდა იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც გამოტანილი იყო საბოლოო განაჩენი. ასეთი ინტერპრეტაცია, ნაწილობრივ განპირობებული იყო შესაბამისი საკანონმდებლო დებულებების არაზუსტი ხასიათით. ამასთან, არ არსებობდა ნორმა, რომელიც მოსამართლეს მოსთხოვდა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამოყენებისას სათანადოდ გაეთვალისწინებინა პატიმრის კლინიკური სურათი. შესაბამისად, ავადმყოფი პატიმრების დაცვის სისტემას არ გააჩნდა ისეთი საჭირო ატრიბუტები, როგორებიცაა სიცხადე, განჭვრეტადობა და ეფექტიანობა. პროცედურა ისეთი საშუალებით იყო გამოყენებული, რომ ფორმულებები დააყენა ადამიანურ მიდგომაზე მაღლა და ხელი შეუშალა მომჩივანს, რომელიც კვდებოდა, უკანასკნელი დღეები ღირსეულად გაეტარებინა. მისმა დაკავებამ, თურქულ კანონმდებლობაში თეორიულად არსებულ დაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობის გარეშე, გაანადგურა მისი ღირსება. შესაბამისად, მომჩივანს



ძალიან გაუძნელდა გარდაუვალად გადაჭარბებული ტანჯვის ატანა, რომელიც უკავშირდებოდა თავისუფლების აღკვეთასა და სიმსივნისაგან განკურნებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა მე-3 მუხლი.

რაც შეეხება მე-14 მუხლს, მომჩივნის მდგომარეობას, სასამართლომ განაცხადა, რომ როგორც „წინასასამართლო პატიმრობა“ ხვდება მე-14 მუხლის ცნებაში, „სხვა სტატუსი“. მომჩივანს შეეძლო ეჩივლა, რომ იგი იმყოფებოდა მდგომარეობაში, რომელშიც არიან „გასამართლებული პატიმრები“. შესაბამისად, ამ საქმეში გამოიყენება მე-14 მუხლი.

თურქეთის კანონმდებლობის თანახმად, წინასასამართლო პატიმრობა შეუთავსებელია გათავისუფლების სხვადასხვა ფორმასთან. უკურნებელი დაავადებით ავადმყოფობისას, წინასასამართლო პატიმრობაში მყოფი პირები არ სარგებლობდნენ ისეთი სამართლებრივი დაცვით, როგორც პირები, რომლებიც საბოლოო სასჯელს იხდიდნენ. თუმცა სასამართლომ განაცხადა, რომ ევროპული ციხის წესების\* თანახმად, არ შეიძლება დისკრიმინაცია იმ პირებს შორის, რომლებიც დროებით პატიმრობაში იმყოფებიან და იმ პატიმრებს შორის, რომლებსაც თავისუფლება ეზღუდებათ სასამართლოს განაჩენის შესაბამისად. სხვა რეკომენდაციები უკავშირდება იმ პირებთან მოპყრობას, რომელთა დაავადება ბოლო სტადიაშია. სასამართლოს განცხადებით, დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს, რომ წინასასამართლო პატიმრობაში მყოფ პირებს, რომლებიც დაავადების მოკლევადიანი ფატალური პროგნოზით იტანჯებიან, მიეცეთ შესაძლებლობა, სახელმწიფოს მიმართონ იმ ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც აქვთ მსჯავრდადებულ პატიმრებს. ეს შეეხება, როგორც ახლად მიღებულ, ასევე არსებულ ნორმებს.

საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა ოჯახურ ძალადობის ფაქტებზე, სახელმწიფოების რეაგირებასთან დაკავშირებით. 2009 წლის ივნისის საქმეში **ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ – 33401/02**, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს მიერ ოჯახური ძალადობის ფაქტზე არასათანადო ღონისძიებებს დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის, მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევა. კერძოდ საქმეში, რომლის თანახმადაც, განმცხადებლის დედა მისმა მეუღლემ მოკლა, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო მომჩივნისა და მისი დედის ეფექტური დაცვა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან, ვერ დაიცვა ვერც დედის სიცოცხლე<sup>53</sup>.

2002 წელს მომჩივნის დედას ესროლა და მოკლა მომჩივნის მეუღლემ, როდესაც ის ეხმარებოდა მომჩივანს გაპარულიყო მეუღლის სახლიდან. სროლამდე, რამდენიმე წლის განმავლობაში, მომჩივნის მეუღლე ძალადობდა მომჩივანსა და მის დედაზე, ზოგიერთ შემთხვევაში მათ, ექიმის დასკვნის თანახმად, მიიღეს სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები. ქალებმა რამდენჯერმე გააფრთხილეს სახელმწიფო უწყებები მათზე განხორციელებული ძალადობის ფაქტებისა და მათი სიცოცხლის საფრთხის

<sup>53</sup>[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["opuz"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-92945"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნის მეუღლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სხვადასხვა დანაშაულის გამო, მათ შორის, როგორებიცაა სიკვდილის მუქარა, მძიმე თავდასხმა და მკვლელობის მცდელობა მინიმუმ ორ შემთხვევაში, ეს ქმედებები გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც ქალებმა გამოიტანეს საჩივარი, სავარაუდოდ, მომჩივნის მეუღლის ზეწოლის გამო.

მე-2 მუხლთან მიმართებაში სასამართლომ განაცხადა, რომ თურქეთის სახელმწიფოს შეეძლო რისკის წინასწარ განჭვრეტა, ვინაიდან საქმე წარმოადგენს მომჩივნისა და მისი დედის მიმართ განხორციელებული მზარდი ძალადობის ნიმუშს, რომელიც საკმარისად სერიოზული იყო იმისათვის, რომ პრევენციული ღონისძიებები ყოფილიყო გამოყენებული, ვინაიდან მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ემუქრებოდა მუდმივი საფრთხე. მომჩივნის საქმეში, მიუხედავად ძალადობის ნიმუშისა და სასიკვდილო იარაღის გამოყენებისა, სახელმწიფო უწყებებმა რამდენჯერმე შეწყვიტეს სისხლის სამართლებრივი დევნა ქმრის წინააღმდეგ, რათა თავიდან აეცილებინათ ის, რასაც ისინი „ოჯახურ საქმეში“ ჩარევას უწოდებდნენ და ყურადღება არ მიუქცევიათ საჩივრის უკან გამოტანის მოტივისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ინფორმირებულნი იყვნენ სიკვდილის მუქარის თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს უუნარობა – განუზრახველიც კი – დაიცვას ქალები ოჯახში ძალადობისგან, არღვევს მათ უფლებას, სარგებლობდნენ კანონის დაცვის თანაბარი შესაძლებლობებით.

მსგავსად ზემოაღნიშნული საქმისა, ოჯახური ძალადობის საქმეზე არაეფექტურ ღონისძიებებს ეხება *Eremia v. Moldova*, 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მოლდოვას დაუდგინა მე-3, მე-8 და მე-14 მუხლების დარღვევა იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს განმცხადებლის ეფექტურად დაცვა ქმრის ძალადობისაგან. საქმის თანახმად, ქ-ნი ლილია ერემია და მისი ორი ქალიშვილი მეუღლის მხრიდან მუდმივი ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ. მან არაერთხელ მიმართა შესაბამის ორგანოებს, თუმცა მათ მიერ გატარებული ღონისძიებები იყო არაეფექტური, უფრო მეტიც, ერთ-ერთ შემთხვევაში სოციალურმა მუშაკებმა მას ქმართან შერიგება ურჩიეს, ვინაიდან „იგი არც პირველი იყო და არც უკანასკნელი ქალი ვინც ქმარმა სცემა“. მიუხედავად იმისა, რომ ქმარმა აღიარა მის მიერ მოსარჩელეზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები, პროკურორმა მიიჩნია აღნიშნული ქმედებები „ნაკლებ სერიოზულად“ და იგი გათავისუფლებულ იქნა საპროცესო შეთანხმებით.

სასამართლოს განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვას ამ მომენტისათვის ჰქონდა შესაბამისი კანონმდებლობა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, პრაქტიკაში მისი არაეფექტიანი გამოყენება იწვევდა კონვენციის დარღვევას. მუდმივი შეურაცხყოფა და არაადამიანური მოპყრობის შიში უტოლდება კონვენციის მე-3 მუხლით დაცულ წამებისა და არაადამიანური

მოპყრობის აკრძალვას და მსგავს შემთხვევებზე სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური გამოძიების წარმოება მე-3 მუხლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მაშინაც, როდესაც აღნიშნულს ადგილი აქვს კერძო პირთა შორის. სასამართლომ ასევე დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა და განაცხადა, რომ ოჯახური ძალადობა უნდა იქნეს მიჩნეული სქესის საფუძველზე განხორციელებულ დისკრიმინაციად. აღნიშნულ საქმეზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ერთობლიობაში, კერძოდ, არაეფექტური საპასუხო ღონისძიებები ძალადობაზე, ზეწოლა, გამოეტანა საჩივარი, მოწოდება, შერიგებოდა მოძალადე მეუღლეს, მიუთითებს მის, როგორც ქალის, მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომაზე.

აღნიშნული საქმე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სასამართლო პრაქტიკაში მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და თუ მანამდე სასამართლო ოჯახური ძალადობის საქმეებს მე-8 მუხლით განიხილავდა, აქ ხაზი გაუსვა, რომ მსგავსი ფაქტები ასევე მე-3 და მე-14 მუხლებსაც მოიცავს.

**ბეკოსი და კუტროპულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ (CASE OF BEKOS AND KOUTROPOULOS v. GREECE) (განაცხადი no. 15250/02)**

ეთნიკურად ბოშა მომჩივნები დააკავეს მარცვის მცდელობისათვის. მათი განცხადებით, დაკავებისას პოლიციელებმა მათ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ფიზიკური შეურაცხყოფა განხორციელდა როგორც წინასწარი დაკავების დაწესებულების შეყვანის, ისე დაკითხვის დროს. მათ განაცხადეს, რომ ესმოდათ ერთმანეთის ტირილის ხმა და აღნიშნეს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა არაერთხელ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, როდესაც მიუთითებდნენ მათ ბოშურ წარმომავლობაზე. განმცხადებლებმა აღნიშნული ფაქტი დააფიქსირეს, თუმცა მოგვიანებით მათ ევროპულ სასამართლოს მიმართეს, ვინაიდან აცხადებდნენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან მათი დისკრიმინაციის, არაადამიანური მოპყრობის საქმეზე შესაფერისი რეაგირება ეროვნულ დონეზე არ განხორციელებულა. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ხელისუფლების ვალდებულება, გამოიძიოს შესაძლო კავშირების არსებობა რასისტულ დამოკიდებულებასა და ძალადობის აქტს შორის, მისი პროცედურული, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული, ვალდებულების ნაწილია, მაგრამ იგი ასევე შეიძლება დავინახოთ კონვენციის მე-14 მუხლით დაკისრებულ ვალდებულებათა შორის, რომელიც უზრუნველყოფს მე-3 მუხლში ჩადებული ფუნდამენტური ღირებულების დაცვას დისკრიმინაციის გარეშე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულ ხელისუფლებას ჰქონდა არა მარტო განმცხადებელთა წერილობითი ჩვენებები, არამედ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებიც, რომლებიც მიაჩნებდნენ ქვეყანაში ამ კუთხით არსებულ სისტემურ პრობლემაზე. მსგავს სიტუაციებში სასამართლოს აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა, ობიექტურად გამოიძიოს სავარაუდო რასისტული მოტივით ჩადენილი დანაშაულები, რაც სასამართლოს შეფასებით აღნიშნულ საქმეში არ მომხდარა, შესაბამისად, დადგინდა მე-14 მუხლის დარღვევა მე-3 მუხლთან მიმართებაში.

### სპეციალური ღონისძიებები

„კანონის წინაშე თანასწორობა არ ნიშნავს აბსოლუტურ თანასწორობას, სახელდობრ კი ადამიანთა მოპყრობას მათი ინდივიდუალური კონკრეტული გარემოებების გათვალისწინების გარეშე, არამედ იგი ასახიერებს პრინციპს, რომლის თანახმადაც თანაბრად უნდა განხორციელდეს მოპყრობა მათდამი ვინც იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში, ხოლო არათანაბრად უნდა განხორციელდეს მოპყრობა მათდამი ვინც არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში“.<sup>54</sup> ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს სახელმწიფოების პასუხისმგებლობა და ვალდებულებათა სახეები დისკრიმინაციის აკრძალვის სფეროში. კერძოდ, სახელმწიფოებს ეკისრებათ როგორც ნეგატიური ვალდებულება (თანასწორად მოეპყრონ თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს), ასევე პოზიტიური ვალდებულება (განსხვავებულად მოეპყრონ არათანაბარ პირობებში მყოფ პირებს, რათა მათ თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი უფლებებსა და თავისუფლებებზე).

სახელმწიფოს როლი, ვალდებულება და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია დისკრიმინაციის ეფექტურ პრევენციაში, რადგან არათანაბარი მოპყრობის განხორციელების ბევრი საშუალება, გზა და სურვილი (განზრახ ან დუმილით გამოხატული) არსებობს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები კრძალავს ყველა სახის განსხვავებულ მოპყრობას. განსხვავებულ მოპყრობას თან უნდა სდევდეს „ობიექტური და გონივრული გამართლება“. იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა გამართლებულად ჩაითვალოს, პირველ რიგში, იგი უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევის ინტერესებს და დაცული უნდა იყოს გონივრული პროპორციულობა მისაღწევ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებებს შორის, ანუ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს აუცილებელი და შესაფერისი.

არაპირდაპირი დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაატაროს სპეციალური ღონისძიებები – აღნიშნულით მიიღწევა რეალური და არა ფორმალური თანასწორობა. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ „უფლება, არ იყო დისკრიმინირებული და ისარგებლო [ECHR] განსაზღვრული უფლებებით დისკრიმინაციის გარეშე, ირღვევა მაშინაც, როდესაც სახელმწიფო ... ვერ ახერხებს, განსხვავებულად მოეპყროს პირებს რომელთა მდგომარეობაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია (ECtHR, Thlimmenos v. Greece [GC] (No. 34369/97), 6 April 2000, para. 44)“.

აღნიშნულ საქმეში ეროვნული კანონმდებლობა უკრძალავდა ბუღალტრის პროფესიით მუშაობას ნასამართლევ პირებს, ვინაიდან ითვლებოდა, რომ ნასამართლობა მიუთითებდა ამ პროფესიით მუშაობისათვის საჭირო კეთილსინდისიერებისა და საიმედოობის ნაკლებობაზე. განმცხადებელი, იელოვას

<sup>54</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე ტანაკას მოსაზრება დასავლეთ აფრიკის საქმეზე (Judge Tanaka in the South West Africa case (ICJ Rep. 1966, 4).

მოწმე (რელიგიურ ჯგუფი, რომელიც პაციფიზმის ერთგულია), ნასამართლევნი იყო სამხედრო უნიფორმის ტარებაზე უარის თქმის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ ისეთი პირებისათვის, რომელთა ნასამართლობაც არ უკავშირდებოდა კეთილსინდისიერებასა და საიმედოობას, პროფესიის აკრძალვის მიზეზი არ არსებობდა. ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ მოახდინა განმცხადებლის დისკრიმინაცია, ვინაიდან ვერ მოახერხა, შეექმნა გამონაკლისი წესიდან ასეთი სიტუაციებისათვის, შესაბამისად, განმცხადებლის მიმართ დაირღვა რელიგიის თავისუფლების უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებასთან ერთობლიობაში.

დაუცველი ჯგუფების სასარგებლოდ პოზიტიური ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე საუბრობს გაეროს ადამიანის უფლებათა საზედამხედველო ორგანოების მიერ გამოცემული სახელმძღვანელო მითითებებიც. კერძოდ, მათ მიერ არაერთხელ დაფიქსირდა, რომ ასეთი ღონისძიებები უნდა იყოს დროებითი და არ უნდა სცდებოდეს დროის ან გამოყენების სფეროს, რომელიც საჭიროა უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.<sup>55</sup>

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის თანახმად, იმისათვის, რომ პოზიტიური ღონისძიებები ჯეროვნად შეფასდეს, მსგავსი ღონისძიებების მიზანი უნდა იყოს არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა და მომავალში დისბალანსის პრევენცია<sup>56</sup>. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა განაცხადა, რომ ასეთი „დროებითი სპეციალური ღონისძიებები“ შეიძლება მოიცავდეს უპირატესობის მინიჭებას მოპყრობისას. მაგალითად, მიზნობრივი დასაქმება, ხელშეკრულებით აყვანა და დაწინაურება; კვოტირების სისტემა.<sup>57</sup>

სპეციალური ღონისძიებების, რომლებიც მიზნად ისახავს პირის ან პირთა ჯგუფისთვის უპირატესობის მინიჭებას დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, ტიპური მაგალითია ქალებისათვის პოსტების/თანამდებობების დარეზერვება, როდესაც სამუშაო ადგილებზე მამაკაცები დომინირებენ ან, მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების თანამდებობებით უზრუნველყოფა საჯარო სექტორში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი

<sup>55</sup> UN Committee on the Elimination of Racial Discrimination, ‘General Recommendation No. 32: The Meaning and Scope of Special Measures in the International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination’ UN Doc. CERD/C/GC/32, 24 September 2009; UN Committee on Economic Social and Cultural Rights, ‘General Comment 13: The Right to Education’ UN Doc. E/C.12/1999/10, 8 December 1999; UN Committee on the Elimination of Discrimination Against Women, ‘General Recommendation No. 25: Article 4(1) of the Convention (temporary special measures)’ UN Doc. A/59/38(SUPP), 18 March 2004; UN Human Rights Committee, ‘General Comment No. 18: Non-Discrimination’ UN Doc. A/45/40(Vol.I)(SUPP), 10 November 1989; UN Committee on the Elimination of Racial Discrimination, ‘General Recommendation No. 30 on Discrimination against NonCitizens’ UN Doc. HRI/GEN/1/Rev.7/Add.1, 4 May 2005.

<sup>56</sup> UN Committee on the Elimination of Racial Discrimination, ‘General Recommendation No. 32: The Meaning and Scope of Special Measures in the International Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination’ UN Doc. CERD/C/GC/32, 24 September 2009, paras. 21-26.

<sup>57</sup> UN Committee on the Elimination of Discrimination Against Women, ‘General Recommendation No. 25: Article 4, para. 1 of the Convention (temporary special measures)’ UN Doc. A/59/38 (supp), 18 March 2004, para. 22.

უკეთესი ჩართულობის მიზნით. მსგავს ქმედებას ხშირად „პოზიტიურ“ ქმედებად მოიხსენიებენ, ვინაიდან ეს არის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ტრადიციულად არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ჯგუფის მონაწილეობისა და აქტივობის ხელშეწყობას და წარსული უთანასწორობის აღმოფხვრას. მსგავსი ქმედებები არის კეთილმოსურნე და არ ეფუძნება კონკრეტული ჯგუფის გარშემო არსებულ ცრურწმენებს. მაგალითად, საქმეში *Wintersberger v. Austria (Wintersberger v. Austria (friendly settlement))* (No. 57448/00), 5 February 2004) განმცხადებელი, რომელიც იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, გათავისუფლებულ იქნა სახელმწიფო სამსახურიდან. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, შშმ პირები ექცეოდნენ სპეციალური დაცვის მექანიზმის ქვეშ, რის გამოც მათი გათავისუფლების გადაწყვეტილებაზე თანხმობა მიღებული უნდა ყოფილიყო სპეციალური კომიტეტისგან. იმ შემთხვევებში კი, როდესაც დამსაქმებლისთვის არ იყო ცნობილი დასაქმებულის შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ, მსგავსი თანხმობის გამოცემა შესაძლებელი იყო რეტროაქტიურად. არაშშმ პირების გასათავისუფლებლად მსგავსი თანხმობა არ იყო საჭირო. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ გათავისუფლების განსხვავებული წესები შშმ და არაშშმ პირების მიმართ, იყო დისკრიმინაციული. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ჩანაწერი კანონში არსებობდა შშმ პირების უკეთ დასაცავად და იყო დასაბუთებული.

### **მნიშვნელოვანი ასპექტები**

დისკრიმინაცია აღწერს ისეთ სიტუაციას, როდესაც ინდივიდი არის გარკვეული სახის არახელსაყრელ მდგომარეობაში „დაცული საფუძვლის“ გამო.

- დისკრიმინაციას აქვს სხვადასხვა სახე: პირდაპირი დისკრიმინაცია, არაპირდაპირი დისკრიმინაცია, დევნა (harassment), მითითება, წაქეზება დისკრიმინაციისკენ.
- პირდაპირი დისკრიმინაცია ხასიათდება განსხვავებული მოპყრობით: უნდა იყოს აშკარა, რომ სავარაუდო მსხვერპლს მოეპყრნენ ნაკლებად ხელსაყრელად, რაც გამოწვეული იყო „დაცული საფუძვლით“.
- ნაკლებად სასურველი (favourable) მოპყრობა დგინდება სავარაუდო მსხვერპლისა და სხვა პირის შედარებით, რომელიც არ წარმოადგენს დაცულ ჯგუფს.
- არაპირდაპირი დისკრიმინაციას ახასიათებს განსხვავებული ეფექტი ან გავლენა: შესადარებელ ჯგუფთან მიმართებით ნაჩვენები უნდა იყოს, რომ ჯგუფი არახელსაყრელ მდგომარეობაშია მიღებული გადაწყვეტილების გამო.

### **განსხვავებული მოპყრობა**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით (ECtHR, *Burden v. UK* [GC] (No. 13378/05), 29 April 2008, para. 60): „...ერთგვაროვან სიტუაციაში მყოფი ადამიანების განსხვავებული მოპყრობა ... არის დისკრიმინაციული, თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ იგი არ

ემსახურება კანონიერ მიზანს და თუ არ არის დაცული გონივრული პროპორციულობა საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის“.

სასამართლო იყენებს ტერმინს „შეფასების ფარგლები“, რომელიც ეხმიანება და უკავშირდება სახელმწიფოს დისკრეციას იმის განსაზღვრაში, განსხვავებული მოპყრობა არის თუ არა დასაბუთებული.

### შედარების ობიექტი

იმისთვის, რომ მოხდეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დისკრიმინაციის იდენტიფიცირება, აუცილებელია, არსებობდეს ე.წ. „შედარების ობიექტი“, რათა შეფასდეს, სხვა პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც არიან ისეთივე სიტუაციაში, განიცდიან თუ არა ანალოგიურ ნეგატიურ ეფექტს. მაგალითად: ჯონსტონის და სხვათა საქმე ირლანდიის წინააღმდეგ (Johnston and others v Ireland 18 Dec, 1986). ირლანდიელმა მომჩივანმა მიმართა სასამართლოს და განაცხადა, რომ რადგან ირლანდიაში განქორწინება იყო აკრძალული, მას არ ჰქონდა განქორწინების უფლება, მაშინ, როდესაც იმ ირლანდიელ პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ სხვა ქვეყანაში, ჰქონდათ მსგავსი უფლება. შესაბამისად, იგი აცხადებდა, რომ იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი. სასამართლომ აღნიშნულ შემთხვევაში განაცხადა, რომ სახეზე არ იყო შედარებადი სიტუაცია და, შესაბამისად, განქორწინების აკრძალვა არ წარმოადგენდა დისკრიმინაციულს.

### დასაბუთებულობა

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ფასდება დისკრიმინაციის დასადგენად, არის განსხვავებული მოპყრობის დასაბუთებულობა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ დაადგინა შემდეგი კრიტერიუმები: იმისათვის, რომ განსხვავებული მოპყრობა იყოს დასაბუთებული, იგი უნდა იყოს ობიექტური და გონივრული, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და უნდა აკმაყოფილებდეს პროპორციულობის ტესტს (James and others v the UK; ECtHR 21. Feb, 1986). ადამიანის უფლებათა სასამართლო განასხვავებს შემთხვევებს, როდესაც წევრ სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ფარგლები და შემთხვევებს, რომლებიც მოითხოვს მეტ ყურადღებასა და კრიტიკულ მიდგომას.

ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს ფართო შეფასების ფარგლები. სასამართლომ განაცხადა, რომ შეფასების ფარგლების საზღვრები დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, დავის საგანზე (შესწავლის საგანზე). შესწავლის საგანს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმის განსაზღვრად, წევრ სახელმწიფოს აქვს თუ არა შეფასების ფარგლები და რამდენად ადვილად არის შესაძლებელი დისკრიმინაციული ქმედების გამართლება და დასაბუთება. ნაკლებად (კეთილგანწყობილი) favourable მოპყრობის გამართლება არის ძალიან რთული თავისი ბუნებიდან გამომდინარე და, შესაბამისად, ამის გაკეთება მხოლოდ „ძალიან წონვადი მიზეზით“ შეიძლება. აღნიშნული ვრცელდება, მაგალითად,



დისკრიმინაციაზე სქესის ნიშნით. Abdulaziz, Cabales and Balkandali საქმეში<sup>58</sup> სასამართლომ განაცხადა, რომ შრომის ბაზრის დაცვა არ წარმოადგენს საკმარის მიზეზს, მამაკაცებთან შედარებით ქალებისათვის უფრო მკაცრი საიმპერაციო წესების მისაღებად. ასევე აღსანიშნავია, რომ სასამართლოსათვის, როგორც წესი, „მიუღებელია“ დისკრიმინაცია რელიგიისა და აღმსარებლობის საფუძველზე, როგორც ეს განაცხადა Hoffmann<sup>59</sup>-ის საქმეში ან საჭიროებს კრიტიკულ შესწავლას „strict scrutiny“, როგორც ეს განაცხადა Thlimmenos-ის საქმეში<sup>60</sup>.

სექსუალური ორიენტაციაზე დაყრდნობით განსხვავება ასევე საჭიროებს კრიტიკულ შესწავლას. S. L. V v Austria საქმეზე სასამართლომ განაცხადა, რომ ერთსქესიანი წყვილების მიერ შვილად აყვანის შესახებ სახელმწიფომ შეიძლება განუცხადოს წყვილს უარი და ეს გამართლებული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესით (Fretté v. France (Application no. 36515/97) 26.02.2002). მსგავსი მიდგომა განავითარა სასამართლო საქმეში გასი და დუბოისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Gas and Dubois v. France), რომელშიც მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ისინი, ჰეტეროსექსუალურ წყვილებისგან განსხვავებით, გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, რადგან საფრანგეთში არ არსებობდა სამართლებრივი საშუალებები, რათა იგივე სქესის წყვილებს ჰქონოდათ შესაძლებლობა, ბიოლოგიური მშობლის მეუღლე აღიარებულიყო მშობლად. საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, მსგავსი უფლება ჰქონდათ დაქორწინებულ პირებს, საფრანგეთში ერთსქესიანი წყვილების ქორწინების ინსტიტუტის არარსებობის გამო კი განმცხადებლები არ იყვნენ დაქორწინებულები. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ისინი არ ითხოვდნენ ქორწინებაზე ხელმისაწვდომობას, არამედ, მათი მტკიცებით, რადგან მათი სიტუაცია შედარებით მსგავსი იყო დაქორწინებულ წყვილებთან მიმართებაში, ისინი დავობდნენ მხოლოდ შვილების საკითხს. სასამართლომ განაცხადა, რომ ქორწინება მოიცავს სპეციალურ სტატუსს ქორწინებაში მყოფი პირებისთვის. ქორწინების უფლების გამოყენება დაცულია კონვენციის მე-12 მუხლით და ითვალისწინებს სოციალურ, პირად და სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბიოლოგიური მშობლის მეუღლის მშობლად აღიარების მიზნებისთვის, მომჩივანთა სამართლებრივი სიტუაცია არ შეიძლება შედარებულ იქნეს დაქორწინებული წყვილის მდგომარეობასთან. არამედ, წყვილი იყო შედარებად მდგომარეობაში დაუქორწინებელ ჰეტეროსექსუალ წყვილთან. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ჰეტეროსექსუალი წყვილები, საფრანგეთის კანონმდებლობით, მომჩივანთა მსგავსად, მარტივი პროცედურით შვილად აყვანის ნებართვაზე უარს იღებდნენ, სასამართლომ დისკრიმინაცია არ დაადგინა. თუმცა საქმეში E.B. v. France, რომელშიც მომჩივანს უარი ეთქვა შვილის აყვანაზე, რადგან მის ოჯახში მამაკაცის როლური მოდელის შემსრულებელი არ იყო, მაშინ, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა არ უკრძალავდა ბავშვის აყვანას მარტოხელა მშობლებს, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას

<sup>58</sup> Eur. Ct. H.R., Abdulaziz, Cabales and Balkandali v. United Kingdom, judgment of 29 May 1985.

<sup>59</sup> Ct. HR, Hoffmann v. Austria, judgment of 23 June 1993.

<sup>60</sup> Eur. Ct. HR (GC), Thlimmenos v. Greece (Appl. N°34369/97), judgment of 6 April 2000.



სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. ეს უკანასკნელი ეხებოდა დაუქორწინებელი ჰომოსექსუალი პირის მიერ შვილად აყვანაზე ნებართვის მისაღებად წარდგენილ შუამდგომლობის განხილვას. ამ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ საფრანგეთის კანონი უშვებდა მარტოხელა პირებს შვილად აყვანათ ბავშვი, შესაბამისად, უშვებდა შვილების შესაძლებლობას მარტოხელა ჰომოსექსუალი პირის მხრიდან. ადგილობრივი სამართლებრივი დებულებების გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ჩაითვლებოდა დამაჯერებლად და საფუძვლიანად, რათა დასაბუთებულიყო ნებართვაზე უარის თქმა. მის განცხადებაზე უარის თქმის საფუძველები დაკავშირებული იყო მის პერსონალურ სიტუაციასთან და სასამართლომ ის დისკრიმინაციულად მიიჩნია.

ასეთივე მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა კომიტეტს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქმეში „ტონენი ავსტრალიის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ სექსუალური ორიენტაცია მიეკუთვნება პირადი ცხოვრების სფეროს. აღნიშნულ საქმეში მან ორ ზრდასრულ მამაკაცს შორის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადად მიჩნეული ნებაყოფლობითი ჰომოსექსუალური კავშირი მიიჩნია ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევად (მე-17 მუხლი). თუმცა საქმეში „ჯულიეტ ჯოსლინი და სხვები ახალი ზელანდიის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ ერთსქესიანი (ამ შემთხვევაში ლესბოსელი) ურთიერთობების ქორწინების ფორმით აღიარებაზე უარის თქმა არ წარმოადგენდა მე-17 მუხლით დაცული ქორწინების უფლებით ან პაქტით აღიარებული რომელიმე უფლების დარღვევას.

ძალიან მკაცრი ზედამხედველობა ხდება, როდესაც სახეზეა დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკითხი ეხება უცხოელთა სახელმწიფოებში შესვლასა და გაძევებას (Moustaquim<sup>61</sup>-ის საქმე). და ბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება და მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დისკრიმინაციას რასის საფუძველზე (Cyprus v Turkey<sup>62</sup> საქმე).

### დაცული საფუძველები

გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 26-ე მუხლში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის საფუძველები არ არის ამომწურავი. შესაბამისად, იგი დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა და ფარავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სექსუალური ორიენტაცია, ასაკი და ა.შ. მსგავსი სიტუაციაა ევროპის საბჭოს კონვენციის მე-14 მუხლშიც. ანალოგიურად აქაც მოცემული საფუძველების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა შესაძლებელია შესწავლილ იქნეს სასამართლოს მიერ,

61

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["moustaquim"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-57652"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

62

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["CASE%20OF%20CYPRUS%20v.%20TURKEY"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-59454"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

რათა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი დისკრიმინაციას, მიუხედავად იმისა, საფუძველი არის კონვენციის მე-14 მუხლის ჩამონათვალში თუ არა.

## რასა

რასობრივ დისკრიმინაციაზე საუბრისას, ზემოაღნიშნული დოკუმენტების გარდა, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს გაეროს საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1965 წლის 21 დეკემბერი).

აღნიშნული კონვენციისათვის ტერმინი „რასობრივი დისკრიმინაცია“ აღნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, განსაკუთრებულობას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, წარმოშობის ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით, რომლებიც მიზნად ისახავს ან იწვევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორობის საფუძველზე ცნობის, გამოყენების ან განხორციელების მოსპობას ან შელახვას.

გაერთიანებული ერების რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (CERD) ზოგად რეკომენდაციებში განაცხადა, რომ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საწინააღმდეგოს გამართლება არსებობს (unless justification exists to the contrary), იმის განსაზღვრა, კონკრეტული პირი არის თუ არა კონკრეტული რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფის წევრი „უნდა ... ეფუძნებოდეს პირის თვითიდენტიფიკაციას. აღნიშნული ხელს უშლის სახელმწიფოს, ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფი, რომლებსაც იგი არ აღიარებს, დატოვოს დაცვის გარეშე“. (CERD, 'General Recommendation VIII concerning the interpretation and application of Article 1, paragraphs 1 and 4 of the Convention').

ევროპულმა კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) მე-7 ზოგად კომენტარში შეიმუშავა „რასობრივი დისკრიმინაციის განსაზღვრის ფართო მიდგომა, რომელიც თავისთავში მოიცავს ისეთ საფუძველებს, როგორებიცაა, „რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნება, ან ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობა“.

რასისა და ეთნიკური კუთვნილების კონცეფციის განმარტებისას ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ ენა, რელიგია, ეროვნება, კულტურა შეიძლება იყოს რასისგან განუყოფელი, Timishev-ის საქმეში, რომელიც ეხებოდა ჩეჩნური წარმოშობის პირისათვის საკონტროლო პუნქტის გავლაზე უარს, სასამართლომ განაცხადა, რომ ეთნიკური კუთვნილება და რასა არის ურთიერთდაკავშირებული კონცეფციები და ისინი ხშირად კვეთავენ ერთმანეთს. იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული საქმეში Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina, რომელზეც გადაწყვეტილება მე-12 დამატებითი ოქმის საფუძველზე იქნა გამოტანილი და რომელიც პირთა არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ეხებოდა. განმცხადებლები აპელირებდნენ (ეთნიკურად ებრაელი და ბოშა) რასობრივ და ეთნიკურ დისკრიმინაციაზე. სასამართლომ განაცხადა, რომ დისკრიმინაცია რომელიც პირის ეთნიკურ კუთვნილებას ეფუძნება, წარმოადგენს რასობრივი დისკრიმინაციის ფორმას.

სასამართლო განსაკუთრებით მკაცრია, როდესაც საქმე რასობრივ და ეთნიკურ დისკრიმინაციას ეხება და აცხადებს, რომ „არანაირი განსხვავებული მოპყრობა რომელიც ეფუძნება ექსკლუზიურად ან უპირატესად პირის ეთნიკურ კუთვნილებას არ შეიძლება ობიექტურად იქნეს დასაბუთებული თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც ემყარება პლურალიზმისა და განსხვავებული კულტურების პატივისცემის პრინციპს (ECtHR, *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina* [GC] (Nos. 27996/06 and 34836/06), 22 December 2009, para. 44. Similarly, ECtHR, *Timishev v. Russia* (Nos. 55762/00 and 55974/00), 13 December 2005, para. 58).

საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ICERD) სახელმწიფოს ავალდებულებს, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოს „პირადი უსაფრთხოებისა და სახელმწიფოს მხრიდან დაცვის უფლება ძალადობისა და სხეულის დაზიანებებისაგან, რომლებსაც აყენებენ როგორც სახელმწიფო თანამდებობის პირები, ისე ცალკეული პირები, ჯგუფები ან დაწესებულებები“ (მუხლი 5(b)).

#### კანის ფერი, სქესი, ეთნიკურობა და ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება

##### ეროვნული წარმოშობა

როგორც პაქტის, ისე კონვენციის 26-ე და მე-14 მუხლებში ეროვნული წარმოშობა დაცულ საფუძვლებში არის ცალკე ნახსენები. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეროვნება შესაძლებელია გაგებულ იქნეს ეთნიკური კუთვნილების შემადგენელ ნაწილად.

ევროპის საბჭოს კონვენცია ერების შესახებ, რომელიც საქართველოს მიერ არ არის რატიფიცირებული მე-2 მუხლში განმარტავს ეროვნულ კუთვნილებას, როგორც სამართლებრივ კავშირს სახელმწიფოსა და პირს შორის. იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული და გაცხადებული ECRI-ს მიერ. (მე-7 ზოგადი რეკომენდაცია) „რასიზმი“ ნიშნავს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ეროვნების ან ეთნიკური კუთვნილების ნიადაგზე წარმოშობილი სიძულვილის გამოვლინებას, ან პირის ან პირთა ჯგუფის უზენაესობის აღიარებას სხვა პირთა მიმართ.

სასამართლოს მიდგომის თანახმად კი, რაც უფრო ახლოა პირის ბმა სახელმწიფოსთან (მაგალითად, გადასახადების გადახდით), მით უფრო ნაკლებად დამაჯერებელი იქნება, სახელმწიფოს მიერ რომ ეროვნული კუთვნილების

საფუძველზე განხორციელებული განსხვავებული მოპყრობის გამართლება ( *Zeibek v. Greece*<sup>63</sup>, *case of Anakomba Yula v. Belgium*<sup>64</sup>).

ეროვნული წარმომობის საფუძველზე დისკრიმინაციის კუთხით სასამართლოს პრაქტიკა მდიდარია ისეთი საქმეებით, რომლებიც ეხებოდა პირთა დეპორტაციას, როდესაც ისინი გახდნენ წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი (მე-3 მუხლი), ან ისეთი საქმეებით, როდესაც ჩამოყალიბებული იყო მტკიცე ოჯახური კავშირი მასპინძელ სახელმწიფოში, რომელიც გაწყდებოდა, თუ პირი იძულებული იქნებოდა დაეტოვებინა სახელმწიფო (მე-8 მუხლი).

მაგალითად, საქმეში *Andrejeva v. Latvia*<sup>65</sup> განმცხადებელი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქე ლატვიაში ბინადრობის მოწმობით. ეროვნულმა კანონმდებლობამ ნამუშევარი წლების დათვლისას ქვეყნის დამოუკიდებლობამდე ნამუშევარი წლები ჩაუთვალა ქვეყნის გარეთ ნამუშევრად (მიუხედავად იმისა, რომ ლატვიის დამოუკიდებლობამდე და მის შემდეგაც პირი ლატვიის ტერიტორიაზე ერსა და იმავე პოსტზე მუშაობდა), შესაბამისად, მისი პენსიის დაანგარიშება მოხდა იმ დროის გათვალისწინებით, რომელიც პირმა ლატვიის დამოუკიდებლობის შემდგომ იმუშავა. ეროვნებით ლატვიელების პენსია, რომლებიც იმავე პოსტზე მუშაობდნენ, დაანგარიშდა მთლიანი სამუშაო ხანგრძლივობის გათვალისწინებით, იგი მოიცავდა ნამუშევარ წლებს ლატვიის დამოუკიდებლობამდეც. სასამართლომ დაადგინა, რომ პირი იყო შედარებად მდგომარეობაში ლატვიის მოქალაქეებთან, ვინაიდან მას ჰქონდა მუდმივი ბინადრობის მოწმობა ლატვიის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად და ამავე კანონმდებლობის თანახმად იხდიდა შესაბამის გადასახადებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ძალიან წონადი მიზეზი უნდა არსებობდეს იმისათვის რომ დასაბუთებულ იქნეს მხოლოდ ეროვნულ კუთვნილებაზე დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობა“, რაც ზემოაღნიშნულ საქმეში ვერ მოხერხდა. მიუხედავად სასამართლოს აღიარებისა, რომ სახელმწიფოს აქვს ფართო შეფასების ფარგლები, როდესაც საკითხი ეხება ფისკალურ და სოციალურ პოლიტიკას, ამ საქმეში განმცხადებლის მდგომარეობა ძალიან ახლოს იყო ეროვნებით ლატვიელების მდგომარეობასთან იმისათვის, რომ მომხდარიყო დისკრიმინაციის გამართლება. მსგავსი მიდგომა განავითარა სასამართლომ საქმეში *Gaygusuz v. Austria*<sup>66</sup>, რომელიც წლების განმავლობაში ავსტრიაში მომუშავე თურქი ეროვნების პირისათვის უმუშევრობის შემწეობაზე უარის თქმას ეხებოდა. ასევე,

63

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Zeibek%20v.%20Greece"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER"\],"CHAMBER":\["CHAMBER"\],"itemid":\["001-93536"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

64

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["anakomba"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER"\],"CHAMBER":\["CHAMBER"\],"itemid":\["001-91715"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

65

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["andrejeva"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER"\],"CHAMBER":\["CHAMBER"\],"itemid":\["001-91388"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

66

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Gaygusuz%20v.%20Austria"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER"\],"CHAMBER":\["CHAMBER"\],"itemid":\["001-58060"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

საქმეში Koua Poirrez v. France<sup>67</sup> საქმე ეხებოდა პირს კოტ-დ'ივუარიდან, რომელსაც საფრანგეთმა უარი უთხრა შეზღუდული შესაძლებლობის შემწეობაზე.

## სქესი

გარდა იმისა, რომ ზემოაღნიშნული მუხლები საუბრობს სქესზე, როგორც დაცულ სფეროზე, ამ კუთხით აღსანიშნავია გაერთიანებული ერების კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ტერმინი „ქალთა დისკრიმინაცია“ ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას, ან შეზღუდვას, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს, ან რომლის მიზანია ქალებისათვის, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის გათვალისწინებით, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა სფეროში ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების შესაძლებლობის შესუსტება ან სრული უარყოფა. ამასთან, მე-19 ზოგადი რეკომენდაციის მე-6 პარაგრაფის თანახმად, კონვენციის 1-ლი მუხლის ფარგლებში, დისკრიმინაციას წარმოადგენს ქალების წინააღმდეგ განხორციელებული, სქესზე დაფუძნებული ძალადობა. მსგავსი დისკრიმინაცია შეზღუდული არ არის მთავრობის მიერ ან მთავრობის სახელით განხორციელებული ქმედებებით. არამედ, მე-2(ე) მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები შესაძლოა პასუხისმგებელი იყვნენ კერძო ქმედებებისთვის, თუ ისინი სათანადოდ ვერ იმოქმედებენ, რათა აღკვეთონ უფლებათა დარღვევა ან გამოიძიონ და დასაჯონ ძალადობის განმარტებული პირები, ხოლო დაზარალებულს მიაკუთვნონ კომპენსაცია.

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ განხილულ იქნა უკვე საქმე საქართველოს მიმართ, კერძოდ, X და Y საქართველოს წინააღმდეგ<sup>68</sup> (გადაწყვეტილება N#24/2009, 6 აგვისტო 2015 წელი), რომელშიც ქალბატონი უთითებდა ოჯახური ძალადობის თაობაზე. აღნიშნულ საქმეში კომიტეტმა განაცხადა, რომ საქართველომ: „ვერ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, გაეტარებინა შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის, სანქციები, რომლებიც აკრძალავდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობას, როგორც ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას; მამაკაცების თანაბარწილად, შეექმნა ქალთა უფლებების სამართლებრივი დაცვის სისტემა და, კომპეტენტური ტრიბუნალებისა და სხვა საჯარო დაწესებულების მეშვეობით, ეფექტურად უზრუნველყო, ქალთა დაცვა დისკრიმინაციისაგან; არ ჩარეულიყო ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციისაკენ მიმართულ რაიმე ქმედებაში და უზრუნველყო საჯარო მოხელეებისა და დაწესებულებების აღნიშნული ვალდებულების შესაბამისად მოქმედება; გაეტარებინა ყველა სათანადო ღონისძიება, რათა ნებისმიერი პირის,

<sup>67</sup>

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["CASE%20OF%20KOUA%20POIRREZ%20v.%20FRANCE"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-61317"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

<sup>68</sup> <https://juris.ohchr.org/Search/Details/2051>

ორგანიზაციის ან საწარმოს მხრიდან აღმოფხვრა ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაცია; და მიეღო ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის, საკანონმდებლო, რათა გაეუქმებინა ან შეეცვალა არსებული კანონები, რეგულაციები, ჩვეულებები და პრაქტიკა, რომლებიც ქალთა მიმართ დისკრიმინაციული იყო. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ზემოთ ხსენებული ფაქტები მიუთითებს სახელმწიფოს ვალდებულების შეუსრულებლობაზე, გაეტარებინა ყველა შესაბამისი ღონისძიება, რათა შეეცვალა ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალური და კულტურული ნორმები იმ თვალსაზრისით, რომ აღმოფხვრილიყო ცრუ შეხედულებები და ჩვევები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომელიც ეფუძნებოდა რომელიმე სქესის წარმომადგენლის უპირატესობას ან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას მეორე სქესთან მიმართებით ან ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპულ როლს“.

მკაცრი მიდგომა სქესის ნიადაგზე დისკრიმინაციის მიმართ გამოყენებულ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ ჯერ კიდევ 1981 წელს საქმეში „აუმერუდი-ჩიფრა და სხვები მავრიკიის წინააღმდეგ“;<sup>69</sup> ასევე კომიტეტმა მიიჩნია, რომ სექსუალური ორიენტაცია ხვდება სქესის ნიშნის ქვეშ, ისევე, როგორც გენდერი, რომელიც გამოყენებულ იქნა საქმეში „მიულერი და ენგელჰარტი ნამიბიის წინააღმდეგ“ (**Mr. Michael Andreas Müller and Imke Engelhard v. Namibia, Communication No. 919/2000, U.N. Doc. CCPR/C/74/D/919/2000 (2002)**).

სქესზე საუბრისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ „სქესთა შორის თანასწორობის წინ წაწევა დღეისათვის წარმოადგენს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმთავრეს მიზანს“. ეს ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს ძალიან სერიოზული მიზეზი, რათა სქესთა შორის განსხვავებული მოპყრობა კონვენციასთან შესაბამისად ჩაითვალოს (Abdluaziz, Cabales and Balkandi v. the United Kingdom<sup>70</sup>). შესაბამისად, სქესის ნიადაგზე განხორციელებული დისკრიმინაცია რთული დასასაბუთებელია. სქესის ცნება ფართოდ იქნა ინტერპრეტირებული და იგი თავის თავში გულისხმობს არამხოლოდ ბიოლოგიურ განსხვავებას ქალსა და კაცს შორის, არამედ გენდერული იდენტობის ცნებასაც და იცავს მათ, ვინც სქესის შეცვლის ოპერაცია გაიარა.

დისკრიმინაცია სქესის ნიადაგზე თავადვე ხსნის საკუთარ თავს, რამდენადაც აღნიშნული საფუძვლით დისკრიმინაცია უკავშირდება იმ ფაქტს, რომელ სქესს მიეკუთვნება პირი. მაგალითად, Ünal Tekeli v. Turkey<sup>71</sup>, მომჩივანი აცხადებდა, რომ ეროვნული კანონმდებლობა ავალდებულებდა, ქალებს აეღოთ მეუღლის გვარი ქორწინებისას. მიუხედავად იმისა, რომ კანონი უშვებდა შესაძლებლობას, ქალებს შეენარჩუნებინათ საკუთარი გვარი მეუღლის გვართან ერთად, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე, იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული კანონმდებლობა მსგავს ვალდებულებას მამაკაცებს არ აკისრებდა.

<sup>69</sup> <http://hrlibrary.umn.edu/africa/comcases/Comm54-91.pdf>

<sup>70</sup>

<sup>71</sup>



სქესი მოგვიანებით უფრო ფართოდაც იქნა განმარტებული. კერძოდ, სქესის კონცეფცია მოიცავს ისეთ სიტუაციებს, სადაც დისკრიმინაციული მოპყრობა პირის სქესს უფრო აბსტრაქტულად უკავშირდება. გენდერული იდენტობის ფართოდ მიღებული დეფინიცია მოიცავს და ფარავს არამარტო მათ, ვისაც სქესის შეცვლის ოპერაცია აქვს გაკეთებული (ტრანსსექსუალები), არამედ მათაც, ვინც ასევე ირჩევს საკუთარი გენდერული იდენტობის გამოხატვის სხვა საშუალებებს, როგორებიცაა ტრანსვისტიზმი ან საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის ტანსაცმლის ჩაცმა cross-dressing, ან უბრალოდ საუბრის მანერის ცვლა.

კაცები ასევე შეიძლება გახდნენ განსხვავებული მოპყრობის მსხვერპლნი. საქმეში *Van Raalte v. the Netherlands*<sup>72</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დისკრიმინაციულ მიდგომას წარმოადგენდა 45 წლის ასაკს გადაცილებული, უშვილო მამაკაცთა დავალდებულება, გადაეხადა კონკრეტული სახის გადასახადები, როდესაც მსგავსი ვალდებულება ქალებს არ ჰქონდათ.

სოციალური დაცვისა და ფისკალურ საკითხებში ECtHR სახელმწიფოებს აძლევს ფართო შეფასების ფარგლებს. მაგალითად, საქმეში *Stec and others v. UK*<sup>73</sup> გასაჩივრებულ იქნა ქალებსა და მამაკაცებს შორის პენსიაზე გასვლის 5 წლიანი სხვაობა. სასამართლომ განაცხადა, რომ „როდესაც საქმე სქესის ნიადაგზე განსხვავებულ მოპყრობას ეხება, „ძალიან წონად მიზეზს“ შეუძლია ასეთი განსხვავებული მოპყრობის დაშვება, თუმცა ეროვნულ ხელისუფლებებს აქვთ ფართო შეფასების ფარგლები... როდესაც საქმე ეხება ეკონომიკას ან სოციალურ სტრატეგიას. ამდენად, ასეთი ღონისძიება გამართლებულია, რაც მიზნად ისახავს „შემცირებული გამომუშავების შესაძლებლობის კომპენსაციას“ და ამით ქალებისთვის სარგებლის მინიჭებას, რათა ხელისუფლებამ დაიწყოს სვლა თანასწორობისკენ.

თუმცა განსხვავებული მიდგომა ყოველთვის არ შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად. როგორც უკვე აღინიშნა, მაგალითად, *Stec and Others v. UK*<sup>74</sup> საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ სოციალურ პოლიტიკას როდესაც ეხება საქმე, სახელმწიფოს აქვს ფართო შეფასების ფარგლები. იმისათვის, რომ შეფასდეს, რა არის საზოგადოების ინტერესი სოციალური და ეკონომიკური კუთხით, საკუთარი საზოგადოების საჭიროებების შესახებ ინფორმაციაზე პირდაპირი ხელმისაწვდომობის გამო, ეროვნული ხელისუფლებები არიან უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე. ზოგადად, სასამართლო ეროვნული კანონმდებლობის არჩევანს პატივს სცემს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ხორციელდება დასაბუთებული და არგუმენტირებული საფუძვლის გარეშე. სასამართლომ ზემოაღნიშნულ საქმეზე დაადგინა, რომ განსხვავებული საპენსიო ასაკი ფაქტობრივად წარმოადგენდა „სპეციალურ ღონისძიებებს“, რათა პასუხი გაცემულიყო იმ ფინანსურ სიძნელებებზე, რომელსაც ქალი შესაძლოა

<sup>72</sup> [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Van%20Raalte"\],"itemid":\["001-58031"\]}\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

<sup>73</sup> [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Stec%20and%20others%20v.%20UK"\],"itemid":\["001-73198"\]}\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

<sup>74</sup> *ibidem*

აწყდებოდეს სახლში თავისი ტრადიციული როლის გამო და რომელმაც ის დატოვა დამოუკიდებელი ფულადი შემოსავლის გარეშე.

### ტრანსგენდერობის საფუძველზე დისკრიმინაცია

გენდერული იდენტობა უკავშირდება თითოეული პირის შინაგან და ინდივიდუალურ გენდერის გამოცდილებასა და აღქმას, რომელიც შესაძლოა შეესატყვისებოდეს ან არ შეესატყვისებოდეს ადამიანის სქესს, საკუთარი სხეულის აღქმის ჩათვლით ('Yogyakarta Principles on the Application of International Human Rights law in Relation to Sexual Orientation and Gender Identity', March 2007). სასამართლოს განმარტებით, როგორც სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობაც მიეკუთვნება პირის პირადი ცხოვრების სფეროს და, შესაბამისად, უნდა იყოს თავისუფალი სახელმწიფოს ჩარევისაგან.

Christine Goodwin v. UK<sup>75</sup> საქმეში განმცხადებელი (გაკეთებული ჰქონდა მამაკაციდან ქალად სქესის შეცვლის ქირურგიული ოპერაცია) ასაჩივრებდა, რომ სახელმწიფომ არ დართო მას ნება, ცვლილებები შეეტანათ დაბადების მოწმობებში, რათა იქ ასახულიყო მისი შეცვლილი სქესი. მიუხედავად იმისა, რომ სხვა დოკუმენტებში სახელების შეცვლა შესაძლებელი იყო, დაბადების მოწმობა მაინც გამოიყენებოდა გარკვეული მიზნით, რომელშიც გენდერი სამართლებრივად რელევანტური იყო, მაგალითად, დასაქმებისას ან პენსიაზე გასვლისას. მისი გამოყენება კი თავისთავად გულისხმობდა, რომ განმცხადებლები იძულებული იყვნენ, გაევიწყლოთ დამცირება, ვინაიდან იძულებულები და ვალდებულები იყვნენ, თითოეულ შემთხვევაში გაემხილათ მათი კანონიერად აღიარებული გენდერული იდენტობა. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას, თუმცა ამავე საქმეებში მას არ უმსჯელია, ირღვეოდა თუ არა მე-14 მუხლი.

საქმეში P. V. v Spain<sup>76</sup> განქორწინებულმა მამამ დაკარგა მეურვეობის/მშობლის შვილებზე უფლება, როდესაც გადაწყვიტა, გაევიწყლო სქესის შეცვლის ოპერაცია. სასამართლომ აღნიშნულ საქმეში არ დაადგინა დისკრიმინაცია, ვინაიდან გადაწყვეტილება არ იყო მიღებული იმ საფუძველით, რომ მამა იყო ტრანსსექსუალი. ექსპერტის ანგარიშმა აჩვენა, რომ მამა იყო ემოციურად არასტაბილური, დამატებით კი აღინიშნა, რომ აუცილებელი იყო ბავშვისთვის გარკვეული დროის მიცემა, რათა შეჰგუებოდა მამის ახალ გენდერულ კუთვნილებას.

### ენა

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, (რატიფიცირებული საქართველოს და მთლიანობაში 39 წევრი სახელმწიფოს მიერ) და ევროპის ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ საუბრობს სპეციფიკურ ვალდებულებებზე სახელმწიფოს უმცირესობების

<sup>75</sup> [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Christine%20Goodwin%20v.%20UK"\],"itemid":\["001-60596"\]}\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

<sup>76</sup> <https://strasbourgobservers.com/2010/12/22/it's-okay-to-discriminate-transsexuals-in-the-best-interests-of-their-children/>



ენების გამოყენებასთან დაკავშირებით. თუმცა არც ერთი მათგანი არ იძლევა „ენის“ დეფინიციას. გაერთიანებული პაქტის მე-14 მუხლის 3(a) პუნქტი და ევროპული კონვენციის მუხლი 6(3) საუბრობენ სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისთვის სისხლის სამართლის პროცესში ენის მნიშვნელობაზე. კერძოდ, აღნიშნული მუხლების თანახმად: „თითოეულ პირს, რომელსაც ბრალი ედება, უფლება აქვს სასწრაფო წესით და მისთვის გასაგებ ენაზე შეატყობინონ მისთვის წაყენებული ბრალდების ხასიათისა და საფუძვლის შესახებ“.

პრინციპული საქმე, რომელიც განიხილა ევროპულმა სასამართლომ ენასთან დაკავშირებით, განიხილა განათლების კონტექსტში.

ბელგიური საქმე ლინგვისტიკის<sup>77</sup> თაობაზე, მშობლები აცხადებდნენ, რომ ეროვნული კანონი, რომელიც ეხებოდა განათლებას, იყო დისკრიმინაციული ენის საფუძველზე. კერძოდ, ფრანგულენოვანი და ჰოლანდიურენოვანი ჯგუფების აზრით, ეროვნული კანონი სხვადასხვა რეგიონში სთავაზობდა ფრანგულ ან ჰოლანდიურ ენებზე განათლებას. ფრანგულენოვანი ბავშვების მშობლები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჰოლანდიურენოვან რეგიონში, აცხადებდნენ, რომ აღნიშნული მიდგომა ხელს უშლიდა ან მნიშვნელოვნად რთულს ხდიდა ბავშვებისათვის განათლების მიღებას ფრანგულად. სასამართლოს დადგენილებით, მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას, იგი იყო დასაბუთებული. სახელმწიფოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ ფაქტს, რომ რეგიონები იყო პრედომინანტური. ოჯახებს არ ეკრძალებოდათ, მიეცათ შვილებისათვის კერძო განათლება ფრანგულად ჰოლანდიურენოვან რეგიონებში და პირიქით.

რაც შეეხება გაერთიანებული ერების მიდგომას, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, რომელიც პასუხისმგებელია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ინტერპრეტაციასა და მასთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე, განიხილა საქმე *Diergaardt v. Namibia*. საქმეში განმცხადებელი ეკუთვნოდა ევროპული წარმოშობის უმცირესობის ჯგუფს, რომელსაც ფორმალურად ჰქონდა პოლიტიკური ავტონომია და რომელიც ხვდებოდა ნამიბიის სახელმწიფოს შემადგენლობაში. ენა, რომელიც გამოიყენებოდა ამ ჯგუფის მიერ, იყო აფრიკაანსი. განმცხადებელი ასაჩივრებდა, რომ სასამართლო მოსმენების დროს ისინი ვალდებულები იყვნენ, გამოეყენებინათ ინგლისური და არ ჰქონდათ საშუალება მშობლიური ენის გამოყენებისა, ისინი ასევე სადავოს ხდიდნენ სახელმწიფო პოლიტიკას, აფრიკაანსზე პასუხის გაცემაზე უარი ეთქვათ ნებისმიერი წერილობითი თუ ზეპირი კომუნიკაციის დროს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეეძლოთ ამ ენაზე კომუნიკაცია. კომიტეტმა განაცხადა, რომ სახეზე არ იყო სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, ვინაიდან მომჩივნებმა ვერ შეძლეს იმის ჩვენება, რომ პროცესის დროს ინგლისურის გამოყენებას მათზე ნეგატიური გავლენა ჰქონდა. შესაბამისად,

<sup>77</sup> <https://minorityrights.org/wp-content/uploads/old-site-downloads/download-223-Belgian-Linguistic-case-full-case.pdf>

აღნიშნული განმარტება მიუთითებს, რომ პირის უფლება მიიღოს ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე სასამართლო სხდომის ან სხვა დროს, არ მოიცავს ისეთ სიტუაციას, როდესაც ენა უბრალოდ არ არის მშობლიური სავარაუდო მსხვერპლისათვის. იმისათვის რომ დადგინდეს დარღვევა, აუცილებელია, მსხვერპლს არ ესმოდეს ან შეეძლოს შესაფერისი კომუნიკაცია იმ ენაზე. კომიტეტმა ასევე დაადგინა, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა, უარი ეთქვა ოფიციალური ენის (ინგლისური) გარდა სხვა ენაზე კომუნიკაციაზე, წარმოადგენდა ენის საფუძველზე კანონის წინაშე თანასწორობის უფლების დარღვევას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს შეუძლია აირჩიოს ოფიციალური ენა, იგი უნდა აძლევდეს საშუალებას საჯარო მოხელეებს, გასცენ პასუხი სხვა ენაზე, როდესაც მათ ამის გაკეთება შეუძლიათ.

### რელიგია

პაქტის ფარგლებში მე-18 მუხლი არის ძირითადი მუხლი, რომლის ფარგლებშიც არის დაცული რელიგიის თავისუფლება. იგი ასევე საგანგებოდაა ნახსენები ამავე პაქტის 26-ე მუხლში დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ. 1993 წელს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა #22 ზოგად კომენტარში განაცხადა, რომ მე-18 მუხლი იცავს „თეისტურ, არათეისტურ და ათეისტურ შეხედულებებს, ასევე რაიმე რელიგიის ან რწმენის გამომჟღავნებისგან თავშეკავების უფლებას. „ახალი რელიგიის საკითხში კომიტეტი მისდევს ამ ფართო განმარტებას და მიუთითებს, რომ იგი არ არის შეზღუდული „ტრადიციული რელიგიით ან რელიგიებით და რწმენებით და მათთვის დამახასიათებელი პრაქტიკით“. ამავე კომენტარში აღნიშნულია, რომ ოფიციალური და სახელმწიფო რელიგიის აღიარება არ არღვევს მე-18 მუხლს, თუმცა აღნიშნავს, რომ მთავარია, აღიარება „არ მოიტანს შედეგად პაქტის, მათ შორის, მე-18 და 27-ე მუხლების, საფუძველზე მინიჭებული უფლებების გამოყენების პირობების გაუარესებას და არც დისკრიმინაციას სხვა რწმენის ან ურწმუნო ადამიანების მიმართ“.

მთელ რიგ საქმეებში, რომლებიც ევროპულმა სასამართლომ განიხილა რელიგიასთან და რწმენასთან მიმართებაში, სასამართლომ ნათელი გახადა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია განსაზღვროს, რას წარმოადგენს და შეადგენს რელიგია ან რწმენა. აღნიშნული ცნებები ფარავს „ათეისტებს, აგნოსტიკოსებს, სკეპტიციკოსებს და დაუინტერესებლებს, შესაბამისად ფარავს მათაც ვისი არჩევანიცაა ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რწმენა. აღნიშნული საქმეები ასევე აჩვენებს, რომ რელიგია და რწმენა ძირითადად არის პირადი და სუბიექტური მოვლენა, და არაა სავალდებულო, უკავშირდებოდეს კონკრეტულ ინსტიტუტებს (ECtHR, *Moscow Branch of the Salvation Army v. Russia* (No. 72881/01), 5 October 2006, paras. 57-58; ECtHR, *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova* (No. 45701/99), 13 December 2001, para. 114; ECtHR, *Hasan and Chaush v. Bulgaria* [GC] (No. 30985/96), 26 October 2000, paras. 60 and 62). ახალი რელიგიები, როგორებიცაა, მაგალითად, საენტოლოგია, ასევე იქნა აღიარებული დაცვის ობიექტად (ECtHR, *Church of Scientology Moscow v. Russia* (No. 18147/02), 5 April 2007).

საქმეში *Campbell and Cosans v. UK* სასამართლომ იმსჯელა განათლების უფლებაზე რწმენასთან მიმართების კონტექსტშიც. აღნიშნული უფლება, რომელიც დაცულია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მეორე მუხლით და ავალდებულებს სახელმწიფოებს, პატივი სცეს მშობლის უფლებას, უზრუნველყოს მისი შვილის განათლება, არის „მათი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი“. სასამართლომ განაცხადა, რომ „თავისი ზოგადი არსით, სიტყვა „რწმენა“ თავისთავად არ წარმოადგენს, არ გულისხმობს და არ მოიცავს თავის თავში სიტყვებს „აზრი“ და „იდეა“, რომლებიც გამოიყენება მე-10 მუხლში და დაცულია გამოხატვის თავისუფლებით. იგი უფრო მონათესავე ტერმინია სიტყვისა „შეხედულებები“ (ფრანგულ ტექსტში გამოიყენება ტერმინი „convictions“), რომელიც გვხვდება მე-9 მუხლში და მიუთითებს შეხედულებებზე, რომლებიც აღწევს დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობისა და მნიშვნელობის გარკვეულ დონეს (*ECtHR, Campbell and Cosans v. UK (Nos. 7511/76 and 7743/76), 25 February 1982, para 36*).

სასამართლოს მიერ ბოლო დროს განხილული საქმეები უკავშირდებოდა რელიგიის თავისუფლებას იმ ქვეყნების კონტექსტში, რომლებსაც სურთ, შეინარჩუნონ სეკულარიზმი და მინიმუმამდე დაიყვანონ პოტენციურად ფრაგმენტული ეფექტი რელიგიისა საკუთარ საზოგადოებაზე. სასამართლომ გარკვეული წონა მიანიჭა სახელმწიფოს გაცხადებულ მიზანს, თავიდან აიცილოს უწესრიგობა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. მაგალითად, საქმე *Köse and Others v. Turkey* შეეხებოდა ჩაცმულობის სტანდარტებს, რომლებიც უკავშირდებოდა გოგოებისათვის სკოლაში თავსაფრების ტარების აკრძალვას. განმცხადებლები ამბობდნენ, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას რელიგიის საფუძველზე, ვინაიდან თავსაბურავების ტარება იყო მუსლიმური რელიგიის მოთხოვნა.

სასამართლომ მიიღო არგუმენტაცია, რომ წესები, რომლებიც უკავშირდებოდა ჩაცმას, არ უკავშირდებოდა კონკრეტულ რელიგიას, არამედ შექმნილი იყო სკოლებში ნეიტრალობისა და სეკულარიზმის პრინციპის დასაცავად, რაც, თავის მხრივ, დაიცავდა სხვების უფლებას, არ ჩაერიონ მათ რელიგიური მრწამსში. შესაბამისად, დისკრიმინაცია არ დადგინდა. იგივე მიდგომა იქნა გამოყენებული საქმეში, რომელიც ეხებოდა მასწავლებელთა ჩაცმულობას (*ECtHR, Dahlab v. Switzerland (dec.) (No. 42393/98), 15 February 2001*).

საქმეში *Hoffman v Austria* განმცხადებელს, რომელიც იყო იეჰოვას მოწმე, უარი ეთქვა შვილების მეურვეობაზე. ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ მეურვეობის უფლება ბავშვებზე გადასცა მამას და განაცხადა, რომ ბავშვთა ინტერესმა გამოიწვია აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება, ვინაიდან აღნიშნული რწმენა ხშირად თავის წევრებს საზოგადოების მარგინალურად აყალიბებს (*fringes of society*) და მათმა უარმა სისხლის გადასხმასთან დაკავშირებით შესაძლოა ბავშვის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დააყენოს. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა მე-14 მუხლის დარღვევას 8-მუხლთან ერთობლიობაში. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლო ეყრდნობოდა და ახორციელებდა

შეზღუდვას ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, (ბავშვის საუკეთესო ინტერესი) მიზნის მიღწევის საშუალება არ იყო გონივრული და პროპორციული, ვინაიდან, „მიუხედავად ნებისმიერი შესაძლო საწინააღმდეგო არგუმენტისა, განსხვავება, რომელიც არსებითად ეყრდნობა რელიგიის საფუძველზე განსხვავებას, ცალკე აღებული არის მიუღებელი“.

სასამართლოს მიდგომები აჩვენებს, რომ დისკრიმინაცია რელიგიის საფუძველზე არის რთულად დასაბუთებადი, თუმცა არასდროს არ გაკეთებულა მითითება წევრი სახელმწიფოების „შეფასების ფარგლებზე“.

საქმეში Grzelak v Poland ბავშვის მშობლები იყვნენ აგნოსტიკოსები და უარი განაცხადეს, მათი შვილი დასწრებოდა რელიგიის გაკვეთილებს. მათ გაასაჩივრეს ის ფაქტი, რომ სკოლამ არ უზრუნველყო სანაცვლოდ ეთიკის გაკვეთილები. შესაბამისად, ბავშვს სასკოლო სერტიფიკატში სასწავლო საგანში „რელიგია/ეთიკა“ არ ჰქონდა ნიშანი. სასამართლომ განაცხადა, რომ ნიშნის უქონლობამ გამოიწვია უსაფუძვლო სტიგმატიზაცია, რომელიც უტოლდება დისკრიმინაციას, კერძოდ, დაირღვა ბავშვის უფლება, არ გააცხადოს თავისი რელიგია.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო ყოველთვის არ უდგება ასეთი სკრუპულოზობითა და სიმკაცრით საქმეებს, რომლებიც ეხება რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას. საქმეში Holy Monasteries v Greece სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მე-14 მუხლი სამართლიანი სასამართლოს უფლებასა, რელიგიის თავისუფლებისა და გაერთიანების თავისუფლებებთან ერთობლიობაში არ დარღვეულა. კერძოდ, ბერძნულმა ხელისუფლებამ მიიღო აქტი ბერძნული ეკლესიის საკუთრებაში არსებული წმინდა მონასტრების სახელმწიფოს მხრიდან სავალდებულო გადაცემის თაობაზე, როდესაც აღნიშნული აქტი სხვა ეკლესიებს ამას არ ავალდებულებდა. სასამართლომ განაცხადა, რომ განსხვავება მოპყრობაში იყო ლეგიტიმური და გამომდინარეობდა ბერძნული ეკლესიისა და სახელმწიფოს ახლო ურთიერთობით.

### **პოლიტიკური ან სხვა მრწამსი**

სხვა სფეროების მსგავსად, პაქტისა და კონვენციისათვის პოლიტიკური ან სხვა მრწამსი არის დაცული საფუძველი. თუმცა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ პრაქტიკაში, როდესაც სავარაუდო მსხვერპლი იგრძნობს, რომ იგი დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას აღნიშნული საფუძველით, მაღალი ალბათობით, სასამართლო განაცხადს მე 10- მუხლით (გამოხატვის თავისუფლება) განიხილავს.

სასამართლომ საქმეში Handyside v. UK განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ არაშეურაცხმყოფელ ან ნეიტრალურ „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომლებიც მიღებულია ან/და განიხილება, არამედ ის იცავს სახელმწიფოსათვის ან ნებისმიერი სექტორის მოსახლეობისათვის შეურაცხმყოფელ, თავზარდამცემ ან შემამფოთებელ იდეასა და ინფორმაციასაც. საქმეში Steel and Morris v. UK

განმცხადებლები ახორციელებდნენ კამპანიას და არიგებდნენ ლიფლეტებს კომპანია „მაკდონალდსის“ წინააღმდეგ. აღნიშნული საინფორმაციო ბროშურები ცრუ ბრალდებებს შეიცავდა, რის გამოც განმცხადებლების წინააღმდეგ სარჩელი იქნა შეტანილი ცილისწამებაზე. ამის საფუძველზე მათ ეროვნულმა სასამართლომ დააკისრა ზიანის ანაზღაურება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, თუმცა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს – ინდივიდების (მაკდონალდსის) რეპუტაციის დაცვას. თუმცა ასევე დადგინდა, რომ თავისუფალი სიტყვა საკითხებზე, რომლებიც ექცევა საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში, იმსახურებს ძლიერ დაცვას და იმის გათვალისწინებით, რომ McDonalds წარმოადგენდა ძლიერ კორპორაციას, რომელსაც არ დაუმტკიცებია, რომ მას მიადგა კონკრეტული ზიანი რამდენიმე ათასი ლიფლეტის დარიგებით და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დაკისრებული ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა იყო საგრძნობლად მაღალი პირთა შემოსავალზე, მათი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მიჩნეულ იქნა არაპროპორციულად.

საქმეში *Castells v. Spain* სასამართლომ ხაზი გაუსვა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას პოლიტიკურ კონტექსტში, განსაკუთრებით კი მის როლს და მნიშვნელობას, როდესაც საკითხი ეხება დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებას. აღნიშნული საქმე ეხებოდა პარლამენტის წევრს, რომელიც მიეცა პასუხისმგებლობაში მთავრობის შეურაცხყოფისათვის მას შემდეგ, რაც მან გააკრიტიკა მთავრობის ქმედება და რეაგირება ბასკეთში განხორციელებულ ტერორისტულ აქტებზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი მსგავსი ჩარევა მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლას.

საქმე *Vogt v. Germany* ეხებოდა ქალბატონს, რომელიც ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლისას გახდა გერმანული კომუნისტური პარტიის წევრი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ ქალბატონი ვოგტი, შესაბამისი კონკურსის გავლის შემდგომ, მიღებულ იქნა გერმანულისა და ფრანგულის მასწავლებლად საშუალო სკოლაში, აღსანიშნავია, რომ ამ დროს ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო, რომ ქალბატონო ვოგტი წარმოადგენდა კომუნისტური პარტიის წევრს. მიუხედავად ამისა, 1982 წელს შესაბამისმა უწყებებმა შეისწავლეს მისი პოლიტიკური საქმიანობა და დისციპლინური წესით გაათავისუფლეს დაკავებული პოსტიდან იმ საფუძველით, რომ პარტიაში მისი საქმიანობა არღვევდა კონსტიტუციის წინაშე პოლიტიკური ლოიალობის პრინციპს. ადამიანის უფლებათა სასამართლომ განაცხადა, რომ გერმანიამ დაარღვია კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლები, თუმცა აღნიშნულ საქმეში მას მე-14 მუხლის თაობაზე არ უმსჯელია.

სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ქმედება წარმოადგენდა კანონით განსაზღვრულ, ლეგიტიმურ მიზანს, მან ვერ დააკმაყოფილა ტესტი – „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს და დემოკრატიულ საზოგადოებაში იგი მოიცავს იმგვარი აზრის გამოხატვას, რომელიც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს შოკის

მომგვრელად და შემაწუხებლად, სწორედ აღნიშნული წარმოადგეს დემოკრატიის არსს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქალბატონი ვოგთის გათავისუფლება და მის მიმართ გატარებული დისციპლინური ღონისძიებები იყო ძალიან მკაცრი. აღნიშნული ახდენს ნეგატიურ გავლენას ადამიანის რეპუტაციაზე, მოქმედებს როგორც დემოტივატორი, და ბოლოს, იმ პერიოდისათვის მისთვის მასწავლებლად სამსახურის შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო, ვინაიდან საჯარო სექტორს მიღმა მასწავლებლის პოზიციები იყო ძალიან იშვიათი. სასამართლოს აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ განმცხადებელი ასწავლიდა გერმანულსა და ფრანგულს, აღნიშნული საგნები არ შეიცავდა უსაფრთხოების სერიოზულ რისკებს, ვინაიდან იგი არ აძლევდა განმცხადებელს საშუალებას, გაეზიარებინა საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები მოსწავლეებისათვის. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ არ არსებობდა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელმა გააკეთა ანტიკონსტიტუციური განაცხადი. სასამართლოს განცხადებით, სახელმწიფომ არ შეიძლება შეზღუდოს პირის უფლება კონკრეტული მიზეზის გარეშე, აუცილებელია, რომ ამ დროს დაცული იყოს სხვა, მნიშვნელოვანი ღირებულება. აღნიშნულს ეწოდება ლეგიტიმური მიზანი და კონვენციის მე-10 მუხლში არის ჩამონათვალი მიზნებისა, რომლებიც მიზანშეწონილად მიიჩნევა აღნიშნული უფლების შესაზღვრად. ხოლო იმის შესაფასებლად, რამდენად აუცილებელია გატარებული ღონისძიება დემოკრატიული საზოგადოებისათვის, სახელმწიფომ უნდა აჩვენოს აღნიშნული ქმედების რელევანტური და შესაფერისი საფუძვლები, ასევე ის გარემოება, რომ სხვა ღონისძიებით ლეგიტიმური მიზანი ვერ მიიღწეოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა მე-10 მუხლთან ერთობლიობაში.

### სხვა სტატუსი

როგორც პაქტში, ისე კონვენციაში მოცემული სხვა სტატუსი იძლევა საშუალებას, დისკრიმინაციისაგან დაცვა უზრუნველყოფილ იქნეს ისეთი დაცული საფუძვლებით, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული მუხლებში.

ევროპული სასამართლო „სხვა სტატუსში“ მოიაზრებს სექსუალური ორიენტაციას, ასაკს, შეზღუდულ შესაძლებლობას. სასამართლომ ასევე აღიარა ისეთი დაცული საფუძვლები, როგორებიცაა:

მამობა (ECtHR, *Weller v. Hungary* (No. 44399/05), 31 March 2009);

ოჯახური სტატუსი (ECtHR, *Petrov v. Bulgaria* (No. 15197/02), 22 May 2008);

ორგანიზაციის წევრობა (ECtHR, *Danilenkov and Others v. Russia* (No. 67336/01), 30 July 2009 (პროვკავშირები); ECtHR, *Grande Oriente d'Italia di Palazzo Giustiniani v. Italy* (no. 2) (No. 26740/02), 31 May 2007);



სამხედრო წოდება (ECtHR, Engel and Others v. the Netherlands (Nos. 5100/71, 5101/71, 5102/71, 5354/72 and 5370/72), 8 June 1976).

### სოციალური სტატუსი, წარმოშობისა და დაბადების ადგილი და საკუთრება

აღნიშნული სამი საფუძველი შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც ურთიერთდაკავშირებული საფუძველები. აღნიშნული საფუძველები ასევე დაცულია გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ 2(2) მუხლით. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის #20 ზოგადი კომენტარის თანახმად, „სახელმწიფოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ პაქტში მოცემული უფლებების დისკრიმინაციის გარეშე რეალიზების მიზნით“.<sup>78</sup> აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სოციალური წარმოშობის საფუძველზე დისკრიმინაცია „უკავშირდება პირის მემკვიდრეობით მიღებულ სოციალურ სტატუსს. იგი შესაძლოა ასევე კავშირში იყოს იმ პოზიციასთან, რომელიც მან შეიძინა კონკრეტულ სოციალურ კლასში ან საზოგადოებაში დაბადებით (ისეთი როგორცაა ეთნიკურობა, რელიგია, იდეოლოგია), ან პირის ისეთ სოციალურ სიტუაციასთან, როგორცაა სიღარიბე და უსახლკარობა“. ამავე დროს, დაბადების საფუძველზე დისკრიმინაცია შესაძლოა უკავშირდებოდეს იმ ფაქტორს, რომ პირი ქორწინების გარეშე დაბადებული ან ნაშვილებია. საკუთრების საფუძველი შესაძლოა უკავშირდებოდეს პირის სტატუსს მიწასთან მიმართებაში (როგორცაა, მაგალითად, იყო მოიჯარე, მესაკუთრე).

აღნიშნული საფუძველები შესაძლოა უკავშირდებოდეს ასევე რასასა და ეთნიკურობას. საქმეში Mazurek v. France პირი, რომელიც დაიბადა კანონიერი ქორწინების გარეშე, ჩიოდა, რომ ეროვნული კანონმდებლობა მას არ აძლევდა საშუალებას (უკანონოდ შობილ ბავშვს), მემკვიდრეობით მიეღო დედის მემკვიდრეობის ერთ მეოთხედზე მეტი. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპყრობაში განსხვავება, რომელიც ეყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ ქორწინების გარეშე დაბადებას, შესაძლებელია ჩათვლილიყო დასაბუთებულად და გამართლებულიყო მხოლოდ „მნიშვნელოვანი მიზეზების“ გამო. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული ოჯახის ცნების შენარჩუნება წარმოადგენდა ლეგიტიმურ მიზანს, არ შეიძლება მიზნის მიღწევა ბავშვის დასჯით, რომელსაც არ აქვს კონტროლი მისი დაბადების გარემოებებზე.

საქმეში Chassagnou and Others v. France მომჩივანი აცხადებდა, რომ მათ არ ეძლეოდათ საშუალება, გამოეყენებინათ მიწა საკუთარი სურვილისამებრ. კანონმდებლობა გარკვეული რეგიონის მცირე მიწათმფლობელებს ავალდებულებდა, რომ მათ მიწაზე გაეცათ საჯარო ნადირობის უფლება მაშინ, როდესაც დიდი მიწის მესაკუთრეებს მსგავსი ვალდებულება არ ჰქონდათ და შეეძლოთ საკუთარი მიწის სურვილისამებრ გამოეყენებინათ. მომჩივნებს სურდათ

<sup>78</sup> See Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment No. 20, 'Non-Discrimination in Economic, Social and Cultural Rights', UN Doc. E/C.12/GC/20, 10 June 2009, paras. 24-26, 35.).

ნადირობის აკრძალვა საკუთარ მიწაზე და მისი გამოყენება ბუნების კონსერვაციისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა დისკრიმინაციას საკუთრების საფუძველზე.

### ასაკი

არც პაქტი და არც კონვენცია არ საუბრობს ასაკის საფუძველზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, თუმცა, სხვათა მსგავსად, აღნიშნული საფუძველებიც იფარება „და სხვა სტატუსით“. შესაბამისად, სასამართლომ რამდენიმე საქმეში დაადგინა დისკრიმინაცია ასაკის საფუძველზე. მათ შორისაა ბიჭისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებაზე უარის თქმა, რომელმაც ჩაიდინა მკვლელობა 10 წლის ასაკში. მას ისე მოეპყრნენ, როგორც უფროსს, შესაბამისად, მას არ მიეცა საშუალება, ესარგებლა ადეკვატური დაცვით, სიმწიფის, აღქმისა და გაგების შესაძლებლობის ნაკლებობის გამო (Case V v UK19). დისკრიმინაცია ასაკის საფუძველზე არ წარმოადგენს იმ საკითხთა ნაწილს, რომლებშიც სასამართლო უშვებს მხოლოდ „ძალიან წონად მიზეზებს“ დასაბუთებლად და გასამართლებლად. ამ დროს ეროვნულ ხელისუფლებებს ფართო შეფასების ფარგლები აქვთ საზოგადოებრივი ინტერესის მნიშვნელობის შესაფასებლად პოტენციურად დისკრიმინაციული ღონისძიებასთან მიმართებაში. საქმეში *Schwizgebel v. Switzerland* 47 წლის მარტოხელა დედა ჩიოდა, რომ მას უარი ეთქვა ბავშვის შვილად აყვანაზე, ეროვნულმა ხელისუფლებამ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო ბავშვსა და მომჩივანს შორის ასაკობრივ სხვაობაზე დაყრდნობით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შვილად აყვანა გამოიწვევდა საგრძნობ ფინანსურ ტვირთს, რადგან განმცხადებელს უკვე ჰყავდა ერთი შვილი. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ ადგილი ჰქონდა ახალგაზრდა ქალთან შედარებით განსხვავებულ მოპყრობას ასაკზე დაყრდნობით. თუმცა იგი მიიჩნია დასაბუთებულად და გამართლებულად. სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული ხელისუფლებების მხრიდან ასაკობრივი სხვაობის გათვალისწინება არ ყოფილა გამოყენებული თვითნებურად, არამედ იგი ეფუძნებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და იმ ფაქტს, რომ მეორე ბავშვის აყვანას შესაძლოა გამოეწვია დამატებითი ფინანსური ტვირთი, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა ზიანი მიეყენებინა ბავშვის კეთილდღეობისათვის. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განსხვავებული მოპყრობა იყო დასაბუთებული.

საქმეში *D.G. v. Ireland* და *Bouamar v. Belgium* განმცხადებლები მოათავსეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ორივე შემთხვევაში განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ მოპყრობა იყო დისკრიმინაციული სრულწლოვნებთან შედარებით, ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობა მათ მიმართ განსხვავებულ პირობებს ადგენდა. სასამართლოს დადგენილებით, მიუხედავად იმისა, რომ სრულწლოვნებსა და მცირეწლოვნებს შორის ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას, იგი იყო დასაბუთებული.



## შეზღუდული შესაძლებლობები

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია არ განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის ცნებას, თუმცა იგი მოცემულია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში. კერძოდ, კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ ხანგრძლივი ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები და ამ დარღვევებმა სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებისას შეიძლება ხელი შეუშალოს ამ პირთა სხვების თანასწორად სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

შეზღუდული შესაძლებლობის პირების დისკრიმინაცია აქტუალურია დასაქმების კონტექსტში; ადეკვატური რეგულაციებისა და დასაქმებამდე კითხვარებისა და სამედიცინო გამოკვლევები თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს შშმ პირებისათვის დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი ბარიერების შექმნის თავიდან აცილებაში. კონვენციის მე-8 მუხლი კრძალავს ნებისმიერი სახის სამედიცინო შემოწმებას, რომელიც წარმოადგენს პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელ და გაუმართლებელ შეჭრას და ისეთ სამედიცინო შემოწმებას, რომელიც ტარდება დასაქმების კონტექსტში ამ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად და თავისი არსით მკაცრად არ ემსახურება საჭიროებებს, რომლებიც დასაქმებულის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე უნდა შესრულდეს.

საქმეში *Price v. UK* განმცხადებელს შეეფარდა პატიმრობა 7 დღის ვადით. მას ჰქონდა ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობები გამოწვეული იმ გარემოებით, რომ მისმა დედამ ფეხმძიმობის დროს მიიღო მედიკამენტი *thalidomide*, რამაც გამოიწვია მისი კიდურების საგრძნობი განუვითარებლობა (ჰქონდა მოკლე კიდურები) და თირკმელების უკმარისობა. იგი იყენებდა ინვალიდის სავარძელს მობილურობისათვის, შესაბამისად, სჭირდებოდა დახმარება სველი წერტილებით სარგებლობისას და ძილისას. დაკავების პირველ დამეს იგი მოთავსებულ იქნა საკანში, რომელიც არ იყო ადაპტირებული ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებისათვის და, შესაბამისად, მან ვერ მოახერხა ადეკვატურად დაეძინა, განიცადა მნიშვნელოვანი ტკივილი და ჰიპოდერმია.

იგი ციხეში მოთავსებულ იქნა ჰოსპიტლის ფრთაში, სადაც გარკვეული ადაპტაცია იყო შესაძლებელი, თუმცა იგი მაინც წააწყდა მსგავს პრობლემებს, ასევე მომჩივანს უარი ეთქვა მისი ელექტრონული ინვალიდის ეტლის დატენაზე, რის გამოც იგი დაჯდა. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა დამამცირებელ მოპყრობას, რითაც დაირღვა მე-3 მუხლი, თუმცა საკითხზე, ჰქონდა თუ არა დისკრიმინაციას ადგილი მე-14 მუხლის დარღვევას, სასამართლოს არ უმსჯელია.

საქმეში *Pretty v. UK* განმცხადებელმა, რომელსაც ჰქონდა დეგენერაციული დაავადება, ისურვა, მიეღო გარანტია ხელისუფლებისაგან, რომ მომავალში, როდესაც თავად აღარ ექნებოდა ფიზიკური შესაძლებლობა, შეძლებდა სხვისი

დახმარებით თვითმკვლელობას შესაბამისი სასჯელის გარეშე. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, თვითმკვლელობაში დახმარება წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს და იყო მკვლელობის ტოლფასი. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი უფლება, მიეღო გადაწყვეტილება საკუთარ სხეულთან დაკავშირებით, პირადი ცხოვრების უფლების კონტექსტში (მუხლი 8) დარღვეული იქნა დისკრიმინაციული ფორმით, ვინაიდან სახელმწიფომ მიმართა უნიფიცირებულ მიდგომას დახმარებით თვითმკვლელობის აკრძალვისას, რასაც არაპროპორციულად უარყოფითი გავლენა ჰქონდა მათზე, ვინც გახდა უუნარო და თავად ვერ დაასრულებდა საკუთარ სიცოცხლეს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უარი, იყოს განსხვავება მათ შორის, ვისაც „აქვს და ვისაც არ აქვს ფიზიკურად თვითმკვლელობის შესაძლებლობა“, გამართლებული იყო, რადგან კანონიდან გამონაკლისის შემოღება პრაქტიკაში ზიანს მიაყენებდა სიცოცხლის უფლებას.

Çam v. Turkey 23 February 2016 წლის საქმეში სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებაში (განათლების უფლება), რომლის მიხედვითაც თურქი ეროვნების უსინათლო სტუდენტს უარი ეთქვა მუსიკალურ სკოლაში ჩარიცხვაზე მხოლოდ და მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი იყო უსინათლო, თუმცა იგი ყველა საჭირო კრიტერიუმს აკმაყოფილებდა.

### სექსუალური ორიენტაცია

მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა პირდაპირ არაა ნახსენები დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველების ჩამონათვალში, შესაბამისი ორგანოები ზოგად კომენტარებსა და ცალკეულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში<sup>79</sup> მიუთითებენ, რომ დისკრიმინაციის საფუძველთა ღია ჩამონათვალი ასევე ფარავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი განმარტავს, რომ „წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანის სექსუალური ორიენტაცია არ იყოს დაბრკოლება პაქტში განმტკიცებული უფლებების რეალიზაციისათვის. გარდა ამისა, გენდერული იდენტობა აღიარებულია დისკრიმინაციის აკრძალვის ერთ-ერთ საფუძველად. მაგალითად, ტრანსგენდერი, ტრანსსექსუალი, და ინტერსექსი პირები

---

<sup>79</sup> 1 The United Nation Human Rights Council (UNHRC), General Comment 31: The Nature of the General Legal Obligations imposed by the Covenant, adopted on 29 March 2004, UN Doc CCPR/C/21/Rev.1/Add.13, გაეროს კომიტეტი ადამიანის უფლებებზე, ტუნენი ავსტრალიის წინააღმდეგ (Toonen v. Australia), შეტყობინება N488/1992, 30.03.1994. CCPR/50/D/488/192, პარაგრაფი 8.7; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, იანგი ავსტრალიის წინააღმდეგ, შეტყობინება N941/2000, 6.08.2003., CCPR/C/78/D/941/2000; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ხ. კოლუმბიის წინააღმდეგ, შეტყობინება N1361/2005, 14.05.2007, CCPR/C/89/D/1361/2005.

ხშირად ეჯახებიან ადამიანის უფლებათა ისეთ უხემ დარღვევებს, როგორებიცაა შევიწროება სკოლასა და სამუშაო ადგილზე“.<sup>80</sup>

2015 წლის 12 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილება საქმეზე (**CASE OF IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA**)<sup>81</sup> (*Application no. 73235/12*), რომელიც ეხებოდა 2012 წლის 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღისადმი მიძღვნილ მშვიდობიანი შეკრების დარბევასა და სახელმწიფოს მხრიდან გატარებულ ღონისძიებებს. კერძოდ, დემონსტრაცია ძალადობის გზით იქნა დარბეული კონტრდემოსტრანტების მიერ. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) მე-14 მუხლთან ერთობლიობაში და მე-11 მუხლის (შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება) მე-14 მუხლთან მიმართებაში დარღვევა.

აქციის ორგანიზატორებმა წინასწარ შეატყობინეს თბილისის მერიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ დღეს მშვიდობიანი აქციის ჩატარების შესახებ და ჰომოსექსუალი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ არსებული განწყობიდან გამომდინარე, რათა თავიდან აცილებულიყო მოსალოდნელი დარბევა, აქციის მონაწილეთა დასაცავად მოითხოვეს შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მიუხედავად იმისა, რომ აქციის დროს ადგილზე იმყოფებოდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მათ ვერ შეაჩერეს კონტრდემონსტრანტები – რელიგიური ჯგუფის ასეულობით წარმომადგენელი, რომლებიც თავს დაესხნენ მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს, მიაყენეს მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და შედეგად ისინი იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ მსვლელობა. ერთადერთი ღონისძიება, რომელიც სამართალდამცავებმა გაატარეს, კონტრდემოსტრანტთა შორის ჩადგომა იყო, მოგვიანებით კი მათ იდენტობის წევრები დააკავეს, ჩასვეს საპატრულო პოლიციის მანქანებში და 20 წუთი სიარულის შემდეგ გაათავისუფლეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ აღნიშნულ ფაქტზე რამდენიმე საჩივრით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ დაიწყო გამოძიება რამდენიმე საქმეზე, ყველა მათგანი შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, რაც შეეხება აქციის დაშლას, 2 პირი იქნა ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებული. მოგვიანებით დამატებითი საჩივრები იქნა წარდგენილი გამოძიების დაწყების მოთხოვნით, რომლებზეც გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

---

<sup>80</sup> გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია N20 დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებაში, 2009 წ., 32-ე პუნქტი.

<sup>81</sup>

[https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["identoba"\],"documentcollectionid":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-154400"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

სასამართლომ მესამე მუხლთან მიმართებაში განაცხადა, რომ იგი არ შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ფიზიკური ძალადობით, იგი ასევე მოიცავს ფსიქოლოგიურ ტანჯვასაც, ამავე დროს, ქმედება შესაძლოა შეფასდეს როგორც დამამცირებელი, როდესაც იგი მსხვერპლში იწვევს შიშის, არასრულფასოვნების შეგრძნებას (იხ. *Gäfgen v. Germany* [GC], no. 22978/05, §103, 1 June 2010, and *Eremia v. the Republic of Moldova*, no. 3564/11, §54, 28 May 2013). სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მსგავსი ქმედებები, რომლებიც ჰომოსექსუალი პირებისკენ არის მიმართული ჰეტეროსექსუალი უმრავლესობის მხრიდან, შეიძლება მოხვდეს მე-3 მუხლის დაცვის ქვეშ. რაც შეეხება შეურაცხყოფელ და დისკრიმინაციულ გამონათქვამებს, იგი უნდა მიჩნეულ იქნეს დამამძიმებელ გარემოებად. რაც შეეხება ღონისძიებებს, სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს პირთა ეფექტური დაცვა არასათანადო მოპყრობისაგან, მათ შორის, მესამე მხარის მიერ განხორციელებულ ქმედებებისაგანაც. ხოლო მსგავსი ფაქტების გამოძიება უნდა იყოს ეფექტური და შედეგად უნდა მოიტანოს მოძალადის იდენტიფიცირება და დასჯა.

მიიღო მხედველობაში საქართველოში LGBT თემის მდგომარეობაზე არსებული ანგარიშები, რომლებიც ცხადად საუბრობდნენ საზოგადოების უმრავლესობის მკვეთრ ნეგატიურ დამოკიდებულებაზე თემის მიმართ და სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა იმ რისკების შესახებ, რომლებიც მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ არსებობდა, შესაბამისად, მათ ჰქონდათ პოზიტიური ვალდებულება, აქციის მონაწილეების ადეკვატური დაცვა განეხორციელებინათ, ასევე, მოგვიანებით, სახელმწიფოს ჰქონდა ვალდებულება, განეხორციელებინა სწრაფი და ეფექტური ღონისძიებები, ჰომოფობიური ძალადობის ფაქტის გამოძიების მიზნით, რაც სასამართლომ შესრულებულად არ მიიჩნია.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ევროპულ სასამართლოში წარდგენილია მეორე განაცხადი, რომელიც უკვე 2013 წლის 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ აქციას უკავშირდება. აღნიშნულ საქმეზე ჯერ გადაწყვეტილება არ არის, თუმცა ევროპული სასამართლო საქართველოს მთავრობას უკვე დაუკავშირდა.

საქმეში „ტონენი ავსტრალიის წინააღმდეგ“<sup>82</sup> კომიტეტმა განაცხადა, რომ სექსუალური ორიენტაცია დისკრიმინაციის აკრძალულ საფუძველებში გვხვდება პაქტში განსაზღვრული „სქესის“ ცნების ფარგლებში (პუნქტი 8.7 და 11). 2003 წლის 6 აგვისტოს განხილულ საქმეში, „ედვარდ იანგი ავსტრალიის წინააღმდეგ“, კომიტეტმა დაადგინა 26-ე მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა სქესის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, რადგან ომის ვეტერანის იმავე სქესის პარტნიორს უარი ეთქვა მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღებაზე მისი პარტნიორის გარდაცვალების შემდგომ, მაშინ, როდესაც ამის უფლება სხვადასხვა სქესის დაუქორწინებელ პარტნიორებს მიენიჭათ. შესაბამისად, კომიტეტმა

<sup>82</sup> <https://juris.ohchr.org/Search/Details/702>

განაცხადა, რომ „სახელმწიფოს არ წარმოუდგენია არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახით იყო გონივრული და ობიექტური დიფერენცირება ორი კატეგორიის პარტნიორებს შორის“.

იგივე მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, როგორც წესი, სასამართლოს მიერ განხილული საქმეები ეხება დისკრიმინაციულ მოპყრობას, რომელიც გამოწვეულია პირის ჰომოსექსუალობით, ბისექსუალობით, თუმცა საფუძველი ასევე გამორიცხავს დისკრიმინაციას ჰეტეროსექსუალობის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი განსაკუთრებულად არ გამოყოფს საფუძველებში სექსუალურ ორიენტაციას, სასამართლომ განაცხადა, რომ მას მოიცავს და ფარავს „სხვა“ საფუძველები, რომლებიც დაცულია მე-14 მუხლით მთელ რიგ საქმეებში. მაგალითად, საქმე *S.L. v. Austria*<sup>83</sup>, განმცხადებელი ასაჩივრებდა ფაქტს, რომ ეროვნული კანონმდებლობით კრიმინალიზებული იყო სქესობრივი კავშირი ურთიერთთანხმობით მამაკაცებს შორის, სადაც ერთ-ერთი მხარე იყო თვრამეტ წელს ქვემოთ. მათგან განსხვავებით, ქალებს უფლება ჰქონდათ სექსუალურ აქტზე (როგორც ლესბოსელ და ისე ჰეტეროსექსუალ წყვილებს) თოთხმეტი წლის ასაკიდან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს იყო დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

მაგალითად, საქმეში *E.B. v. France*<sup>84</sup> მომჩივანს უარი ეთქვა შვილის აყვანაზე, იმის საფუძველზე, რომ მის ოჯახში მამაკაცის როლური მოდელის შემსრულებელი არ იყო, მაშინ, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა არ უკრძალავდა ბავშვის აყვანას მარტოხელა მშობლებს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო იცავს სახელმწიფოს ჩარევისაგან *per se* მე-8 მუხლთან მიმართებაში. შესაბამისად, თუ ამ საფუძველზე ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას, შესაძლოა ქმედება გასაჩივრდეს აღნიშნული მუხლის დარღვევის მოტივით დისკრიმინაციული მოპყრობის გარშემო დავის საჭიროების გარეშეც. საქმეში *Dudgeon v. UK*<sup>85</sup> ეხებოდა ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც ახდენდა ჰომოსექსუალური კავშირის კრიმინალიზებას სრულწლოვანთა შორის. განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი, როგორც ჰომოსექსუალი, იდგა დასჯის რისკის წინაშე. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მორალის დაცვა

<sup>83</sup>[https://www.equalrightstrust.org/sites/default/files/ertdocs/Microsoft%20Word%20-%20S.L.%20v.%20Austria%20criminal%20conduct\\_.pdf](https://www.equalrightstrust.org/sites/default/files/ertdocs/Microsoft%20Word%20-%20S.L.%20v.%20Austria%20criminal%20conduct_.pdf)

<sup>84</sup>

<sup>85</sup>



წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, შესაძლებელია აღნიშნული მიზნის მიღწევა პირად ცხოვრებაში მსგავსი ხარისხის ჩარევის გარეშე.

სასამართლო განსაკუთრებით მგრძობიარეა, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს მხრიდან პირადი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებში ჩარევას, როგორებიცაა პირის ღირსება, სექსუალური ან ოჯახური ცხოვრება. საქმე *Karner v. Austria* ეხებოდა ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც ნათესავს ან ცხოვრების კომპანიონს (თანამგზავს) შეეძლო ავტომატურად გამხდარიყო მხარე ქირავნობის ხელშეკრულებისა, მთავარი მოქირავნის tenant გარდაცვალების შემთხვევაში. ეროვნულმა სასამართლოებმა ისე განმარტეს კანონი, რომ იგი არ გაავრცელეს ჰომოსექსუალ წყვილებზე, რომლებიც არ იყვნენ დაქორწინებულები. მთავრობამ მიიღო და გაიზიარა აღნიშნული და განაცხადა, რომ სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე განსხვავებული მოპყრობა იყო დასაბუთებული და გამართლებული, ვინაიდან იგი იცავდა ტრადიციულ ოჯახებს საცხოვრებლის დაკარგვისაგან. სასამართლოს დადგენილებით, მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული ოჯახების დაცვა შესაძლოა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, შეფასების ფარგლები არის ვიწრო, როდესაც ადგილი აქვს განსხვავებულ მოპყრობას სქესის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „პროპორციულობის პრინციპი არა მხოლოდ მოითხოვს, რომ არჩეული ღონისძიება შეეფერებოდეს მიზნის მიღწევას, არამედ ასევე უნდა იყოს ნაჩვენები, რომ იგი აუცილებელი იყო, მიზნის მისაღწევად, რათა მოხდეს გარკვეული კატეგორიის ადამიანების გამორიცხვა – ამ შემთხვევაში ჰომოსექსუალურ ურთიერთობაში მცხოვრები ადამიანების – კონკრეტული აქტიდან“.

დასაქმების სფეროში სასამართლომ განაცხადა, რომ არმიიდან პირების გარიცხვა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ისინი იყვნენ ჰომოსექსუალები, წარმოადგენდა პირადი ცხოვრების სერიოზულ დარღვევას (*Lustig-Prean & Beckett v. UK*<sup>86</sup>). სასამართლო ასევე იცავს პირებს ამ საფუძველით დისკრიმინაციისაგან შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელების დროს (მე-11 მუხლი). განმეორებადი უარი გეი უფლებების აქტივისტების მოთხოვნაზე, რათა მომხდარიყო გეი პრაიდის ორგანიზება სასამართლომ არ მიიჩნია დასაბუთებულად და გამართლებულად დემოკრატიულ საზოგადოებაში (*Alekseyev v. Russia*)<sup>87</sup>. დისკრიმინაციის აკრძალვა სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაუშვან ერთსქესიანი წყვილების ქორწინება. თუმცა სასამართლო აცნობიერებს, რომ ერთსქესიანი პირების სტაბილური ურთიერთობა და თანაცხოვრება ხვდება მე-8 მუხლის ფარგლებში (*Schalk & Kopf v. Austria*)<sup>88</sup>.

<sup>86</sup>[https://hudoc.echr.coe.int/eng#{\"fulltext\":\[\"Lustig-Prean%20&%20Beckett\"\],\"sort\":\[\"kpdata%20Ascending\"\],\"itemid\":\[\"001-4937\"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{\)

<sup>87</sup> [https://hudoc.echr.coe.int/eng#{\"fulltext\":\[\"Alekseyev%20v.%20Russia\"\],\"itemid\":\[\"001-101257\"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{\)

<sup>88</sup>[https://hudoc.echr.coe.int/eng#{\"fulltext\":\[\"Schalk%20&%20Kopf%20v%20Austria\"\],\"itemid\":\[\"001-99605\"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{\)

Schalk & Kopf v. Austria ეხებოდა ქორწინების უფლებას (მე-12 მუხლი კონვენციის). აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლოს მიმართა სტაბილურ თანაცხოვრებაში მყოფმა ერთსქესიანმა წყვილმა. მათ სთხოვეს ავსტრიის ხელისუფლებას ქორწინების ნებართვა, რაზეც უარი მიიღეს, იმ საფუძველით, რომ ქორწინება შესაძლებელი იყო მხოლოდ საწინააღმდეგო სქესის წყვილებს შორის. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულ იქნა ეროვნული სასამართლოების მიერაც. მომჩივნებმა მიმართეს ევროპულ სასამართლოს.

ისინი აღნიშნავდნენ, რომ გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლი სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, ვინაიდან მათ უარი ეთქვათ ქორწინებაზე. სასამართლომ არ დაადგინა მე-12 და მე-14 მუხლების დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში. მან განაცხადა, რომ განმცხადებელთა თანაცხოვრება და ურთიერთობა ხვდებოდა „ოჯახური თანაცხოვრების“ ცნების ქვეშ, ისევე, როგორც განსხვავებული სქესის პირთა თანაცხოვრება, თუმცა კონვენცია არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, მიანიჭონ ერთსქესიან წყვილებს ქორწინების უფლება. ეროვნული ხელისუფლება უკეთეს მდგომარეობაშია, შეაფასოს და უპასუხოს საზოგადოებრივ საჭიროებებს აღნიშნულ სფეროში, ვინაიდან ქორწინებას აქვს ღრმა სოციალური და კულტურული ფესვები და კონტექსტები სხვადასხვა საზოგადოებაში.

მსგავსი მიდგომა იქნა გამოყენებული საქმეში Chapin and Charpentier v. France<sup>89</sup> (9 ივნისი 2016 წელი), რომელიც ეხებოდა ორი მამაკაცის ქორწინების საკითხს. მსგავსად წინა საქმისა, სასამართლოს არ დაუდგენია დარღვევა. იგი დაეყრდნო საქმეს Schalk and Kopf v. Austria და ხელმეორედ განაცხადა, რომ მე-12 მუხლი არ მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ერთსქესიანთა ქორწინება. ამ მხრივ საინტერესო საქმეს წარმოადგენს Oliari and Others v. Italy<sup>90</sup> (21 ივლისი, 2015). აღნიშნული საქმე ეხებოდა სამ ჰომოსექსუალ წყვილს, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალება, იტალიის კანონმდებლობიდან გამომდინარე, დაქორწინებულიყვნენ ან შესულიყვნენ რაიმე სახის სამოქალაქო კავშირში/პარტნიორობაში. სასამართლომ განაცხადა, რომ სამართლებრივი დაცვა იტალიაში, რომელიც ხელმისაწვდომია ერთსქესიანი წყვილებისთვის, არა მხოლოდ ვერ უზრუნველყოფს, უპასუხოს სტაბილურ ურთიერთობაში არსებული წყვილის ძირითად საჭიროებებს, არამედ ასევე არ არის საკმარისად საიმედო. სამოქალაქო კავშირი ან რეგისტრირებული პარტნიორობა იქნება ყველაზე შესაფერისი გზა ერთსქესიანი წყვილებისათვის, რომ მათი ურთიერთობა აღიარებული იყოს კანონის წინაშე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის იყო ტენდენცია ერთსქესიანი წყვილების თანაცხოვრების სამართლებრივი აღიარებისა – 47 წევრიდან 24-მა სახელმწიფომ მსგავსი კავშირის სამართლებრივი აღიარება მოახდინა – და რომ იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მოუწოდა მთავრობას ასეთი დაცვისა და აღიარებისაკენ. გარდა ამისა, ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობა იტალიაში მხარს უჭერდა ჰომოსექსუალ წყვილების

<sup>89</sup> [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["Chapin%20and%20Charpentier"\],"itemid":\["001-163967"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

<sup>90</sup> [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["oliari"\],"itemid":\["001-156265"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

სამართლებრივ აღიარებას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.



## საქართველოს საერთო სასამართლოების მიდგომები თანასწორობის საკითხებსა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რაც დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით ცალსახად წინ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ასევე საერთაშორისო, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საზედამხედველო, ორგანოების მიერ. ხსენებული კანონის თანახმად დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საჩივრების განმხილველ ორგანოებად განსაზღვრულ იქნა 1. საქართველოს სახალხო დამცველი და 2. საერთო სასამართლოები.

**სახალხო დამცველს**, როგორც კონსტიტუციით განსაზღვრულ ინსტიტუტს, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის, მათ შორის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახალხო დამცველს, როგორც ანტიდისკრიმინაციული კანონის აღსრულების მექანიზმს, გააჩნია მანდატი:

- ა) განიხილოს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადება და საჩივარი, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს;
- ბ) შეისწავლოს დისკრიმინაციის ფაქტი, როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცეს შესაბამისი რეკომენდაცია;
- გ) მოამზადოს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს გაუგზავნოს ზოგადი წინადადებები დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;
- დ) მოიწვიოს დისკრიმინაციის მსხვერპლი და სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელი პირი და შეეცადოს საქმე მხარეთა მორიგებით დაასრულოს;
- ე) დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის დაწესებულებას ან პირს, თუ საქმის მორიგებით დასრულება შეუძლებელი აღმოჩნდება და არსებობს საკმარისი მასალები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს;
- ვ) უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს.

თუმცა საქართველოს სახალხო დამცველი ვალდებულია, შეაჩეროს სამართალწარმოება, თუ დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო:

- ა) დავას სასამართლო განიხილავს;
- ბ) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

გ) მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა.

საქართველოს სახალხო დამცველი წყვეტს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო:

- ა) საქმეზე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება;
- ბ) განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი.

ამავე დროს, დისკრიმინაციასთან დაკავშირებით სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებად გვევლინება საერთო სასამართლოების სისტემა, რომლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსაც სამართლებრივად სავალდებულო ძალა გააჩნია. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის პრაქტიკაში ჯეროვანი, სამართლიანი და ადეკვატური ინტერპრეტაციისა და განხორციელებისათვის.

უპირატესობები და ნაკლოვანებები

საქართველოს სახალხო დამცველისათვის მიმართვის უპირატესობას წარმოადგენს ამ კონსტიტუციური ორგანოს ფართო მანდატი და მექანიზმის მოქნილობა. ზემოთ ჩამოთვლილი მანდატიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს შეუძლია:

- ა) როგორც საჩივრის საფუძველზე, ასევე თავისი ინიციატივით დაიწყოს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული წარმოება;
- ბ) რეკომენდაციით მიმართოს ნებისმიერ ორგანოს ან დაწესებულებას;
- გ) განახორციელოს მორიგებასთან დაკავშირებული ქმედებები.

თუმცა, ამავე დროს,

- ა) სახალხო დამცველის მიერ გამოცემული რეკომენდაციები არ არის სამართლებრივად სავალდებულო შესასრულებლად;
- ბ) ცალკეულ შემთხვევებში სახალხო დამცველი ვალდებულია, შეაჩეროს სამართალწარმოება, თუკი საქმეს განიხილავს საერთო სასამართლოები, ან მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება, ან სისხლის სამართლებრივი დევნა.

რაც შეეხება საერთო სასამართლოებს, როგორც ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმს:

- ა) საერთო სასამართლოებს გამოაქვთ სამართლებრივად სავალდებულო გადაწყვეტილება;
- თუმცა, ამავე დროს,

ბ) საერთო სასამართლოები საკუთარი ინიციატივით მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, აღძრან სამართალწარმოება დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ წარდგენილი საჩივრის გარეშე;

გ) სასამართლოში დისკრიმინაციის სარჩელის წარდგენისას დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლი ვალდებულია, დაიცვას კონკრეტული ფორმალობები, ჯეროვნად შეავსოს სარჩელის ფორმა, წარადგინოს შესაბამისი ფორმით მტკიცებულებები. ხშირად, შესაძლოა, სავარაუდო მსხვერპლს არ გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა ან უნარები. ხსენებული კი ქმნის საფრთხეს, რომ ეროვნული სასამართლოები არ მიიღებენ წარმოებაში საქმეს.

იმისათვის, რომ თავიდან ავირიდოთ ხსენებული, უნდა განვიხილოთ ეროვნული სასამართლოების მიერ დისკრიმინაციის საქმეებზე არსებული შედარებით მწირი პრაქტიკა.

### საერთო სასამართლოების პრაქტიკა

თავიდანვე აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების მიერ გადაწყვეტილებების გამოტანისას წარმოჩენილი მიდგომები არ არის ერთგვაროვანი. რიგ გადაწყვეტილებებში, იმის შეფასებისას, ადგილი ჰქონდა თუ არა მოსარჩელის დისკრიმინაციას, საერთო სასამართლოები ჯეროვნად მისდევენ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ ტესტს.

საერთო სასამართლოების მიერ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით განხილული საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა ეხება პირდაპირ დისკრიმინაციას და ასეთი საქმეების განხილვისას საერთო სასამართლოები ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლამდე არსებულ რედაქციაში მე-14 მუხლის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 და მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის, საქართველოს შრომის კოდექსის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებებით.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შედეგად ნათელი ხდება, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა საერთო სასამართლოებს ყველაზე ხშირად უწევთ შრომითი დავების კონტექსტში. თავის მხრივ, შრომით ურთიერთობებში უმეტესად ჭარბობს პოლიტიკური და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავები, თუმცა საერთო სასამართლოები იხილავდნენ რელიგიური, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციისა და ასაკის საფუძველზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სარჩელებს.

სასამართლო გადაწყვეტილებების გაანალიზებისას განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იმის შეფასებამ, ახორციელებენ თუ არა საერთო სასამართლოები, საკუთარი ინიციატივით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხების

იდენტიფიცირებას და მათ განხილვას, თუ ხსენებული ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსარჩელე მოითხოვს დისკრიმინაციის დადგენას და მიმართავს სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის 363<sup>1-6</sup> მუხლების შესაბამისად. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება რ. ტ.-ს საქმეზე<sup>91</sup>, რომელშიც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლო გასცდა სარჩელის ფარგლებს და თავისი ინიციატივით მოახდინა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, რაც არ იყო მოსარჩელის მიერ მითითებული. უზენაესმა სასამართლომ უარყო სააპელაციო სასამართლოს ხსენებული მიდგომა და განაცხადა, რომ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება გასცდენოდა სარჩელის ფარგლებს და განეხილა ის ფაქტები და საკითხი, რომელიც მოსარჩელეს არ ჰქონდა მითითებული. ხსენებული მიდგომით უზენაესმა სასამართლომ უარყო მიდგომა, რომლის თანახმადაც სააპელაციო თუ საქალაქო სასამართლოებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, თავად მოეხდინათ დისკრიმინაციის იდენტიფიცირება და კიდევ უფრო ეფექტიანი გაეხადათ დისკრიმინაციასთან ბრძოლის სასამართლო მექანიზმი.

ერთი მხრივ, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ რიგ გადაწყვეტილებებში, საერთო სასამართლოები ჯეროვან გულმოდგინებას ამჟღავნებენ დისკრიმინაციული მოტივებისა და ქმედებების გამოსაკვეთად. გარდა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში მოცემული დისკრიმინაციის ფორმებზე მსჯელობისა, საერთო სასამართლოებს იდენტიფიცირებული და ნამსჯელი აქვთ დისკრიმინაციის ისეთ ფორმასთან დაკავშირებით (უმეტესად შრომითი დავების განხილვისას), როგორცაა შევიწროება (harrasment).

მეორე მხრივ, რიგი გადაწყვეტილებების გაანალიზებისას რჩება შთაბეჭდილება, რომ როგორც მოსარჩელეებს, ისე სასამართლოებს ჯეროვნად არ აქვთ აღქმული დისკრიმინაციის არსი და ხშირად ხდება დისკრიმინაციის, როგორც სამართლებრივი კონცეფციის, გაიგივება/აღრევა კანონის/სამართალ დარღვევასთან. ზოგიერთ გადაწყვეტილებებში სასამართლოები ადგენენ დისკრიმინაციას მხოლოდ იმის გამო, რომ ადგილი ჰქონდა საჯარო ან კერძო პირის მხრიდან კანონის მოთხოვნების დარღვევას, თუმცა ასეთი ტიპის გადაწყვეტილებებში არსად არ არის საუბარი ან მსჯელობა, თუ რით იყო მოტივირებული კანონის დარღვევა (სქესის, კანის ფერის, რასის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური შეხედულების თუ სხვა საფუძვლით), რაც დისკრიმინაციის დადგენისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებზე მსჯელობისას განსხვავებულია სასამართლოების მიდგომა როგორც მტკიცებულებების განხილვასთან, ასევე მტკიცების ტვირთის კონკრეტული მხარისათვის დაკისრებასთან დაკავშირებით. პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებზე საერთო სასამართლოები

---

<sup>91</sup> 2015 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

ეყრდნობიან როგორც კონკრეტულ საქმეზე მოსარჩელების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს (ზეწოლის კონკრეტული ფაქტები, ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე პირების მდგომარეობა), ასევე ანალიზებენ ქვეყანაში არსებულ ზოგად კონტექსტს, ტენდენციებს, ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების განცხადებებს, შესაბამის სტატისტიკას, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებსა და ანგარიშებს. გენდერული ნიშნით და ასაკის საფუძველზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას სასამართლოები ძირითადად ანალიზებენ მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს კონკრეტულ სადავო საკითხებთან დაკავშირებით, კონკრეტული ორგანოების მიდგომებსა და სტერეოტიპებს, შესაბამის სტატისტიკას. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებს, სასამართლოები ძირითადად ეყრდნობიან მხარეების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მტკიცების ტვირთს, საერთო სასამართლოების მიერ გამოვლენილი მიდგომები აქაც არაერთგვაროვანია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ<sup>92</sup> და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი<sup>93</sup> მოსარჩელეს აკისრებს სახალხო დამცველის თუ საერთო სასამართლოების წინაშე მხოლოდ იმ მოცულობის ფაქტებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენას, რომლებიც **დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა**, ზოგჯერ საერთო სასამართლოების მიდგომა – მტკიცების ტვირთის მოსარჩელეზე მომეტებულად დაკისრებასთან დაკავშირებით – კითხვებს იწვევს. გადაწყვეტილებების განზოგადების დროს იდენტიფიცირებულ იქნა შემთხვევები, როდესაც მიუხედავად საკონკურსო საატესტაციო კომისიის წევრის პირდაპირი დისკრიმინაციული განცხადებისა, რომელიც ეხებოდა კონკრეტული კონკურსანტის სქესს და მის შეუსაბამობას სოფლის რწმუნებულის თანამდებობასთან, სასამართლომ არ მოახდინა ჯეროვანი რეაგირება და მოსარჩელეს დააკისრა მომეტებული მტკიცების ტვირთი დამატებითი მტკიცებულებების წარდგენასთან დაკავშირებით. ანალოგიურად, როდესაც საქმეზე, რომელშიც მოსარჩელე დავობდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე (ფეხმძიმობის გამო) სამსახურიდან გათავისუფლებას, სასამართლომ მოსარჩელეს მოსთხოვა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების წარდგენა, რომლის გაცემაზეც დამსაქმებელი უარს აცხადებდა და მოსარჩელის მტკიცებით ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომელზეც მას ჰქონდა ხელი მოწერილი, არ არსებობდა (ამავე დროს მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მისი დანიშვნის 2 ბრძანება, რომელიც უვადო იყო). ხსენებული ხელშეკრულების წარუდგენლობა, რომელიც, მიუხედავად მცდელობისა, მოსარჩელემ ვერ მიიღო დამსაქმებლისაგან, სასამართლომ ჩათვალა ხარვეზად.

<sup>92</sup> დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>93</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლი.

საინტერესოა დისკრიმინაციის საქმეებში საერთო სასამართლოების მიდგომები ზიანის ანაზღაურებასა და კომპენსაციასთან დაკავშირებით. საერთო სასამართლოების განმარტებით, მოსარჩელები თავისუფლდებოდნენ ბაჟის გადახდისაგან უკანონო ქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში, მაგრამ არ თავისუფლდებიან მორალური ზიანის ნაწილში.

### დისკრიმინაცია შრომითი დავების კონტექსტში

შრომითი დავების კონტექსტში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების განხილვისას საქართველოს საერთო სასამართლოებს უმეტესწილად უხდებოდათ სარჩელების განხილვა პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. თუმცა შრომითი დავების განხილვისას ეროვნულ სასამართლოებს ასევე უწევდათ დისკრიმინაციის ისეთ საფუძვლებზე მსჯელობა, როგორებიცაა გენდერი, ასაკი და სექსუალური ორიენტაცია. შრომითი დავების კონტექსტში დისკრიმინაციის იდენტიფიცირებისას საერთო სასამართლოები ძირითადად ეყრდნობოდნენ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონს და შრომის კოდექსს.

ხსენებული კატეგორიის დავების განხილვისას ეროვნული სასამართლოები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ, უვადოდ იყო პირი დანიშნული საჯარო თუ კერძო სამსახურში, თუ მოქმედებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები; რა გახდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი. ისეთ საქმეებშიც კი, რომლებიც თავისი არსით არ ეხებოდა დისკრიმინაციის საკითხის განხილვას და ძირითადად უკავშირდებოდა შრომით დავას, შესაძლებელია ამოვიკითხოთ ეროვნული სასამართლოების მიერ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განმარტებები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებებში ლ. ქ.-ს საქმეზე, სადაც სასამართლოებმა შრომით საკითხებზე მსჯელობისას განმარტეს, რომ უვადოდ დანიშნული მოსამსახურის ვადიან სამსახურზე გადაყვანა (თუ არ არის კანონით დადგენილი გამონაკლისი) შეიძლება ემსახურებოდეს დისკრიმინაციულ მიზანს და წარმოშობდეს დისკრიმინაციის საშიშროებას.

### შრომითი დავების კონტექსტში დისკრიმინაცია პოლიტიკური ნიშნით

შრომითი დავების კონტექსტში, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში, საქართველოს სასამართლოებს ძირითადად უხდებოდათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან თანამშრომელთა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებული სარჩელების განხილვა. ასეთი სარჩელების განხილვისას ეროვნული სასამართლოები ძირითადად ეყრდნობოდნენ მოსარჩელე მხარეების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, ვიდეო და აუდიო მტკიცებულებებს, მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, ისევე, როგორც საჯარო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა საჯარო განცხადებებს, რომელთა თანახმადაც გარკვეული პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი პირები მიუღებლები იყვნენ საზოგადოებისათვის და მათ არ უნდა ემუშავათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელების განხილვისას საერთო სასამართლოებმა შეფასება მისცეს დისკრიმინაციის ისეთ გამოვლინებას, როგორც არის შევიწროება (harrasment). განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შევიწროება/harrasment, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, არ იყო მოხსენიებული



როგორც დისკრიმინაციის სახეობა საქართველოს კანონში დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 2019 წლის თებერვლამდე, თუმცა საკითხის განხილვისას საერთო სასამართლოები ეყრდნობოდნენ, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და ევროპის სოციალური ქარტიის დებულებებს, ასევე საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის დებულებებს, რომლებიც ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას, კერძოდ კი დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას – შევიწროებას/harrasment-ს<sup>94</sup>.

### **თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება გ. ბ.-ს საქმესთან დაკავშირებით**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი წინამდებარე გადაწყვეტილება განსაკუთრებით საინტერესოა იმ კუთხით, რომ ძირითად განსახილველ საკითხს სწორედ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის არსებობა/არარსებობის ფაქტის დადგენა წარმოადგენდა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>2</sup>, 363<sup>3</sup>, 363<sup>5</sup> მუხლების თანახმად).

უწინარესად სააპელაციო სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად შეძლო მოსარჩელემ იმის დადასტურება, რომ მის მიმართ თბილისის მერიის მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, პოლიტიკური ნიშნით კონკრეტული შევიწროების ფაქტები იქნა განხორციელებული, რათა ეს უკანასკნელი ეიძულებინა, დაეტოვებინა სამსახური და რით შეიძლება ყოფილიყო ისინი მოტივირებული. სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვილ ინფორმაციას, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს ადასტურებდა, კერძოდ: ა) დროის მოკლე პერიოდში თვითმმართველობის ორგანოებიდან (მათ შორის, იმ უწყებიდან, რომელშიც მოსარჩელე მუშაობდა, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური) მასობრივად მოხდა კადრების გათავისუფლება;

---

<sup>94</sup> საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად:

...

3. შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო.

4. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.



- ბ) პარლამენტში გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა გააკრიტიკა თბილისის მერიიდან თანამშრომლების მასობრივად გათავისუფლების ფაქტი;
- გ) თბილისის საკრებულოში თბილისის მერის გამოსვლისას მან პირდაპირ მიუთითა კონკრეტული პოლიტიკური პარტიის დანატოვარი კადრების უმეტესობისაგან სისტემის გაწმენდის შესახებ;
- დ) კონკრეტულ ტელევიზიაში გასული სიუჟეტის თანახმად მერიის თანამდებობის ის პირი, რომელსაც მოსარჩელე გ. ხ. ამხელდა, როგორც ზეწოლის განმახორციელებელს, აცხადებდა, რომ დაკავებული თანამდებობიდან მოსარჩელე გ. ხ. გათავისუფლდა იმის გამო, რომ ხალხისათვის ის მიუღებელი იყო როგორც კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წევრი;
- ე) მოსარჩელისა და მერიის მაღალი თანამდებობის პირების აუდიო ჩანაწერი, რომლის თანახმადაც მერიის თანამდებობის პირები მოსარჩელის მიმართ ახორციელებდნენ მოწოდებას დაეტოვებინა სამსახური განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო.

ხსენებული მტკიცებულებების ჯეროვანი გაანალიზების შემდგომ სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებლის სამსახურიდან გათავისუფლების ოფიციალური საფუძველი (ატესტაციაში მონაწილეობის არ მიღება) იყო მოსარჩელის გათავისუფლების მხოლოდ ფორმალური მოტივი, ხოლო ატესტაციამდე მოსარჩელის მიმართ ხორციელდებოდა მოწოდება/მოთხოვნა საკუთარი ნებით დაეტოვებინა სამსახური, რაც ადასტურებდა გ. ხ.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების არსებით მოტივს და მდგომარეობდა პოლიტიკური ნიშნით მისი კანდიდატურის მიუღებლობაში. შესაბამისად, გამოცხადდებოდა თუ არა მოსარჩელე ატესტაციაზე ვერ იქონიებდა გადამწყვეტ მნიშვნელობას, რადგან საატესტაციო კომისია დაკომპლექტებული იყო იმ პირებით, რომლებიც მას აიძულებდნენ, დაეტოვებინა სამსახური. სამსახურიდან გათავისუფლების არსებით (პოლიტიკური შეხედულება) და ფორმალურ (ატესტაციაზე გამოუცხადებლობა) მოტივებზე მსჯელობისას სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს<sup>95</sup>.

კომპენსაცია – დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემდგომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს მიაკუთვნა განაცდური და 500 ლარის კომპენსაცია მატერიალური ზიანისათვის (მოთხოვნილი 3000 ლარის მაგივრად). მორალური ზიანის სახით კონკრეტული თანხის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელეს სრულად მიეკუთვნა ხელფასის სახით განაცდური, რომელიც მოსარჩელეს უნდა მიეღო გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე.

<sup>95</sup> ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: ივანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, იოკსასი ლიტვის წინააღმდეგ 2013 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმე #519-493-2011

იმავე საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ განმცხადებლის ძირითადი პრეტენზია ეხებოდა დისკრიმინაციის ფაქტს, არ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის დებულებებით, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის, ისევე, როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>1</sup>-363<sup>6</sup> დებულებებით (სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეზე). საქალაქო სასამართლომ მაღალი ხარისხის მტკიცების ტვირთი დააკისრა მოსარჩელეს დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით (რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებთან<sup>96</sup> 363<sup>3</sup> მუხლის დებულებასთან), რომლის თანახმადაც, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. საქალაქო სასამართლო საკითხის განხილვისას, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მხოლოდ ფორმალურ გარემოებებს შეეხო (ატესტაციაზე გამოუცხადებლობა), როცა ყურადღების მიღმა დატოვა სამსახურიდან გათავისუფლების არსებითი გარემოება (პოლიტიკური შეხედულების გამო განხორციელებული ზეწოლა და მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელემ წარუდგინა). თუმცა ხსენებული ხარვეზი გამოსწორებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში და დადგინდა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია (შევიწროება/harrasment).

### **თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 მაისისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება ი. კ.-ს საქმეზე**

ხსენებულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა ზემოხსენებული გ. ბ.-ს საქმის ანალოგიური გარემოებები, როდესაც მოსარჩელე ი.კ. მუშაობდა 2006 წლიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა თანამდებობაზე, განიცდიდა ზეწოლას მერიის შესაბამისი სამსახურის ახალი ხელმძღვანელობისაგან, რათა მას დაეტოვებინა თანამდებობა, ვინაიდან სხვა გუნდის (პოლიტიკური გაერთიანების) წევრი იყო. 2014 წელს ტელევიზიით გავრცელებულ აუდიო ჩანაწერში ი. კ.-მ საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა ზეწოლის ფაქტები და განაცხადა, რომ ზეწოლის მასირებული კამპანიის უკან იდგა ქ. თბილისის მერის მოადგილე. ხსენებული ფაქტის საფუძველზე მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა ტელევიზიით აუდიო ჩანაწერის გავრცელებიდან 3 დღეში მიიღო დასკვნა, რომლის თანახმადაც, ი. კ.-მ

<sup>96</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup> პუნქტის თანახმად სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

უხეზად დაარღვია სამსახურებრივი მოვალეობები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ი. კ.-მ მერის მოადგილის მიმართ განახორციელა ცილისწამება და არასწორი ფაქტების გავრცელება. მომდევნო დღეს ი. კ. გაათავისუფლეს სამსახურიდან.

ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით **თბილისის საქალაქო სასამართლომ** არ იმსჯელა დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა გააუქმა ი. კ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება, რადგანაც ბრძანების გამოცემამდე შესაბამისი ორგანოებს ჯეროვნად არ ჰქონდათ გამოკვლეული და დასაბუთებული, რაში გამოიხატებოდა მოხელის უღირსი საქციელი, რომლის გამოც იგი გათავისუფლდა. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მოსარჩელე მიუთითებდა ხელმძღვანელობის ზეწოლაზე მისი პოლიტიკური შეხედულების გამო, მერიის შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი იყვნენ, განსაკუთრებული ყურადღებით გამოეკვლიათ კონკრეტული მტკიცებულებები, სიფრთხილე გამოეჩინათ კონკრეტული სანქციის შერჩევასა და ჯეროვნად დაესაბუთებინათ, რაში მდგომარეობდა მოსარჩელის მიერ მოვალეობების უხეში დარღვევა, ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში კი უწინარეს საშუალებად განეხილათ არა სამსახურიდან გათავისუფლება, არამედ სხვა ადმინისტრაციული/დისციპლინური სახდელების დაკისრების მიზანშეწონილობა.

საქალაქო სასამართლოსაგან განსხვავებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვა წარმართა არ იმ კუთხით, ი. კ.-ს გათავისუფლებისას დაცული იყო თუ არა ფორმალურ/პროცესუალური ნორმები და მოხდა თუ არა გათავისუფლება დისციპლინურ გადაცდომათა გამო, არამედ **დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტის განხილვით**, რაც გულისხმობდა თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ პირთა მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებული მოხელეების მიმართ იწვევდა უთანასწორობას და პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას.

ხსენებული საკითხის განხილვისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონს, შრომის კოდექსის შესაბამის დებულებებს (მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს), რომლებიც კრძალავენ დისკრიმინაციას (კერძოდ, „შევიწროებას“/harassment), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და მე-12 დამატებით ოქმს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. სააპელაციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება აღსანიშნავია დისკრიმინაციასთან დაკავშირებული შიდა და საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოების მიერ დადგენილი იურისპრუდენციისა და პრეცედენტული სამართლის სიღრმისეული ანალიზით, სახელმწიფო მიხედულების საკითხის ჯეროვნად შეფასებითა და კონკრეტული სტანდარტების წარმოჩინება/გამოყენებით.

დისკრიმინაციის საკითხის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ძირითადად იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი „დისკრიმინაციის ტესტით“. კერძოდ, სასამართლომ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო:

1. რამდენად ახდენდა ზეგავლენას განსხვავებული მოპყრობა მოსარჩელის ძირითად უფლება/თავისუფლებებზე;
2. დაირღვა თუ არა მოსარჩელის რომელიმე ძირითადი უფლება;
3. ადგილი ჰქონდა თუ არა განსხვავებულ მოპყრობას ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი სხვა პირებისაგან;
4. არსებობდა თუ არა განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება, კერძოდ, გააჩნდა თუ არა განსხვავებულ მოპყრობას ლეგიტიმური მიზანი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით პოლიტიკური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციისას, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად ახდენს გავლენას განსხვავებული მოპყრობა შიდა და საერთაშორისო აქტებით უზრუნველყოფილ ინდივიდის უფლებებზე. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სააპელაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ი. კ.-ს უფლება, ესარგებლა და ჰქონოდა პოლიტიკური შეხედულება და სიმპათია ამა თუ იმ გუნდის მიმართ, მისი შეზღუდვა შრომით უფლებებში ამგვარი უფლების არსებობის/რეალიზების თვალსაზრისით გავლენას ახდენდა ი. კ.-ს პოლიტიკური შეხედულებისა და არჩევანის თავისუფლებაზე. სააპელაციო სასამართლო ხსენებულ საქმეში კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებასთან დაკავშირებით, ნამდვილად შეიძლება იმის მტკიცება, რომ „დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში, რომელსაც საქართველო აშენებს, სახეზე არ არის და არც შეიძლება იყოს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმური მიზანი. შესაბამისად ვერ ვისაუბრებთ განსხვავებულ მოპყრობასა და არარსებულ მიზანს შორის პროპორციულობის საკითხზე“. სასამართლოს აზრით, შეუძლებელია მხოლოდ პოლიტიკური შეხედულების გამო განსხვავებული მოპყრობის მოქცევა სახელმწიფოს მიხედულების/დისკრეციის ფარგლებში.

ისევე, როგორც გ. ბ.-ს საქმეში<sup>97</sup>, სააპელაციო სასამართლომ ხსენებულ საქმეში დადასტურებულად მიიჩნია განსხვავებული მოპყრობა, რადგან ქ. თბილისის მერიაში ანალოგიური პრობლემები არ შექმნიათ მათ, ვისაც არ გააჩნდა პოლიტიკური სიმპათია ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ. ანალოგიურად, ი. კ.-ს მიმართ ზეწოლის განხორციელება მერიის თანამდებობის პირების მხრიდან წარმოადგენდა ი. კ.-ს შრომითი უფლებების დარღვევას და მის დისკრიმინაციის პოლიტიკური ნიშნით.

---

<sup>97</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება გ. ბ.-ს საქმესთან დაკავშირებით (სამსახურიდან გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით, შევიწროება/harrasment, ძალიან საინტერესოა შევიწროების განმარტება პოლიტიკური ნიშნით)

ამავე საქმეში თბილისის სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მტკიცების ტვირთის მხარეებზე გადაწვეტილების საკითხთან დაკავშირებით და პარალელი გაავლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე საქმეზე *Nachova and others v. Bulgaria*<sup>98</sup> და განაცხადა, რომ დისკრიმინაციის დადგენისას სასამართლო ხელმძღვანელობდა ყველაზე მაღალი, „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით“.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ ჯეროვნად იქნა დამტკიცებული განსხვავებული მოპყრობის ფაქტი პოლიტიკური ნიშნით, ხოლო მოპასუხემ ვერ გააბათილა კონკრეტული მტკიცებულებები, კერძოდ, დროის მოკლე მონაკვეთში თანამშრომელთა მასობრივი დათხოვნა; ქ. თბილისის მერისა და მერიის მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები, რომელთა თანახმადაც კონკრეტული პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს საზოგადოება აღარ ენდობოდა და აუცილებელი იყო მათგან მერიის სამსახურების გაწმენდა; ის ფაქტი, რომ ანალოგიური სიძნელეები არ შექმნიათ მათ, ვინც არ იყო ყოფილი მმართველი ძალის მიმართ სიმპათიით განწყობილი. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, იმ მომენტში, როდესაც ი. კ.-ს სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება გამოიცა, მის მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციულ ქმედებას მიეცა დასრულებული სახე.

რაც შეეხება მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, სასამართლომ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი ი. კ.-ს მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციულ მოპყრობასა და დამდგარ ზიანს შორის, რადგან სწორედ დისკრიმინაციის საფუძველზე გათავისუფლდა ი. კ. სამსახურიდან და სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-2 მუხლის დარღვევა (პირდაპირი დისკრიმინაცია პოლიტიკური ნიშნით). შესაბამისად, სასამართლომ დაავალდებულა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო სრულად აენაზღაურებინა მოსარჩელისათვის განაცდური ხელფასი. მორალურ ზიანთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ დისკრიმინაციის შედეგად ხდება სულიერი და მორალური ტკივილის განცდა, ხოლო როგორ გამოიხატება აღნიშნული ტკივილი ფულად თანხაში კანონმდებლობა კონკრეტულ კრიტერიუმებს არ აწესებს და ხსენებული დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე. სასამართლოს განმარტებით (დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-10 მუხლში მოხსენიებულ მორალურ ზიანთან დაკავშირებით), მორალური ზიანის მიყენება შეიძლება უკავშირდებოდეს, როგორც უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობას და ამის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლების მომენტს, ასევე მორალური ზიანი შესაძლოა დადგეს მოგვიანებით, ხანგრძლივი უმუშევრობის მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების რითმის და წესის შეცვლით, დათრგუნულობის, გაურკვევლობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვული დამაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სასამართლოს განმარტებით დისკრიმინაციის მსხვერპლ პირს არაქონებრივი

<sup>98</sup> 2015 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება.

ზიანის ანაზღაურება მიეცემა არა რაიმე მატერიალური დანახარჯის კომპენსაციის სახარისხოდ, არამედ სულიერი ტანჯვის საკომპენსაციოდ. ხსენებულ საქმეში მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მოსარჩელე ითხოვდა 5000 ლარს. თუმცა სააპელაციო სასამართლომ გონივრულად მიიჩნია 500 ლარის მიკუთვნება. ხსენებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების კუთხით მოსარჩელეს სრულად მიეკუთვნა განაცდური.

**უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება/განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ივნისის განჩინება ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარეობიდან გადაყენებასთან დაკავშირებით**

პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების სამივე ინსტანციის მიერ განხილულ იქნა შ. გ.-ს საქმე. აღნიშნულ საქმეში შ.გ. ჩიოდა, რომ ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან მისი გათავისუფლება წარმოადგენდა დისკრიმინაციას პოლიტიკური ნიშნით. საერთო სასამართლოებმა იმსჯელეს იმასთან დაკავშირებით, შეიძლებოდა თუ არა საკრებულოს, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოს მიერ მოსარჩელის გათავისუფლება, ჩათვლილიყო დისკრიმინაციად. საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით, პირდაპირ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებს და ჯეროვნად განიხილა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები: ა) იყო თუ არა მოსარჩელე სხვა პირების ანალოგიურ სიტუაციაში; ბ) ადგილი ჰქონდა თუ არა განსხვავებულ მოპყრობას; გ) გამართლებული იყო თუ არა განსხვავებული მოპყრობა კონკრეტული ლეგიტიმური მიზნით.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, საკრებულო და მისი წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ და საკრებულოს არჩეული წევრები დამოუკიდებელნი არიან, საკრებულოს სხდომებზე ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია და მისცენ ხმა (ხოლო კომისიის შექმნა ან მისი თავმჯდომარის არჩევა წარმოადგენს საკრებულოს დისკრეციას), საკასაციო სასამართლომ არ მიიჩნია დისკრიმინაციის არსებობა პოლიტიკური ნიშნით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პოლიტიკურ დისკრიმინაციად შესაძლოა ჩათვლილიყო ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირის კონსტიტუციით და კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებებით სარგებლობას შეზღუდავდა პოლიტიკური ნიშნის გამო ან ჩააყენებდა მას სხვებთან

შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში. წინამდებარე შემთხვევაში სასამართლომ ბრძანა, რომ საკრებულოს მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებისას ბუნებრივია, რომ ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის, კომისიის შექმნა/გაუქმება ან თავმჯდომარის არჩევა/გადარჩევა. სასამართლოს განმარტებით, კონკრეტული გადაწყვეტილებები შესაძლოა მისაღები იყოს საკრებულოში წარმოდგენილი რომელიმე პოლიტიკური ძალისათვის და არ იყოს მისაღები მეორისთვის, რაც ბუნებრივია, ვერ და არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად.

ამავე გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მაგრამ ჯეროვანი დასაბუთება აკლია, საკასაციო ინსტანციის სასამართლო არ აკმაყოფილებს კასატორის საჩივარს. წინამდებარე შემთხვევაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მართებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება და ჯეროვანი დასაბუთების დამატების შემდგომ ძალაში დატოვა იგი.

ანალოგიური მსჯელობაა წარმოჩენილი ახალციხის რაიონული სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში. დასაბუთება დისკრიმინაციის ნაწილში თითქმის იმავე არგუმენტებს ეფუძნება, რომლებიც მოტანილია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში. **თუმცა, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით**, რაიონული და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ ჩანს ის კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დისკრიმინაციის არსებობას ადგილი არ ჰქონია.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გადაწყვეტილება, საბოლოო ჯამში, ძალაში დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და არ იქნა დისკრიმინაციის ფაქტი დადგენილი, უკეთესი იქნებოდა, უზენაესი ინსტანციის სასამართლოს, შესაბამისი სტანდარტების კიდევ უფრო ნათლად ფორმულირების მიზნით, ჯეროვნად განემარტა არგუმენტები, რატომ არ აქვს ადგილი პირდაპირ დისკრიმინაციას, **კერძოდ, რატომ არ უნდა მოეთხოვოს საკრებულოს, როგორც ადგილობრივ დონეზე მოქმედ საკანონმდებლო ორგანოს, პოლიტიკურად ნეიტრალური გადაწყვეტილებების მიღება**, მათ შორის, იურიდიული კომისიის თავმჯდომარის დანიშვნა მოხსნის საკითხთან დაკავშირებით ან რატომ არ იყვნენ პირები ანალოგიურ პირობებში და მდგომარეობაში მაშინ, როდესაც მოხდა მოსარჩელის შერჩევა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის პოსტზე და მაშინ, როდესაც მოხდა მისი გადაყენება. ხსენებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო თითქოს თავიდან ირიდებს და არ განიხილავს საკითხს, დაისვა თუ არა საკრებულოს სხდომაზე მოსარჩელის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მისი პოლიტიკური კუთვნილების გამო და აღნიშნავს, რომ რადგან ხსენებული არ იყო ჩაწერილი ოქმში, ამ საკითხს სასამართლო ვერ განიხილავს. **თუმცა, ასეც რომ ყოფილიყო, სასამართლოს უნდა ემსჯელა და ჯეროვანი ყურადღება გაემხვილებინა, თავად საკრებულოს, როგორც ადგილობრივი არჩევითი**

საკანონმდებლო ორგანოს, მანდატსა და უფლებამოსილებებზე (რომ იგი დაკომპლექტებულია კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არჩეული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან, არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო და შესაბამისად მას არ შეიძლება მოეთხოვოს პოლიტიკურად ნეიტრალური გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის, კონკრეტული თანამდებობის პირების დანიშვნა/გადაყენებასთან დაკავშირებით) და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების დისკრეციაზე, ისევე, როგორც ანალოგიურ პირობებში მყოფ/არ მყოფ შედარების ობიექტზე (ხსენებულ შემთხვევაში თავდაპირველ ეტაპზე მოსარჩელის და მისი პოლიტიკური გაერთიანების მმართველ კოალიციაში ყოფნა, ხოლო მოგვიანებით მმართველი კოალიციიდან გასვლა).

ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ 2015 წლის 5 ოქტომბერს გ. ც.-ს საქმეზე, რომელშიც ეს უკანასკნელი ჩიოდა პოლიტიკური ნიშნით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლებას. წინამდებარე საქმეში ხაშურის სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის დებულებებით და მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი არ ჰქონდა დისკრიმინაციას. როგორც ზემოხსენებული საქმეში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საკრებულოს წევრები, რომელთა გადაწყვეტილების შესაბამისად იქნა მოსარჩელე გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან, სარგებლობენ თავისუფალი მანდატით და მათი გაწვევა შეუძლებელია, რაც ანიჭებს მათ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების დამატებით გარანტიას. საკრებულოს წევრს გააჩნია სრული უფლებამოსილება, დამოუკიდებლად განსაზღვროს და მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე დასმულ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. სასამართლოს განმარტებით, საკრებულოს წევრების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულება, სხდომებში მონაწილეობის მიღება, კენჭისყრაში მონაწილეობა და ხმის მიცემა, სასამართლოს აზრით, არ შეიძლება ჩათვლილიყო დისკრიმინაციად. სასამართლოს განმარტებით საკრებულოს მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებისას, ბუნებრივია, ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შესაძლოა, მისაღები ან მიუღებელი იყოს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფისათვის. სასამართლო დაეყრდნო ზემოხსენებულ საკანონმდებლო დებულებებსა და ზოგად ადმინისტრაციულ სამართლის კოდექსს, რომლის მე-2 მუხლის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, და განმარტა, რომ მოსარჩელის გათავისუფლება არ ყოფილა დისკრიმინაციული ხასიათისა. ამავე დროს, სასამართლომ ჩათვალა, რომ მის წინაშე არ ყოფილა წარდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომ საკრებულოს რომელიმე წევრზე განხორციელდა რაიმე სახის ზეწოლა, გადაწყვეტილების მიღება მოხდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.



ზემოხსენებული გადაწყვეტილების მსგავსად, წინამდებარე გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილშიც სასამართლოს უფრო ნათლად უნდა ჩამოეყალიბებინა თავისი ხედვა, რომ საკრებულოს, როგორც ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს, არ შეიძლება მოეთხოვოს პოლიტიკურად ნეიტრალური გადაწყვეტილებების მიღება, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის ან თუნდაც კომისიების ხელმძღვანელთა თანამდებობაზე დანიშვნა/გათავისუფლება დიდწილად დამოკიდებულია, რომელი პოლიტიკური ძალა მოიპოვებს უმრავლესობას ადგილობრივ არჩევნებში. შესაბამისად, ამა თუ იმ პირის არჩევა/დანიშვნა ასეთი ტიპის ორგანოში არ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამოვლინებად.

## **შრომითი დავების კონტექსტში პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები**

### **სენაკის რაიონული სასამართლოს ი. გ.-ს საქმესთან დაკავშირებული 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება**

ხსენებულ საქმეში რაიონულმა სასამართლომ დაადგინა მოსარჩელის უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი იმ მოტივით, რომ დაკმაყოფილებული არ იყო შრომის კოდექსის 37-ე მუხლით რეორგანიზაციასთან დაკავშირებული დებულებები/გარემოებები. რაც შეეხება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს, სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ ვერ შეძლო წარედგინა სასამართლოსათვის კონკრეტული მტკიცებულებები განსხვავებულ მოპყრობასთან დაკავშირებით, რომლებსაც საფუძვლად დაედებოდა მისი პოლიტიკური შეხედულება. სასამართლოს განმარტებით: „დამსაქმებლის მიდგომა (შეხედულება) ამა თუ იმ საკითხისადმი, ვერბალური თუ არავერბალური გამოხატულების გარეშე, პირის მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციად ვერ ჩაითვლება“. სასამართლოს განმარტებით: „დისკრიმინაციას წარმოადგენს დამსაქმებლის ფაქტობრივ ქმედებაში გამოხატული ნება, რაც მიმართულია და მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებულისადმი დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა ისეთი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით“. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ვერ დადასტურდა მოპასუხის მხრიდან რაიმე სახის შევიწროება/ზეწოლის განხორციელება მოსარჩელეზე მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო, სასამართლომ მიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა დისკრიმინაციას. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო წარედგინა სასამართლოსათვის რაიმე მტკიცებულება, გარდა იმ ფაქტისა, რომ იგი გაათავისუფლეს, ხოლო მასზე გვიან სამსახურში მისული პირი კი თანამდებობაზე დატოვეს.

### **ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება ი. ნ.-ს საქმეზე**

ხსენებული საქმე ეხებოდა პოლიტიკური ნიშნით მოსარჩელის სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტს და მისთვის დისციპლინური სასჯელის დაკისრებას და შემდგომ გათავისუფლებას. საქმეში დისკრიმინაციის ფაქტი ვერ დადასტურდა, რადგან ერთადერთი მტკიცებულება იყო მესამე პირის მიერ ნაწილობრივ იმის დადასტურება, რომ მოსარჩელეს ზემდგომი პირი უთითებდა მეუღლის პარტიულ საქმიანობას, თუმცა მოწმემ აღნიშნა, რომ საუბარს შეესწრო შემთხვევით, მოსაუბრეს არ შეუძმჩნევია იგი და საუბარი არ მოუსმენია სრულად.

მართალია, სასამართლოს წინაშე არ ყოფილა საკმარისი მტკიცებულებები წარდგენილი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის, თუმცა შესაბამისი აქტი

ბათილად იქნა ცნობილი სხვა საფუძვლით, კერძოდ, იმის გამო, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ბაღში გამოვლენილ დარღვევებზე (მღრღნელების მიერ საკვების შეჭმას, ვადაგასული კვერცხის არსებობა) არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაკისრებოდა მოსარჩელეს, რადგან საჭმლის შესანახი კონტეინერების უზრუნველყოფა და ვადაგასული პროდუქტის ჩამოწერა სწორედ მოპასუხის ვალდებულება იყო.

### **ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მ. დ.-ს საქმეზე 2017 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება**

ხსენებულ საქმეში სასამართლომ ბათილად ცნო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება თავად კონკურსის პროცესის გაუმჭვირვალედ ჩატარების გამო. რაც შეეხება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ პრეტენზიას, სასამართლომ განაცხადა, რომ შეუძლებელი იყო, ზემოხსენებული ხარვეზიდან გამომდინარე, გასაუბრების პროცესის მიმდინარეობის შემოწმება, რაც რთულს ხდიდა პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას. ამავე დროს, მოსარჩელეს არ ჰქონდა წარდგენილი კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც შესაბამისი სტანდარტით დაადასტურებდა დისკრიმინაციის ფაქტს. რაც შეეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით 'livepress.ge' გავრცელებულ ცნობას, რომ მასობრივად ხდებოდა თანამშრომელთა დათხოვნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან პოლიტიკური შეხედულების გამო, სასამართლომ განმარტა, რომ ეს უკანასკნელი შესაძლოა ყოფილიყო მხოლოდ დამხმარე ხასიათის და არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ფაქტის დადასტურების უტყუარ მტკიცებულებად, რადგან არ უთითებდა კონკრეტულ ფაქტებსა და წყაროებზე. მოსარჩელემ კი ვერ გაართვა თავი მტკიცების ტვირთს და ვერ წარადგინა კონკრეტული მტკიცებულება სასამართლოს წინაშე შევიწროება/პოლიტიკური ნიშნით დევნასთან დაკავშირებით.

### **რუსთავის სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება გ. ქ.-ს, მ. ა.-ს, კ. ყ.-ს, ზ. ტ.-ს და სხვების საქმეზე**

ხსენებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ სადავო დისკრიმინაციის ფაქტის შეფასებისას სასამართლომ იხელმძღვანელა მხოლოდ საქართველოს შრომის კოდექსით, კერძოდ, მისი მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით. წინამდებარე საქმეში დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის დადებული იყო ზეპირი გარიგება შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომელიც მოშლილ იქნა დამსაქმებლის მიერ. სასამართლოს თანახმად, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტი ვადით იქნა დადებული, იგი ბათილად უნდა ჩათვლილიყო, რადგან მოქმედი კანონმდებლობა, 3 თვეზე მეტი ვადის შემთხვევაში, ცალსახად ითხოვს შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადებას. მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა მათი კონკრეტული პოლიტიკური

პარტიისადმი კუთვნილების გამო. თუმცა, სასამართლოს განმარტებით, კონკრეტული მოწმეების ჩვენების საფუძველზე, ნათელი გახდა, რომ დამსაქმებელთან კვლავაც აგრძელებდნენ განსხვავებული პოლიტიკური სიმპათიების მქონე პირები მუშაობას. რაც შეეხება იმ ვარაუდს, რომ დისკრიმინაციის საფუძველზე მოხდა იმ მოსარჩელეთა თანამდებობიდან გათავისუფლება, რომლებსაც ეკავათ მთავარი სპეციალისტისა და უფროსი სპეციალისტის თანამდებობები და ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირების ტესტი სწორედ უნდა განხორციელებულიყო ანალოგიურ თანამდებობებზე დატოვებულ პირებთან მიმართებით, ხსენებულის შესახებ მოსარჩელეს არ წარუდგენია პრეტენზია.

ხსენებული საქმეები ნათლად წარმოაჩენენ ეროვნული სასამართლოების მიდგომას შრომითი დავების განხილვისას პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე მსჯელობის დროს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ წარდგენილ მტკიცებულებებს. ერთი მხრივ, ნათელია, რომ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი<sup>99</sup> და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი<sup>100</sup> დისკრიმინაციის სავარაუდო მსხვერპლს აკისრებს ვალდებულებას როგორც სახალხო დამცველის, ასევე სასამართლოს წინაშე, წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა. პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების განხილვისას მტკიცების ხსენებული ტვირთი, ანუ ვარაუდის საფუძველი, რომ პირი დაექვემდებარა პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციას, კიდევ უფრო ნათლად უნდა წარმოჩინდეს მოსარჩელის მიერ. სენაკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „დამსაქმებლის მიდგომა (შეხედულება) ამა თუ იმ საკითხისადმი, ვერბალური თუ არავერბალური გამოხატულების გარეშე, პირის მიმართ განხორციელებულ დისკრიმინაციად ვერ ჩაითვლება“. სასამართლოს განმარტებით: „დისკრიმინაციას წარმოადგენს დამსაქმებლის ფაქტობრივ ქმედებაში გამოხატული ნება, რაც მიმართულია და მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებულისადმი დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს დასაქმებული მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით“. შესაბამისად, კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ მოსარჩელის ვარაუდი, რომ იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან ან არ დანიშნეს თანამდებობაზე პოლიტიკური ნიშნით, არ იქნება საკმარისი ეროვნული სასამართლოებისათვის პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის დასადგენად. როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში, აუცილებელია ზოგადი კონტექსტის, სტატისტიკის, ტენდენციების, კონკრეტული გამონათქვამების, ქმედებების ანალიზი, რათა დადგინდეს, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით შევიწროებას.

<sup>99</sup> დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>100</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლი.

თუმცა ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებში, შესაძლოა, გარკვეული კითხვები დავსვათ სხვა საკითხთან დაკავშირებით, ხომ არ დაეკისრა მოსარჩელეს მტკიცების მომეტებული/ფორმალური ტვირთი და, წარდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ხომ არ უნდა ემსჯელა სასამართლოს, მაგალითად, იმ საკითხთან დაკავშირებით, მართებული იყო თუ არა შედარების ობიექტად (ანალოგიური სიტუაციის შეფასებისას) სხვა თანამშრომლების შეფასება, თუ უფრო მართებული იქნებოდა შედარების ობიექტად ანალოგიურ თანამდებობებზე მყოფი და სამსახურში დატოვებული პირების მიჩნევა? (რუსთავის სასამართლოს 2015 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება გ. ქ.-ს, მ. ა.-ს, კ. ყ.-ს, ზ. ტ.-ს და სხვების საქმეზე).

## შრომითი დავების კონტექსტში დისკრიმინაციასთან დაკავშირებული კონცეფციის არასწორი გამოყენება

სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებში მოსარჩელები ხშირად უწოდებენ დისკრიმინაციას შრომის კანონმდებლობის დარღვევას, რომელიც შესაძლოა განხორციელებულ იქნეს დამსაქმებლის მიერ მათი სამსახურიდან გათავისუფლების პროცესში. აღნიშნულ დროს ხდება მოსარჩელების მიერ დისკრიმინაციის, როგორც სამართლებრივი კონცეფციის, გაიგივება კანონის/სამართალ დარღვევასთან. გარკვეულ შემთხვევებში ხსენებულს ეთანხმებიან სასამართლოები და ადგენენ დისკრიმინაციას, თუმცა დისკრიმინაციისათვის აუცილებელი კომპონენტები სახეზე არ არის და არ შეიძლება მოხდეს, ერთი მხრივ, კანონის დარღვევის და, მეორე მხრივ, დისკრიმინაციის, როგორც სამართლებრივი კონცეფციის, ერთმანეთში აღრევა/გაიგივება.

ერთ-ერთ ასეთ თვალსაჩინო გადაწყვეტილებას წარმოადგენს **თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება ზ. ვ.-ს საქმეზე**. მოსარჩელე ჩიოდა სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოდან მის გათავისუფლებას და დავობდა დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით. მისი მტკიცებით, სურსათის ეროვნული სააგენტო ავალდებულებდა მას მილიონობით მანიპულაციის განხორციელებას, რისი გონივრული რესურსებიც არ გააჩნდა სამსახურს და არარეალურად დიდი მოთხოვნების შესრულება შეუძლებელი იყო. პრეტენზიის გამოთქმის შემდგომ მოსარჩელეს პირველი გაფრთხილება მისცეს იმის გამო, რომ არ ჰქონდა საადრიცხვო ჟურნალი, თუმცა სურსათის ეროვნული სააგენტოების კახეთის თანამშრომლები, ვეტერინარები, ძირითადად იმყოფებოდნენ პირუტყვის სადგომებში და არ უნახავთ შესაბამისი დოკუმენტაცია. მოგვიანებით მოსარჩელე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და ხსენებული სასამართლომ შეაფასა დისკრიმინაციად (შევიწროებად). **თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებაში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელ აკრძალულ საფუძველზე განხორციელდა რაიმე სახის განსხვავებული მოპყრობა, იყო თუ არა მოსარჩელე საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე სურსათის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული დანაყოფების ანალოგიურ მდგომარეობაში, თუ კახეთის რეგიონს ჰქონდა კონკრეტული სპეციფიკა.** სასამართლოს გადაწყვეტილებაში საფუძვლად მოყვანილია მხოლოდ შრომის კოდექსის მეორე მუხლის მესამე ნაწილი. *პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს, ან აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით.* ასევე 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციული საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. თუმცა გადაწყვეტილებაში არსად ჩანს არც განსხვავებული მოპყრობა, არც განსხვავებული მოპყრობისათვის აკრძალული საფუძველი, არც შედარების ობიექტი. შესაბამისად, კითხვებს იწვევს მოსამართლის მიერ მოსარჩელის გათავისუფლების ფაქტის დისკრიმინაციად დაკვალიფიცირება.

კითხვებს იწვევს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2016 წლის 22 ივლისს გამოტანილ გადაწყვეტილებაში დ. ნ.-ს და კ. ს.-ს საქმეში. ხსენებულ საქმეში მოსარჩელები მუშაობდნენ „სს თელასის“ დაცვის სამსახურში და ისინი გათავისუფლებულ იქნენ დაკავებული თანამდებობიდან. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების აზრით, მოსარჩელების მიმართ ხორციელდებოდა მიზანმიმართული დისკრიმინაცია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურში წარმართული კონკრეტული მოკვლევისა დასკვნა მიუთითებდა სხვა პირების პასუხისმგებლობაზე, უშიშროების სამსახურის დირექტორის მოთხოვნით, დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრათ მოსარჩელებს. ამ შემთხვევაში უშიშროების სამსახურის დირექტორი დაჟინებით ითხოვდა პასუხისმგებლობის სხვა პირებისაგან არიდებას და მოსარჩელების დასჯას. თუმცა არც საქალაქო და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებაში არ ჩანს, რის საფუძველზე განხორციელდა მოსარჩელეთა შევიწროება (harrasment), სასამართლოებს არ აქვთ ნამსჯელი იმ საკითხთან დაკავშირებით, კონკრეტული შევიწროება ეფუძნებოდა თუ არა რაიმე აკრძალულ საფუძველს და განსხვავებული მოპყრობა უშიშროების სამსახურის დირექტორის მხრიდან განპირობებული იყო თუ არა რაიმე სახის დისკრიმინაციული მოტივით. ხსენებულ შემთხვევაში სასამართლოს დისკრიმინაცია გაიგივებული აქვს ელემენტარული შრომის კანონმდებლობის დარღვევასთან და არ აქვს ნამსჯელი დისკრიმინაციისათვის აუცილებელ საკითხზე, რომელ აკრძალულ საფუძველზე განხორციელდა მოსარჩელების სხვებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება.



## სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაცია

სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის საკითხი საერთო სასამართლოებმა განიხილეს შრომის, განათლების, ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული დავების კონტექსტში. როდესაც სექსუალური ორიენტაციის გამო პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებული პირის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ დავაში ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად იმსჯელეს დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით, სასამართლოებმა არ იმსჯელეს დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით იმ საქმეზე, რომელშიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა უფლებების დამცველ ორგანიზაციას უარი ეთქვა პრევენტაციაზე. ხსენებულ შემთხვევაში სასამართლო შემოიფარგლა ფორმალური საფუძველით და პროცესზე, მხარის გამოუცხადებლობის გამო, განუხილველად დატოვა სარჩელი.

სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის კუთხით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 12 სექტემბერს და ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 10 მაისს გ. პ.-ს საქმეზე. ხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მოსარჩელე დასაქმებული იყო სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს ქუთაისის #2 პენიტენციური დაწესებულების სამეურნეო სამსახურში. იგი გაათავისუფლეს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს #2 პენიტენციური დაწესებულების სამეურნეო მომსახურების დანაყოფიდან მისი სექსუალური ორიენტაციის გამო. მოსარჩელის მტკიცებით, ხსენებულს საფუძველად დაედო ამავე დაწესებულების სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული 24 სხვა პატიმრის ადმინისტრაციისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ისინი უთითებდნენ მოსარჩელის მიერ მათი მშვიდობიანი ცხოვრებისათვის პრობლემების შექმნაზე. ადმინისტრაციისადმი გაგზავნილ წერილში ავტორები უთითებდნენ მოსარჩელის შიდასივრცით დაავადებასა და არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე, „გარყვნილების“ ხშირ ჩადენაზე ღამის საათებში, „ლგბტ პირების შესახებ კანონის ძალაში შესვლის შემდგომ მის აღვირახსნილ ცხოვრებაზე“. მოსარჩელის აზრით, მისთვის სათანადო და დროული სამედიცინო მომსახურების გაუწევლობა, საკანში დოკუმენტების შენახვის უფლების მიუცემლობა, სამართლო საკანში დაუმსახურებლად მოთავსება, აგრესიულ პატიმართან მისი შესახლება და სამეურნეო ნაწილიდან ამორიცხვა წარმოადგენდა დისკრიმინაციას.

ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომლის დისკრიმინაციისათვის აკრძალულ საფუძველებში არ იყო აღნიშნული სექსუალური ორიენტაცია, არ უნდა ყოფილიყო განმარტებული ვიწროდ და მხოლოდ გრამატიკულად. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა უარყვეს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ვიწროდ და მხოლოდ გრამატიკულად განმარტება და აქცენტი გააკეთეს ნორმის არსსა და მის მიზანზე. დაეყრდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის მე-14 მუხლის განმარტებას და ბრძანეს, რომ „მხოლოდ ვიწრო

გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა და აზრს დაუკარგავდა კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ სამართლებრივ სივრცეში“. შესაბამისად, სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავდა დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. ანალოგიური მიდგომით, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა გააანალიზეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებთან მიმართებით და დაასკვნეს, რომ სექსუალური ორიენტაცია ცალსახად არის ადამიანის პირადი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაცია დაუშვებელია. ამავე დროს, სასამართლოებმა მიუთითეს საქართველოს კანონზე დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სექსუალურ ორიენტაციაზე, როგორც დისკრიმინაციისათვის აკრძალულ საფუძველზე.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა მოიშველიეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის აკრძალვის სტანდარტები და ჯეროვნად იმსჯელეს პირდაპირი დისკრიმინაციის შეფასების ტესტზე (ანალოგიურ/თანასწორ მდგომარეობაზე, განსხვავებულ მოპყრობაზე კონკრეტული აკრძალული საფუძველით). სასამართლოების განმარტებით, წინამდებარე შემთხვევაში სახეზე იყო ყველა ნიშანი დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად. კერძოდ, სასამართლომ მნიშვნელოვანი ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტებზე, რომ

1. მოსარჩელე, სხვა პატიმრების მსგავსად, ჩარიცხულ იქნა სამეურნეო ნაწილში და სხვა პატიმრების ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა;
2. პატიმრებმა წერილობით მიმართეს ციხის ადმინისტრაციას, სადაც განსაკუთრებულ ზიზღსა და შეუწყნარებლობას გამოთქვამდნენ მოსარჩელის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით. სასამართლოების აზრით, ციხის ადმინისტრაციას არ გამოუკვლევია სხვა კონკრეტული პრეტენზიები, რომლებსაც პატიმრები უთითებდნენ, კერძოდ, აღვირახსნილობას, ხმაურს და ა.შ. და ისე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელის სამეურნეო ნაწილიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ციხის ადმინისტრაციამ სრულად გაიზიარა წერილის ავტორი პატიმრების პრეტენზიები მოსარჩელის „უღირსობასთან“ დაკავშირებით;
3. ადმინისტრაციის მიერ წერილის მიღების შემდგომ 2 დღეში, ციხის ადმინისტრაციის ბრძანებით, მოხდა მოსარჩელის ამორიცხვა სამეურნეო დანაყოფიდან.

საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა ცალსახად აღნიშნეს, რომ მიუხედავად სასჯელადსრულების სისტემის განსაკუთრებული სპეციფიკურობისა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი ცალსახად ვრცელდებოდა ხსენებულ დაწესებულებაზე და მის ადმინისტრაციას შესაბამის ვალდებულებებს აკისრებდა.

მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ მოსარჩელემ ჯეროვნად შეძლო დაედასტურებინა, მასთან ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ პირებთან შედარებით, მის მიმართ განსხვავებული მოპყრობის განხორციელება, რამაც ნეგატიურად იმოქმედა მის მდგომარეობასა და უფლებების ჯეროვნად განხორციელებაზე. სასამართლოების განმარტებით, ციხის ადმინისტრაციის მიერ მოსარჩელის მიმართ განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მოსარჩელისაგან განსხვავებული ადამიანები ითხოვდნენ, ლახავდა მოსარჩელის, როგორც მსჯავრდადებულის უფლებებს და ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ წესრიგს.

სასამართლოების განმარტებით, ერთადერთი შესაძლებლობა და მოტივი, რომელსაც შეეძლო მოსარჩელის მიმართ განსხვავებული მოპყრობის გამართლება, იყო მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობა, რაზეც ციხის ადმინისტრაცია არ აპელირებდა.

ხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლოების განმარტებით: „ადამიანის განსხვავებული ქცევის, მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესის შემწყნარებლობა დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი... ხოლო ის მოქმედებები, რომლებიც შეუწყნარებლობასა და მიუღებლობას უწყობს ხელს, ახალისებს ან იწონებს, არადემოკრატიული, დისკრიმინაციული და კანონსაწინააღმდეგო... არატოლერანტული მოთხოვნის რეალიზაციას კი... ობიექტური და გონივრული [გამართლების] საფუძველი არასოდეს გააჩნია“.

სასამართლოების განმარტებით, გაუგებარია, რა ნეგატიურ გავლენას ახდენდა მოსარჩელის სექსუალური ორიენტაცია ან ქცევა სამეურნეო ნაწილში მისი მოვალეობების შესრულებაზე. მოპასუხის მხრიდან სასამართლოს წინაშე არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოებმა ცალსახად დაადგინეს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობა და ბრძანეს მოსარჩელის აღდგენა სამეურნეო მომსახურებაში.

## დისკრიმინაცია ასაკის გამო

### თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება

ხსენებულ საქმეში მოსარჩელე ც. გ. ჩიოდა ასაკის საფუძველზე დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი სამსახურიდან გათავისუფლებისას. თუმცა, როგორც რუსთავის საქალაქო, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლომ ჯეროვნად შეაფასეს ის გარემოება, რომ მოსარჩელე არ იყო თანაბარ/ანალოგიურ მდგომარეობაში სხვა მასწავლებლებთან, რომლებმაც შეინარჩუნეს ადგილი სკოლაში. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ კონკრეტულ მომენტში დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, სკოლა იძულებული შეიქმნა, გამოყოფილი რესურსების გარკვეული გადამისამართება მოეხდინა არსებული გამოწვევების საპასუხოდ. სკოლის დირექტორმა უფროს კლასებში პედაგოგთა შერჩევას უპირატესობა მიანიჭა სერტიფიცირებულ პედაგოგებს, რომელთა კატეგორიაში არ იყო მოსარჩელე. ამავე დროს, საქმეში უდავოდ იყო დადგენილი ფაქტი, რომ სკოლაში მოღვაწეობდა ყველა ასაკის პედაგოგი, რომელიც იყო სერტიფიცირებული.

## შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე პირის დისკრიმინაცია

შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საჩივრები საერთო სასამართლოებს განხილული აქვთ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დავის კონტექსტში. მიღებულ გადაწყვეტილებებში საერთო სასამართლოებმა ძირითადად იმსჯელეს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ადამიანის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებასთან დაკავშირებით. განზოგადებულ გადაწყვეტილებებში საერთო სასამართლოებს არ აქვთ ნამსჯელი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელი დამატებითი ღონისძიებები უნდა ყოფილიყო განხორციელებული, რათა აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირებს მისცემოდათ შესაძლებლობა, ხელმისაწვდომობა ჰქონოდათ კონკრეტულ სიკეთეზე იმ პირების მსგავსად, რომლებსაც არ გააჩნდათ შეზღუდული შესაძლებლობები. თუმცა ხსენებული ობიექტურად განპირობებული იყო კონკრეტული საქმეებისა და სარჩელების ფაქტობრივი გარემოებებით.

შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა **2016 წლის 14 მარტის ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კ. ნ.-ს საქმეზე**. სარჩელი ეხებოდა ბათუმის დელფინარიუმში დელფინებთან ინტერაქციისათვის თანაბარი ფასის დაწესებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისათვის. მოქმედი წესების თანახმად, ბათუმის დელფინარიუმში დელფინებთან ინტერაქციისათვის 3-16 წლამდე პირებისათვის დადგენილი იყო 100 ლარიანი ნიხრი, 16 წლიდან ზემოთ – 150 ლარი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირისათვის, **მიუხედავად ასაკისა**, განსაზღვრული იყო 160 ლარიანი ნიხრი (როგორც 3-16 წლამდე ბავშვებისათვის, ისე 16 წელზე ზემოთ პირებისათვის).

ხსენებული საქმის განხილვისას ბათუმის საქალაქო სასამართლო ძირითადად დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და მე-12 დამატებით ოქმს, საქართველოს კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციას, მოიშველია გაეროს კონვენციაში მოცემული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დისკრიმინაციის განმარტება (განსხვავება, გარიყვა, შეზღუდვა), მითითება გააკეთა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ახალი მემარჯვენეებისა და კონსერვატიული პარტიის<sup>101</sup>, ასევე შოთა ბერიძის<sup>102</sup> საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში მითითებულ თანასწორობის პრინციპზე (ცხოვრების ყველა სფეროში), მიმოიხილა დისკრიმინაციის პირდაპირი და ირიბი ფორმები, დიფერენცირებული მიდგომა, ლეგიტიმური მიზანი.

<sup>101</sup> 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493.

<sup>102</sup> 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1/392.

სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდა ადგილი (ფასთან დაკავშირებით). შემდგომ სასამართლომ განიხილა, არსებობდა თუ არა კონკრეტული ლეგიტიმური ან გონივრული გამართლება ხსენებული განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად და გამოყენებული ღონისძიებები პროპორციული იყო თუ არა კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. სასამართლომ ცალსახად დაადგინა ფაქტი, რომ ასაკობრივი დიფერენციაცია არსებობდა ფასის თვალსაზრისით შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისათვის (3-16 წლამდე პირებისათვის დადგენილი იყო 100 ლარიანი ნიხრი, 16 წლიდან ზემოთ – 150 ლარი), ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის, მიუხედავად ასაკისა, დაწესებული იყო ერთი ფასი, 160 ლარი, უკვე შეიცავდა დისკრიმინაციულ ნიშნებს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ ჯეროვნად იმსჯელა დელფინებთან ინტერაქციის პრაქტიკულ ასპექტებზე და განაცხადა, რომ როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისათვის გათვალისწინებული იყო მხოლოდ ჯგუფური ინტერაქცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მოქმედებდა მხოლოდ ინდივიდუალური ინტერაქცია. მიუხედავად ჯგუფური და ინდივიდუალური ინტერაქციის სპეციფიკისა, ბათუმის საქალაქო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა გონივრული მისადაგების პრინციპზე (ცალკეული შემთხვევიდან საჭიროების მომდინარეობაზე, საჭიროების იდენტიფიცირება შშმ პირის მდგომარეობის კუთხით, საბოლოო ფასეულობაზე სხვებთან თანასწორი წვდომა), ამ მხრივ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე და განაცხადა, რომ დელფინებთან ადმინისტრაცია უშვებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხოლოდ ინდივიდუალურ ინტერაქციას, მიუხედავად იმ ფაქტისა, შეეძლო თუ არა შშმ პირს ჯგუფურ ინტერაქციაში მონაწილეობა. ამავე დროს, ინდივიდუალური ინტერაქცია არ ზრდიდა მომსახურების ხარჯებს, ხოლო განსხვავებული ფასები არ ემსახურებოდნენ რაიმე კანონიერ მიზანს. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოპასუხე მხარეებმა (ქ. ბათუმის მერია, შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“) ვერ გაართვეს თავის მტკიცების ტვირთს და ვერ დაასაბუთეს, თუ რით შეიძლება ყოფილიყო გამართლებული ფასებში მოცემული განსხვავება. შესაბამისად, სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და დაადგინა დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 6 ოქტომბრის განჩინება ლ. გ.-ს საქმეზე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დისკრიმინაცია) საქმე ეხებოდა დადებული ქირავნობის ხელშეკრულების გაუქმებას.**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეაფასა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება და დადგინდა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის ფაქტი. იგი გამოიხატა მესაკუთრის მხრიდან მოქირავნისათვის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტასა და ღამით მისი და აუტისტური სპექტრის მქონე მისი შვილის ნაქირავები სახლის დატოვების იძულებაში მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ მოქირავნის შვილი გ. ბ. იყო აუტისტური სპექტრის მქონე.

თბილისის საქალაქო და სააპელაციო და სასამართლოებმა ჯეროვნად შეაფასეს სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლების ჩვენებები, ფსიქოლოგების დასკვნები, შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ჩვენება, რომელიც დაეხმარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დედას და დაასკვნეს, რომ ბინის მესაკუთრის მხრიდან ადგილი ჰქონდა მოჭირავნისა და მისი შვილის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე. სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილეს მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით და განაცხადეს, რომ მოპასუხე მხარემ ვერ შეძლო, ჯეროვნად დაესაბუთებინა ქირავნობის შეწყვეტის საფუძველი (მისი ქონებისათვის პოტენციური ზიანის მიყენება, ბავშვის მიერ მისი შესაძლო გადაწვა ან მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება), კერძოდ, მესაკუთრის გამონათქვამები და მითითებები მხოლოდ ბავშვის აუტისტური სპექტრისადმი კუთვნილებაზე ცალსახად უთითებდა ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის დისკრიმინაციულ მოტივზე.

მიღებულ გადაწყვეტილებებში საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები ეყრდნობიან საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და კონვენციის მე-12 დამატებით ოქმს. სასამართლოები ჯეროვნად განმარტავენ დისკრიმინაციის არსს, განსხვავებული მოპყრობის, ანალოგიური პირობების კონცეფციებს, კანონით განსაზღვრული მიზნის არსს და განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას კონკრეტული მიზნის მიღწევის კონტექსტში.

თუმცა ხსენებულ მსჯელობას ნაწილობრივ აცდენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნა ხსენებული საერთაშორისო ნორმების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. საქალაქო სასამართლოს განმარტებით: „ზემოთ მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები კრძალავს ყველა სახის განსხვავებულ მოპყრობას“. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობაში საუბარია განსხვავებული მოპყრობის დისკრიმინაციად მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკვალიფიცირებაზე, თუკი ეს განსხვავებული მოპყრობა არ არის გათვალისწინებული კანონით, არ ემსახურება კონკრეტულ მიზანს ან განსხვავებული მოპყრობა არ არის მისაღწევი კანონიერი მიზნის პროპორციული, საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ ყველა სახის განსხვავებული მოპყრობა აკრძალულია საერთაშორისო აქტებით, არ შეესაბამება სინამდვილეს.

ხსენებულ საქმეში განცდილ მორალურ ზიანთან დაკავშირებით საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა მოპასუხეს დააკისრეს 1000 ლარის გადახდა, მოთხოვნილი 5000 ლარის ნაცვლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ მორალური ზიანის მიყენება, სასამართლოების განმარტებით, შესაძლებელია უკავშირდებოდეს უშუალოდ დისკრიმინაციულ მოპყრობას, ხოლო



შესაბამისი თანხა კი დისკრიმინაციის მსხვერპლს მიეცემა დისკრიმინაციის შედეგად განცდილი სულიერი ტანჯვის საკომპენსაციოდ. მისი ოდენობა კი უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი. სასამართლოების განმარტებით, ხსენებული თანხა არ უზრუნველყოფს ხელყოფილი უფლების აღდგენას, რადგან ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია, თუმცა, კომპენსაციის მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ უზრუნველყოფა მოსარჩელის განცდების შემსუბუქება და დადებითი ემოციების გამოწვევა. რაც შეეხება მატერიალურ ზიანს, საქალაქო სასამართლომ ხსენებულთან დაკავშირებით უარი განუცხადა მოსარჩელეს იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ ვერ წარუდგინა სასამართლოს განცდილი მატერიალური ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებები. სასამართლოს განმარტებით, მატერიალური ზიანი რომც ყოფილიყო განცდილი მოსარჩელის მიერ, მოქმედებდა სახელმწიფო პროგრამები კრიზისულ სიტუაციებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაუდებელ დახმარებასთან დაკავშირებით და, სასამართლოს აზრით, მათი გამოყენება შესაძლებლობას მისცემდა მოსარჩელეს, თავიდან აეცილებინა მატერიალური ხასიათის ზიანი.

ხსენებულ შემთხვევაში გარკვეულ კითხვებს შეიძლება იწვევდეს სასამართლოს მიდგომა მატერიალური ზიანის ანაზღაურების განმარტების საკითხთან დაკავშირებით. თუკი დადასტურდება, რომ კონკრეტულმა მხარემ განახორციელა დისკრიმინაციული ქმედება და სწორედ ამ დისკრიმინაციული ქმედების შედეგად მეორე მხარემ განიცადა მატერიალური ზიანი, ლოგიკურია, რომ სწორედ დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება და ხსენებულზე გავლენას არ უნდა ახდენდეს ის ფაქტი, მოქმედებს თუ არა სახელმწიფო პროგრამები კრიზისულ სიტუაციებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაუდებელ დახმარებასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც შესაბამის პირს შეიძლება არც ჰქონდეს ინფორმაცია.

## გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას საერთო სასამართლოები უწინარესად ხელმძღვანელობენ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს 1979 წლის გაეროს კონვენციის დებულებებითა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის დებულებებით. სასამართლოებში ამ კუთხით წარმოებული დავები უმეტესად ეხება სამსახურიდან გათავისუფლებას (გენდერული ნიშნით), ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების დროს. თუმცა გვხვდება ასევე გადაწყვეტილებები, რომლებშიც ეროვნულ სასამართლოებს ნამსჯელი აქვთ გენდერული ნიშნით ადამიანის სამსახურში მიღებაზე/აყვანაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ რიგ გადაწყვეტილებებში მისასალმებელია სასამართლოების მიერ იმ კონკრეტული სტერეოტიპების ნეგატიურად შეფასება, რომელთა თანახმადაც ქალების აღქმა ხდება როგორც ბავშვის მომვლელის, ხოლო მამაკაცების – უპირატესად ოჯახის მარჩენალისა, რაც, სასამართლოს აზრით, მოძველებული და აბსოლუტურად გაუმართლებელი მიდგომაა. მეორე მხრივ, განხილულ გადაწყვეტილებებში გვხვდება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც სასამართლო ჯეროვანი რეაგირების გარეშე ტოვებს აშკარად დისკრიმინაციული ხასიათის ქმედებებსა და გამონათქვამებს, როდესაც საარჩევნო საატესტაციო კომისიის წევრი თვით სასამართლოს წინაშე მიცემულ ჩვენებაში აცხადებდა, რომ კონკრეტული თანამდებობისათვის (სოფლის რწმუნებული), მისი აზრით, შესაფერისი იყო მამაკაცი და არა ქალი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამსახურიდან ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში მყოფი ქალების გათავისუფლება/შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით ერთგვაროვანია. ხსენებულ გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო იშველიებს და ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, ევროპულ სოციალურ ქარტიას, საქართველოს შრომის კოდექსს, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ უფლებათა შესახებ გაეროს პაქტს. თუმცა უზენაესი სასამართლო ხსენებული კატეგორიის საქმეების განხილვისას უმთავრესად ეყრდნობა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციას და მის დებულებებს, რომელთა თანახმადაც: „ქალის როლი თაობათა გაგრძელებაში, არ უნდა იქნეს გამოყენებული მათ მიმართ დისკრიმინაციის განსახორციელებლად“. სასამართლო ეყრდნობა ხსენებული კონვენციის მე-5 და მე-11 მუხლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის გარანტიებს დაქორწინების ან დედობის გამო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ და განსაზღვრავენ სახელმწიფოს ვალდებულებებს: ა) უზრუნველყონ კანონმდებლობით, რომ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდში ქალები არ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. ბ) უზრუნველყონ სოციალური დახმარება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში მყოფი ქალებისათვის.

**ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის შვებულების გამო სამსახურიდან გათავისუფლება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 15 თებერვლის განჩინება ნ. შ.-ს საქმეზე)**

ხსენებულ საქმეში მოსარჩელე ჩიოდა სსიპ საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატიდან მისი გათავისუფლების ფაქტთან დაკავშირებით მისი ფეხმძიმობის პერიოდში. მოსარჩელე ეყრდნობოდა პალატის პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ბრძანებას საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მის დანიშვნასთან დაკავშირებით (ვადა არ იყო მითითებული) და პალატის პრეზიდენტის მიერ პირველი ბრძანების გამოცემიდან 2 წლის შემდგომ მეორე ბრძანებას, რომლითაც მოსარჩელე გადაყვანილ იქნა საორგანიზაციო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად იმავე ანაზღაურებით, რომელიც უწინდელ თანამდებობაზე (მოსარჩელის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდში). მოსარჩელის მტკიცებით, ხსენებული ბრძანებების გამოცემის შემდგომ მას ხელი არ მოუწერია რაიმე სახის ვადიან შრომით ხელშეკრულებაზე. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდში მას განუცხადეს, რომ მოხდა მისი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო. მიუხედავად მოთხოვნისა, მოსარჩელემ ვერ მიიღო ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ასლები. ხსენებულიდან გამომდინარე, იგი მიიჩნევდა, რომ დაუშვებელი იყო მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოქმედი შრომის კოდექსის დებულებების შესაბამისად, იგი გაათავისუფლეს მისი ფეხმძიმობის გამო, ხოლო ხსენებული ფაქტი კი წარმოადგენდა მის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია ნ. შ.-ის სარჩელი იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მან ვერ წარუდგინა სასამართლოს შრომითი ხელშეკრულების ასლები, რომლებიც მოსარჩელემ მოითხოვა დამსაქმებლისაგან, თუმცა ვერ მიიღო და მოსარჩელის მტკიცებით ვერც მიიღებდა, რადგან მას ხელი არ ჰქონდა მოწერილი ვადიან შრომით ხელშეკრულებაზე.

ხსენებულ შემთხვევაში ძალიან საინტერესოა იმ საკითხის განხილვა, ჯეროვნად მოხდა თუ არა სასამართლოს მხრიდან მოსარჩელე მხარეზე კონკრეტული მტკიცებულების წარმოდგენის ტვირთის დაკისრება და ამ ტვირთის განუხორციელებლობის ხარვეზად მიჩნევა. მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულება, რომლის თანახმადაც მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა მისი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდში, რაც აკრძალულია როგორც საქართველოს შრომის კოდექსით, ასევე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით. შესაბამისად, მან წარადგინა თავდაპირველი მტკიცებულება, რომელიც მოწმობდა ფეხმძიმობის პერიოდში მის გათავისუფლებას, რაც შესაძლოა წარმოადგენდეს ქალის მიმართ დისკრიმინაციას, თუ სახეზე არ არის შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები, რომელთაგან ერთ-ერთის, კერძოდ, შრომითი

ხელშეკრულების, ვადის გასვლას ეყრდნობოდა მოპასუხე სსიპ-ი. თუმცა, მოთხოვნის მიუხედავად, მოსარჩელემ ვერ შეძლო მიეღო სამრეწველო პალატიდან კონკრეტული ვადიანი შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულების ასლები, რომლებზეც იქნებოდა მისი ხელმოწერა. სწორედ ამ ხელშეკრულების წარუდგენლობა მიიჩნია, საქალაქო სასამართლომ ხარვეზად და დაუშვებლად სცნო სარჩელი, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოსარჩელის მცდელობის მიუხედავად, მან ვერ მიიღო ხელშეკრულებების ასლები სსიპ-იდან. მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს, საკმარისი იყო თუ არა მოსარჩელის მხრიდან ისეთი მტკიცებულებების წარდგენა, როგორც იყო მისი თანამდებობაზე დანიშვნის 2 ბრძანება, რომლებშიც თანამდებობაზე განმწესების ვადა არ ფიგურირებს, და საკმარისი იყო თუ არა ხსენებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლში მოცემული მოსარჩელის მხრიდან მტკიცების კონკრეტული სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, რათა ემტკიცებინა, რომ მის, როგორც ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში მყოფი ქალის, მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია.

სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის კუთხით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა **თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 5 მაისს დ. გ.-ს საქმეზე**. ხსენებულ საქმეში მოსარჩელემ, რომლის მეუღლესაც შეეძინა ტყუპი შვილი და გადაიტანა რთული მშობიარობა, მიმართა ჩუღურეთის გამგეობას და მოითხოვა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და *ბავშვის მოვლის გამო*. პირველ ეტაპზე მას უარი განუცხადეს, თუმცა მოგვიანებით მას მისცეს მხოლოდ დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე, როგორც მამა, რომლის მეუღლესაც გადაიტანა მძიმე მშობიარობა, ითხოვდა შვებულებას სრულფასოვანი ორსულობის, მშობიარობისა და *ბავშვის მოვლის გამო*.

ხსენებული საქმის განხილვისას თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები დაეყრდნენ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლს, ბავშვის უფლებათა დაცვის გაეროს კონვენციას, ევროპის სოციალურ ქარტიას, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციას, საქართველოს კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის დებულებებს. სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებმა დეტალურად განიხილეს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა<sup>103</sup> და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა<sup>104</sup> სქესის ნიშნით ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაზე უარის თქმის საკითხთან დაკავშირებით. ამავე დროს, ეროვნულმა სასამართლოებმა მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთეს იმასთან დაკავშირებით, რომ კანონმდებელმა შრომის კოდექსში ორსულობის მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება დააწესა დასაქმებულისათვის და არსად არ არის

<sup>103</sup> Roca Alvares v. Sesa Start Espana ETT SA.

<sup>104</sup> Petrovic v. Austria, Markin v. Russia.

მითითებული მხოლოდ დედა ან ხაზგასმული ქალი, როგორც დასაქმებული. სასამართლომ უარყო მოპასუხის არგუმენტი, რომ კანონი მიჯნავს ცალკე ორსულობისათვის, ცალკე მშობიარობისათვის და ცალკე ბავშვის მოვლისათვის შვებულების პერიოდებს. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, ხსენებული პერიოდების დაყოფა და მამისათვის მხოლოდ ბავშვის მოვლის გამო შვებულების მიცემას კანონი არ ითვალისწინებდა. სააპელაციო სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი გადაწყვეტილებები კანონის მხოლოდ სიტყვასიტყვით განმარტებაზე არ უნდა დააფუძნოს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, ამოსავალ წერტილად მიიჩნია ბავშვის მოვლის ინტერესი, რომელიც კანონმდებელმა ჩადო ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებაში.

**სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა გენდერულ სტერეოტიპებზე, რომელთა თანახმადაც, ქალების აღქმა, პირველ რიგში, ბავშვის მომვლელებად, ხოლო მამაკაცების - უპირატესად ოჯახის მარჩენალად, მომვლელები და აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო.** სასამართლომ ცალსახად უარყო ხსენებული სტერეოტიპები და განმარტა, რომ თანამედროვე ევროპული საზოგადოება აღიარებს პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილებას ქალსა და მამაკაცს შორის ბავშვის აღზრდის საკითხში და კაცის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს. სასამართლოს განმარტებით, საზოგადოებაში გენდერული როლების ტრადიციული გადანაწილება არ შეიძლება ამართლებდეს მამაკაცებისათვის, მათ შორის, საჯარო მოსამსახურე მამაკაცებისათვის, ბავშვის მოვლის მიზნით მოთხოვნილი შვებულების ჩამორთმევას. სასამართლოს განმარტებით, ასეთი სტერეოტიპები გავლენას ახდენდა იმ სოციალურ მოდელზე, რომელიც აღიქვამს ქალს, როგორც ძირითად პასუხისმგებელ პირს ოჯახურ და პირად ცხოვრებაზე. ასეთი დაყოფა კი, სასამართლოს აზრით, განაპირობებდა არათანაბრად გადანაწილებულ საშინაო და სხვა სახის ოჯახური პასუხისმგებლობების გადანაწილებას. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია სქესის ნიშნით.

გენდერული ნიშით დისკრიმინაციას ამტკიცებდა მოსარჩელე ზესტაფონის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ დავაში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. გ.-ს საქმეზე, 2016 წლის 20 მაისი.

ხსენებულ საქმეში მდედრობითი სქესის მოსარჩელე ზესტაფონის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების წინაშე ასაჩივრებდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო საატესტაციო კომისიის ოქმის ბათილად ცნობას მის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე უარის თქმისა და მამრობითი სქესის გ. ჩ.-ს თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, რომელსაც მოსარჩელის მტკიცებით არ გააჩნდა უმაღლესი განათლება, მუშაობის სტაჟი და არც ტესტირებაში ჰქონდა მიღებული მაღალი შეფასება. მოსარჩელის არგუმენტაცია ეყრდნობოდა საკონკურსო საატესტაციო კომისიის დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. გ.-ის სუსტ მხარედ უნდა ჩათვლილიყო სტრესულ

სიტუაციებში ემოციების მართვის შეუძლებლობა, ზედმეტი თავდაჯერებულობა (ხსენებულის წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე) და ასევე საკონკურსო საატესტაციო კომისიის წევრის მიერ ნ. გ.-სთან მიმართებით სქესის ნიადაგზე გამოვლენილ დისკრიმინაციულ მიდგომაში, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ზესტაფონის საქალაქო სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებაში მოწმემ, რომელიც იყო საკონკურსო საატესტაციო კომისიის წევრი, ცალსახად დაადასტურა მისი სუბიექტური დამოკიდებულება მოსარჩელის სქესთან მიმართებაში და განაცხადა, რომ: „მისი აზრით, კონკრეტული სოფლის გამგებლის თანამდებობაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო მამაკაცი: „მე ცოტა სუბიექტური ვიყავი, რომ მამაკაცი უნდა ყოფილიყო ამ პოზიციაზე“.

მიუხედავად აშკარად გამოხატული დისკრიმინაციული გამონათქვამისა და კომისიის წევრის მხრიდან გამოხატული დამოკიდებულებისა, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა არ გაიზიარეს მოსარჩელის პოზიცია და აღნიშნეს, რომ დისკრიმინაციის ფაქტი არ დასტურდებოდა სასამართლო სხდომებზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ სასამართლო სხდომაზე პირდაპირ განხორციელდა კომისიის წევრის მიერ დისკრიმინაციული მიდგომის შემცველი ჩვენების წარდგენა/დადასტურება). საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების თანახმად, მართალია, კომისიის წევრმა მ. ც.-მ სასამართლოს განუმარტა, რომ სოფლის რწმუნებულის ფუნქციების სირთულისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, მან ჩათვალა, რომ სოფლის რწმუნებულის თანამდებობა მამაკაცის საქმე იყო, თუმცა მანვე განმარტა, რომ ნ. გ.-მ ვერ გადალახა პირველ გამოცდაზე ზღვარი და დასჭირდა მეორე ცდა. ამავე დროს, მან, მამრობითი სქესის კონკურსანტ გ. ჩ.-ისგან განსხვავებით, ვერ უპასუხა დასმულ კითხვებს. მიუხედავად ამისა, საკონკურსო საატესტაციო კომისიის ხსენებულმა წევრმა ორივე კონკურსანტს დაუწერა თანაბრად 38-38 ქულა. სააპელაციო პალატის თანახმად, მხოლოდ დისკრიმინაციაზე მითითება, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, არ შეიძლება გამხდარიყო მოსარჩელის დისკრიმინაციასთან დაკავშირებული მოსაზრებების გაზიარების საფუძველი, რადგან მტკიცების ტვირთი აწევს იმ მხარეს, რომელიც მიუთითებს მასზე.

ხსენებულ საქმეში კითხვებს იწვევს, თუ რომელი დამატებითი მტკიცებულება უნდა წარედგინა მოსარჩელეს მაშინ, როდესაც საკონკურსო საატესტაციო კომისიის წევრმა ნათლად განაცხადა, რომ იგი „იყო სუბიექტური და მიაჩნდა რომ სოფლის რწმუნებულის თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყო მამაკაცი“. ხსენებულ შემთხვევაში მოსარჩელემ ცალსახად დააკმაყოფილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლით დაკისრებული ვალდებულება და სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულება, რომელიც მოწმობდა განსხვავებულ მოპყრობასა და საკონკურსო საატესტაციო კომისიის წევრის დისკრიმინაციულ მიდგომას კონკურსანტებთან მიმართებაში მათი სქესის ნიადაგზე. შესაბამისად, ბუნდოვანია, თუ რომელი დამატებითი მტკიცებულება უნდა წარედგინა მოსარჩელეს დისკრიმინაციული მოპყრობის დასადასტურებლად. მოწმის მიერ მიცემული ჩვენების თანახმად, მისი მიდგომა აშკარად დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებდა და, სულ მცირე, უნდა ჩათვლილიყო იმის საფუძველად, რომ სადავო ოქმი,

რომლითაც მოსარჩელე არ იქნა შერჩეული კონკრეტულ თანამდებობაზე, გაუქმებულიყო და ახალი კონკურსი ჩატარებულიყო, ხოლო კომისია კი დაკომპლექტებულიყო იმ პირებით, რომლებიც თავისუფალნი იქნებოდნენ დისკრიმინაციული სტერეოტიპებისაგან. სააპელაციო პალატის მიერ მოძიებულმა ინფორმაციამ და არგუმენტმა, რომლის თანახმადაც, იმავე საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად ვაკანტურ თანამდებობაზე 67% მდედრობითი სქესის წარმომადგენელი დაინიშნა და ხსენებული მოწმობდა კომისიის არადისკრიმინაციულ მიდგომას, რთულია, გადაწონოს საკონკურსო საატესტაციო წევრის პირდაპირი განცხადება, რომლის თანახმადაც, იგი მიიჩნევდა, რომ სოფლის რწმუნებულის თანამდებობასთან დაკავშირებით იგი იყო სუბიექტური და მიაჩნდა, რომ ხსენებული თანამდებობა შეეფერებოდა მამაკაცს.

### **საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ხ. ე.-ს საქმეზე (მოსარჩელე), 2015 წლის 3 აპრილი**

ხსენებულ საქმეში საკასაციო სასამართლოს პალატამ განმარტა, რომ ბავშვის მოვლის სირთულის და მისი უპირატესი ხასიათის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია, შეღავათი დაუწესოს ბავშვის აღზრდელ პირს. ის ფაქტი, რომ ხ. ე.-მ გარკვეული პერიოდი ისარგებლა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით, გავიდა სამსახურში და შემდგომ მოითხოვა დამატებით არაანაზღაურებადი შვებულება კანონმდებლობით დაწესებული 477 დღიანი ვადის ამოწურვამდე, სასამართლოს აზრით, ვერ გაამართლებდა მოპასუხის მიერ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას, რადგან მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ხ. ე.-ს ჰქონდა უფლება, ესარგებლა არაანაზღაურებადი შვებულებით.

### **საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება ვ. ა.-ს საქმეზე, 2016 წლის 13 ოქტომბერი, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება**

ხსენებულ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლო განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმით აღმოფხვრის შესახებ კონვენციის, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებისა და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მიმდინარე კანონმდებლობაზე ნორმატიულ აქტთა იერარქიაში მაღლა მდგომის, ეფექტიანი იმპლემენტაციის საკითხთან დაკავშირებით. სასამართლოს განმარტებით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებების არამხოლოდ დეკლარირება, არამედ მისი სასამართლოს კონტროლის მეშვეობით დაცვა და განმტკიცება, რათა მიღწეული ყოფილიყო ქალთა უფლებრივი თანასწორობა საზოგადოებრივი თუ ოჯახური ცხოვრების ყველა სფეროში. ხსენებული კონვენციის დებულებების, კერძოდ, მე-11 მუხლის, ეფექტიანი განხორციელება კი, უზენაესი სასამართლოს აზრით,



ცალსახად გულისხმობდა სახელმწიფოს ან კერძო დამსაქმებლის ვალდებულებას მიეცათ დასაქმებულთათვის ანაზღაურებადი ორსულობის, მშობიარობისა და ზავშვის მოვლის გამო შვებულება ფეხმძიმობის და მის შემდგომ პერიოდში. საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წლის ცვლილება კი უზრუნველყოფდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობას არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით, თუმცა, ამავე დროს, უშვებდა დამატებითი შეთანხმების შესაძლებლობას დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. სწორედ ასეთი დამატებითი შეთანხმების შედეგად იქნა გამოყოფილი 2395 ლარი, რომლის ნაწილის გადახდაზეც უარს აცხადებდა დამსაქმებელი. უზენაესი სასამართლოს განჩინებით ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დამსაქმებელს დაეკისრა დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის 1395 ლარის ანაზღაურება.

## რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხები სასამართლოს განხილული აქვს შრომითი თუ საყოფაცხოვრებო დავების კონტექსტში. საერთო სასამართლოების მიერ განხილული საქმეები უკავშირდებოდა როგორც სამსახურში აყვანას, ასევე რელიგიური შენობა ნაგებობის აშენებას და მათზე ჯეროვან ხელმისაწვდომობასა და ფუნქციონირებას.

### თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება თ. მ.-ს საქმეზე

ხსენებულ საქმეში მოსარჩელე თ. მ. ასაჩივრებდა საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც სხვა კონკურსანტი დაინიშნა მოხის თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულად. მოსარჩელის მტკიცებით, საატესტაციო კომისიამ დისკრიმინაციული მოტივით (მუსლიმანური რელიგიისადმი კუთვნილებისა და მოხეში განვითარებული მოვლენების გამო, როდესაც მოსარჩელე მონაწილეობდა მოხესა და დერჯელში მუსლიმი თემის მიერ გამართულ საპროტესტო აქციაში) არ შეაჩერა არჩევანი მასზე და უპირატესობა მიანიჭა სხვა კანდიდატს. ხსენებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო ჯეროვნად განმარტავს პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას და აკეთებს განმარტებას, რომ „დისკრიმინაციის ფაქტს ადგილი აქვს იმ პირობებში, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსხვავებული მიზანი და განსხვავებულ მოპყრობას არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება“.

სააპელაციო სასამართლო ჯეროვნად განმარტავს საქმეში მტკიცების ტვირთთან დაკავშირებულ საკითხს და „არ სთხოვს აპელანტს იტვირთოს განსხვავებული მოპყრობის მტკიცების ვალდებულება იმ მოცულობით, რაც დადგენილია სამართალწარმოების პროცესისათვის“. თუმცა, ამავე დროს, სააპელაციო სასამართლომ არ „გაათავისუფლა მოსარჩელე იმ კონკრეტული ფაქტების წარმოდგენის ვალდებულებისაგან, რომელთა ერთობლიობა შექმნიდა ლოგიკურ ჯაჭვს ... მაღალი ალბათობით ვარაუდის საფუძველს, რომ მოსარჩელე დაექვემდებარა დისკრიმინაციულ/განსხვავებულ მოპყრობას“.

სააპელაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კონკრეტული კრიტერიუმების/ფაქტების შესწავლას: ა) თუ როგორი იყო პრაქტიკა ადმინისტრაციულ ერთეულებში მუსლიმი თემის წარმომადგენელთა დანიშვნასთან დაკავშირებით; ბ) თუ რა შედეგები მოჰყვა მოსარჩელის მონაწილეობას მუსლიმი თემის მიერ გამართულ სპონტანურ აქციაში; გ) ის დარღვევები, რომლებიც სასამართლომ აღმოაჩინა საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ გამოცემულ აქტებში, იყო თუ არა გამონაკლისი ზოგადი პრაქტიკიდან. ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული

ორგანოს, ხოლო შემდგომში სასამართლოს განმარტებით (რაც სადავო არ გაუხდია მოსარჩელეს) ადიგენის მუნიციპალიტეტის 21 ერთეულში დანიშნული რწმუნებულებიდან, უმეტესობა მუსლიმი თემის წარმომადგენლები იყვნენ. მოსარჩელის მონაწილეობას მუსლიმი თემის მიერ გამართულ სპონტანურ აქციაში არ გამოუწვევია ნეგატიური შედეგები მოსარჩელისათვის, იგი აგრძელებდა დაკავებულ დროებით თანამდებობაზე მუშაობას და მისი გათავისუფლება მოხდა მხოლოდ თანამდებობის კონკურსის წესით დაკავების აუცილებლობიდან გამომდინარე. და ბოლოს, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მის მიერ ხსენებულ საქმეში დადგენილი დარღვევები, (საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ გამოცემულ აქტებთან დაკავშირებით), არ იყო ერთადერთი შემთხვევა და სასამართლოს წარმობაში არსებული დავების უმეტესობა, რომლებიც შეეხება თვითმმართველ ორგანოებში ჩატარებული კონკურსების კანონიერებას, ეფუძნებოდა იმავე ტიპის დარღვევებს და ხსენებული არ ატარებდა საგამონაკლისო ხასიათს. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა ლოგიკური კავშირი დამდგარ შედეგსა და პირის რელიგიურ კუთვნილებას შორის.

რაც შეეხება ამავე საქმეზე ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას რაიონულ სასამართლოს მოშველიებული აქვს მხოლოდ კონსტიტუციის მე-14 მუხლი და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-2 მუხლი. დისკრიმინაციის საკითხზე მსჯელობისას რაიონული სასამართლო ეხება მხოლოდ საკონკურსო საატესტაციო კომისიის დისკრეციას მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისაგან განსხვავებით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ ჩანს მსჯელობა, დისკრიმინაციის დადგენის ისეთ მნიშვნელოვან კრიტერიუმებზე, როგორებიცაა ანალოგიური მდგომარეობის დადგენის ტესტი, შედარების ობიექტი, განსხვავებული მოპყრობის არსი და მისი შესაძლო გამართლება. სასამართლო გადაწყვეტილებაში დისკრიმინაციის საკითხების განხილვა და მხოლოდ კონსტიტუციისა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კანონის თითო დებულების აღნიშვნა (თუნდაც ყველა საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მოშველიებაც, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას) ვერ უზრუნველყოფს სასამართლოს მხრიდან ჯეროვან შედეგებს, თუ მან ეფექტიანად არ იმსჯელა დისკრიმინაციის გამოვლენისათვის ყველა შესაბამის ფაქტორთან დაკავშირებით. ხსენებული ხარვეზი ეფექტიანად იქნა გამოსწორებული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისისა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებები არარეგისტრირებული კავშირისა და ა. ვ.-ს, თ. ც.-ს, ნ. ბ.-ს საქმეზე (საკულტო/რელიგიური ნაგებობების მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებული დავა)

წინამდებარე საქმეში მოსარჩელები დავობდნენ კუთვნილ მიწაზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ შენობა-ნაგებობის მშენებლობის შეჩერებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების დისკრიმინაციულ ხასიათთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელების დაკვეთით შედგენილი სამშენებლო პროექტი მოპასუხემ (თერჯოლის რაიონის მუნიციპალიტეტმა) დაამტკიცა და მშენებლობის ნებართვა გასცა. შესაბამისად, მას არ შეუქმნია ბარიერი. ნებართვა გაცემული იყო საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით და შესაბამის დოკუმენტებში არსად იყო ნახსენები რელიგიური დანიშნულების ნაგებობის შესახებ. მოსარჩელემ დაიწყო მშენებლობა და ეს უკანასკნელი შეჩერდა მხოლოდ მეზობლად მცხოვრები პირის საჩივრის საფუძველზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი იქნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონდარღვევა განხორციელდა მხოლოდ მშენებლობის შეჩერების უსაფუძვლოდ გაჭიანურებაში, ამ საკითხთან დაკავშირებით კი არაერთი სამშენებლო დავა ყოფილა განხილული მოქალაქეებსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ეროვნული სასამართლოების მიერ. შესაბამისად, სასამართლოს წინაშე ვერ იქნა დადასტურებული მოსარჩელის (როგორც რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლის) მიმართ განსხვავებული მოპყრობა და სასამართლომ არ დაადგინა დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით.

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანეს ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 19 სექტემბერს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 18 აპრილს ორგანიზაცია ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის, ვ. კ.-ს, ბ. ი.-ს და თ. ხ.-ს საქმეზე. საქმე ეხებოდა მუსლიმი თემის მფლობელობაში, ქობულეთში არსებულ პანსიონს, რომლის მიზანიც იყო აჭარის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მუსლიმი მოსწავლეებისათვის განათლების ხელშეწყობა. მოსარჩელების მტკიცებით, ხსენებული პანსიონის ჯეროვნად ფუნქციონირებას ხელს უშლიდნენ მეზობლად მცხოვრები პირები, რომლებიც თავს აიგივებდნენ მართლმადიდებელ მრევლად და საკუთარი რელიგიური მსოფლმხედველობითა და იდენტობით ხსნიდნენ პანსიონის ხელის შეშლის აუცილებლობას. მოსარჩელეთა მტკიცებით, პანსიონის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები ორგანიზებულ სახეს ატარებდა და შესაბამისი პირები თვეების განმავლობაში მორიგეობდნენ პანსიონთან, ემუქრებოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ პანსიონის მესაკუთრეებსა და შიგნით მოღვაწე/მოსწავლე პირებს. 2014 წლის 10 სექტემბერს პანსიონის მოწინააღმდეგე პირებმა დაკლეს ღორი და ცხოველის თავი პანსიონის შესასვლელს მიაჭედეს, შემდგომ კი პანსიონში შესასვლელი გზა მანქანის საბურავებითა და ხის კონსტრუქციებით ჩახერგეს. მოსარჩელეთა მტკიცებით, ხსენებული დისკრიმინაციული ფაქტი განახორციელეს კერძო პირებმა, თუმცა მოსარჩელებს ასევე პრეტენზიები ჰქონდათ პოლიციის მიმართ, რომელიც მათი მტკიცებით მოვლენების კურსში იყო და ლოიალურობას იჩენდა პანსიონის მოწინააღმდეგეებთან მიმართებაში.

საქალაქო და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა გადაწყვეტილების გამოტანისას იხელმძღვანელეს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 (სახელმწიფოს მიერ რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების აღიარება), მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) და მე-19 (რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლება) მუხლებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაეროს პაქტის მე-2 და 26-ე მუხლების, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლისა და მე-12 დამატებითი ოქმის დებულებებით, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>2</sup> მუხლების დებულებებით, განმარტეს პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის არსი, მოსარჩელის უფლება, წარედგინა საჩივარი დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, ზემოხსენებული დებულებების ჭრილში თავად დისკრიმინაციის არსი (პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია) რელიგიური შეხედულებების საფუძველზე. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად სასამართლოებმა დადასტურებულად ცნეს, რომ ადგილობრივი მოქალაქეების დომინანტი რელიგიის მქონე ჯგუფმა, რომელსაც გააჩნდა პანსიონის მესაკუთრეებისა და შიგნით მოღვაწე/მოსწავლე პირებისაგან განსხვავებული აღმსარებლობა, თვითნებურად ჩაერია სხვათა კანონიერ უფლებაში და ხელი შეუშალა მუსლიმანური პანსიონის გახსნასა და საქმიანობას, რამაც დაარღვია და ხელყო მოსარჩელების საკუთრებისა და საკუთრებაზე მშვიდობიანი ხელმისაწვდომობის უფლება. საკუთრების უფლებაში თვითნებურად ჩარევის პრეტენზიასთან დაკავშირებით საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა გაითვალისწინეს მოსარჩელების არგუმენტები იმის თაობაზე, რომ შეუფერხებლად სარგებლობის ნაწილს წარმოადგენდა პანსიონის წყალარინების სისტემაზე დაერთებისათვის ხელის შეშლა პანსიონის ფუნქციონირების მოწინააღმდეგეთა მხრიდან. ყოველივე ხსენებულს კი საფუძველად ედო დისკრიმინაციული მოტივი (პანსიონის მესაკუთრეთა მუსლიმანური რელიგიისადმი კუთვნილება და პანსიონში მუსლიმანური რელიგიის გაკვეთილების ჩატარება (ყურანის კითხვა)). სასამართლომ ასევე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პანსიონის მოწინააღმდეგეთა მიერ განხორციელებულ ქმედებას, ღორის, როგორც მუსლიმებისთვის უწმინდური ცხოველის, თავის მიჭედებას პანსიონის შესასვლელ კარზე, და აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხულ პირთა ჩვენებიდან ცალსახად იქნა იდენტიფიცირებული ხსენებული ქმედების მოტივი – რელიგიური შეუწყნარებლობა.

ხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია დისკრიმინაციული ფაქტის არსებობა ცალკეულ მოქალაქეთა ჯგუფის მიერ პანსიონის მესაკუთრეთა და მუსლიმანური თემის წინააღმდეგ დისკრიმინაციული მოტივით განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით გამოჩენილ ინერტულობასა და უმოქმედობას, მოსარჩელეთა მტკიცებით, ასევე ატარებდა დისკრიმინაციულ ხასიათს, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა უარყვეს

დისკრიმინაციის არსებობა იმ მოტივით, რომ მომხდარ ინციდენტებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო და აწარმოა შესაბამისი გამოძიება, დაკითხა 100-ზე მეტი მოწმე და გამოძიება მიმდინარეობდა. ამავე დროს, 2014 წლის 10 სექტემბრის მოვლენების შემდგომ, კონკრეტულ ქუჩაზე, რომელზეც პანსიონი იყო განთავსებული, მუდმივად მორიგეობდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, ქობულეთის გამგეობა და ადგილობრივი ადმინისტრაცია ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დაპირისპირებულ მხარეებს მიეღწიათ კონსენსუსისათვის. შესაბამისად, სასამართლოებმა ვერ დაადგინეს დისკრიმინაციის მოტივი ხელისუფლების ორგანოების ქმედებებში.

## დასკვნა

დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებულ როლს ანიჭებს საქართველოს სახალხო დამცველს და საერთო სასამართლოებს. საერთო სასამართლოების სისტემა გვევლინება დისკრიმინაციისაგან სამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვან საშუალებად და, შესაბამისად, საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა გააჩნია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონისა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სამართალწარმოების მარეგულირებელი საპროცესო კანონმდებლობის პრაქტიკაში ეფექტიანი, ჯეროვანი და თანმიმდევრული განხორციელებისათვის.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების განხილვისას საერთო სასამართლოების მიდგომები არ არის ერთგვაროვანი. განსხვავებული მიდგომები აქვთ სასამართლოებს დისკრიმინაციის, როგორც სამართლებრივი კონცეფციის, განმარტებასა და მის გამოყენებასთან, მტკიცებულებების შეფასებასთან, მტკიცების ტვირთის მხარეებისათვის დაკისრებასთან დაკავშირებით. არაერთგვაროვანი პრაქტიკა ნეგატიურად მოქმედებს სამართლებრივი ნორმების განმარტებისა და მათი განჭვრეტადობის კუთხით და ამცირებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის ნორმების პრაქტიკაში ეფექტიან რეალიზებას.

საერთო სასამართლოებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელების განხილვა უმეტესად უწევთ შრომითი დავების კონტექსტში და სასამართლოებს ხსენებულ შემთხვევებში, გასული წლების განმავლობაში, ყველაზე ხშირად უბედობდათ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის საკითხების განხილვა. ამ ტიპის დავების განხილვისას სასამართლოები თითქოს გაურბიან შეფასებას, რომელ საჯარო ორგანოებს შეიძლება მოეთხოვოთ პოლიტიკურად ნეიტრალური გადაწყვეტილებების მიღება, რა შემთხვევაში და ვისთან მიმართებით აკისრიათ საჯარო თუ კერძო ორგანოებს/ორგანიზაციებს თანაბარი მოპყრობა, მიუხედავად ინდივიდების პოლიტიკური შეხედულებისა.

რიგ, მართლაც პროგრესულ, გადაწყვეტილებებთან ერთად, რომლებშიც საერთო სასამართლოები ადგენდნენ, რომ „ადამიანის განსხვავებული სქესის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, ქცევის, მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესის შემწყნარებლობა დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედია. ... ხოლო ის მოქმედებები, რომლებიც შეუწყნარებლობასა და მიუღებლობას უწყობს ხელს, ახალისებს ან იწონებს, არადემოკრატიული, დისკრიმინაციული და კანონსაწინააღმდეგოა... არატოლერანტული მოთხოვნის რეალიზაციას კი ... ობიექტური და გონივრული [გამართლების] საფუძველი არასოდეს გააჩნია“, გვხვდება სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებშიც ეროვნული სასამართლოების მსჯელობის მიღმა რჩება დისკრიმინაციის ამკარა გამოვლინებები, მოძველებული გენდერული და სხვა ტიპის სტერეოტიპები. ასეთ გადაწყვეტილებებში ეროვნული სასამართლოები შემოიფარგლებიან მხოლოდ ამა თუ იმ კანონმდებლობით (მაგალითად, შრომის კოდექსი, ზოგადი



ადმინისტრაციული კოდექსი) დადგენილი ფორმალური გარემოებებით და სათანადო ყურადღებას არ ამახვილებენ დისკრიმინაციის ფაქტებზე. გვხვდება ასევე რიგი გადაწყვეტილებები, რომლებშიც ვხვდებით დისკრიმინაციის, როგორც სამართლებრივი კონცეფციის, აღრევას/გაიგივებას სამართლის/კანონის მოთხოვნების დარღვევას.